ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

30 აგვისტოდან!
„ახალი თაობა“
+
ალექსანდრე მაკედონელი
8 ლარი

100 წიგნი
ადამიანები რომელთაც შეცვალეს მსოფლიო



ალექსანდრე მაკედონელი

ხუთშაბათი, 5 სექტემბერი, 2013 №210 (6211) ფასი: 30 თეთრი

# საქართველომ ევროპა გამარჯვებით დაიწყო

## საქართველო — პოლონეთი 84:67



გვ.9

FIBA Europe/ Elio Castoria

## ბიძინა ივანიშვილი: „თუ მარგველაშვილი პრეზიდენტი ვერ გახდა, პოლიტიკიდან უფრო ადრე წავალ!“



გვ.3



## ნიკა რურუა: „პრემიერმა თავისი სიტყვები უკან უნდა წაიღოს“

გვ.2



## ნანა დევდარიანი: „მარგველაშვილი უალტერნატივო არ არის“

გვ.4



გვ.2

## თემურ შაშიაშვილი: „ულტიმატუმის ენით საუბარი მიუღებელია“

## ზაზა ხატიაშვილი: „ღარიბაშვილმა, ნაცვლიშვილმა და კბილაშვილმა გაუგონარი ძალადობა ჩაიდინეს“

გვ.5



## ნინო ბურჯანაძე: „პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში, შევეცდები, პრემიერი დავარწმუნო, რომ პოლიტიკაში დარჩეს“

გვ.4





გვ.6

## აკაკი ასათიანი: „ივანიშვილი ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების შემდეგ უნდა წასულიყო“

## შალვა ნათელაშვილი იაშვილის კლინიკის მეპატრონის გაძევებას ითხოვს

გვ.7

ISSN 1987-9385

4 ბიძინა ივანიშვილი: „პოლიცია ხალხის სამსახურშია და ამას მე არ ვახერხებ, ამას მინისტრი ახერხებს“

7 იპოთეკარები დახმარებას ითხოვენ

8 საქართველო უკრაინა არ არის და მას ამის დასაბუთების საშუალება უნდა მიეცეს

5 სერგო ჯავახაძე: „ქართული ოცნება“ წინასაარჩევნოდ შექმნილი რაღაც რესურსია“

# ნიკა რურუა: „პრემიერმა თავისი სიტყვები უკან უნდა წაიღოს“

შორენა გონგლაძე

**პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის მორიგი პრესკონფერენციის მარგალიტებად შეიძლება ევრაზიულ კავშირთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადება ჩაითვალოს, რატომღაც ყველას ეგონა, რომ პრესკონფერენციაზე ყველაზე აქტუალური საკითხი, რითიც ივანიშვილს კუთხეში მიამწყვდევდნენ, მისი პოლიტიკიდან წასვლის შესახებ გაკეთებული განცხადება იქნებოდა, თუმცა ივანიშვილის მიერ გაკეთებულმა განცხადებამ იმის შესახებ, რომ ევრაზიულ კავშირთან დაკავშირებით ხელისუფლებას არავითარი პოზიცია არ გააჩნია, თუმცა სწავლობს, თუ რამდენად საინტერესო იქნება ეს ქვეყნის სტრატეგიისთვის, ნაციონალებიში დიდი არევ-დარევა და გაუგებრობა გამოიწვია.**

— ევრაზიულ კავშირს რაც შეეხება, მე ყურადღებით ვუყურებ და ვსწავლობ. ამ ეტაპზე არავითარი პოზიცია არ გაგვაჩნია. თუ პერსპექტივაში ვნახავთ, რომ ჩვენი ქვეყნის სტრატეგიისთვის ეს იქნება საინტერესო, რატომაც არა. ამ ეტაპზე არა გვაქვს პოზიცია, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

ივანიშვილის ამ განცხადებას კულტურის ექს-მინისტრი ნიკა რურუა შემაშფოთებელს უწოდებს. რურუა თვლის, რომ პრემიერმა მისი სიტყვები უკან უნდა წაიღოს.

— ევრაზიულ კავშირთან დაკავშირებით პრემიერმა მისი სიტყვები უკან უნდა წაიღოს, რადგანაც ევრაზიული კავშირი — ეს არის რუსული ოცნება. რუსული ბაზარი პოლიტიკური ბაზარია. ამდენად, პრემიერის განცხადება, რომ ის შეხედავს ამ კავშირს და მიიღებს გადაწყვეტილებას, შემაშფოთებელია. ევრაზიის კავშირი — ეს არის რეინკარნაცია საბჭოთა კავშირის ცინიკური სახის, მას კი ექნება ცივი და პრაგმატული სახე, — აცხადებს რურუა.

საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანი გიგა ბოკერია პრემიერ-მინისტრის იმ განცხადებას გამოეხმაურა, სადაც ივანიშვილი ამბობს, რომ ბოკერიამ თანაშემწის მეშვეობით შემოუთვალა, რომ მასთან რუსეთის თემაზე პრეტენზიები აღარ აქვს, რომ რუსეთის აგენტობის ბრალდება უკვე მოეხსნა.

— მე პრემიერ ივანიშვილისთვის არასდროს მიწოდებია რუსეთის ჯაშუში, მაგრამ ვთვლიდი და, სამწუხაროდ, ახლაც ვთვლი, რომ მისი და მისი გუნდის მიერ გადადგმული ბევრი ნაბიჯი ასუსტებს საქართველოს სახელმწიფოებრიობას, ჩვენს უსაფრთხოებას და შედის სწორედ რუსეთის ფედერაციის აგრესიული პოლიტიკის ინტერესებში, — განაცხადა ბოკერიამ. მისივე თქმით, ასეთი განცხადების უახლეს მაგალითად გამოდგება პრემიერის მიერ გაკეთებული „სკანდალური“ კომენტარი იმის თაობაზე, რომ მას არ გააჩნია მკაფიო პოზიცია ევრაზიულ კავშირთან დაკავშირებით.

— მინდა ყველას შევახსენო ის, რაც ყველასთვის ისედაც ნათელია, ევრაზიული კავშირის იდეა გახლავთ პუტინის ინსტრუმენტი რუსეთის მეზობელ ქვეყნებში ევროატლანტიკური ინტეგრაციის შესაჩერებლად, ამ ქვეყნების სახელმწიფოებრიობის და სუვერენიტეტის მოშლის და მათი რუსეთის სატელიტებად ქცევის მიზნით. საგანგაშოა, თუკი საქართველოს დემოკრატიულად არჩეულ ხელისუფლებას, მის პრემიერს ასეთ საკითხზე მკაფიო პოზიცია არ გააჩნია, — განაცხადა უშიშროების საბჭოს მდივანმა. მისივე თქმით, პრობლემა კიდევ უფრო ღრმაა, ვიდრე ეს განცხადება:

— პრემიერ ივანიშვილის გუნდში, მის კოალიციაში არიან დეკლარირებულად ღიად პრორუსული, ფუნდამენტალისტური ძალები. ის ხალხი პრემიერმა ივანიშვილმა მოიყვანა ხელისუფლებაში და ისინი პირდაპირ



საფრთხეს უქმნიან საქართველოს სუვერენიტეტს, უსაფრთხოებას და დემოკრატიას.

პრემიერმა ივანიშვილმა და მისმა გუნდმა მთავარი ოპოზიციური ძალის, „ნაციონალური მოძრაობის“ განადგურების სურვილით დამატებით ხელი შეუწყო მისი კოალიციის გარეთ კიდევ უფრო ფუნდამენტალისტური და პრორუსული ძალების გაძლიერებას და მათ წინა პლანზე წამოწევას. ეს კიდევ უფრო დიდ საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფოებრიობას და დემოკრატიას. არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ „ქართული ოცნების“ გულის გულში მყოფი ძალები აკეთებენ არაერთ პრორუსულ განცხადებებს, მაგალითად, გოგი თოფაძის, ჯაჭვლიანის კომენტარები... ზოგიერთი მათგანი ამ კომენტარს ტანსაცმელს აცმევს, თუმცა იქაც გამოსჭვივის ხოლმე ეს აგრესია დასავლური ცივილიზაციის მიმართ. ასევე, საუბარია იმ ძალებზე კოალიციის გარეთ, რომლებიც ბიძინა ივანიშვილმა თავად დაასახელა სასურველ ოპოზიციად, სწორედ ეს შედის რუსეთის ფედერაციის ინტერესებში, რომ საქართველოში პოლიტიკური კონსენსუსი დაირღვეს, სპექტრი იქნეს ჩაჩოჩებული იქითკენ, რომ შეიქმნას პრორუსული ძლიერი ცენტრი, — განაცხადა გიგა ბოკერიამ.

უშიშროების საბჭოს მდივნის თქმით, ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი ახალი ხელისუფლების იყო, ყოველგვარი საქმის შესწავლის გარეშე გამოშვება ციხიდან იმ პირების, რომლებიც იყვნენ მსჯავრდებულნი რუსეთის ფედერაციის სასარგებლოდ ჯაშუშობაში, ამბოხებაში, უმცირესობების უფლებების შელახვაში.

— ეს ნაბიჯი საფრთხეს უქმნის საქართველოს. ზოგადად ამ ახალი გუნდის კონცეფცია, რომ საქართველო აღარ უნდა იყოს პრობლემა დასავლეთისა და რუსეთის შორის, მაშინ, როდესაც რუსეთის ფედერაცია აგრძელებს თავის აგრესიულ პოლიტიკას ქართული სახელმწიფოებრიობის გადანდგურების მიზნით, არის უკეთეს შემთხვევაში გულუბრყვილობა და ასუსტებს ჩვენს ქვეყანას, — განაცხადა ბოკერიამ. მისივე თქმით, ხელისუფლების ბოლოდროინდელი პოლიტიკა, როცა გამოვლინდა ძალადობა უმცირესობების წინააღმდეგ, ოპოზიციის აქტივისტების დაკავება, გაუაზრებელი ეკონომიკური პოლიტიკა, კრიმინალის ზრდა — ასუსტებს ქვეყანას და აძლიერებს რუსეთის ფედერაციის პოზიციებს საქართველოში:

— ასეთი გახლდათ ჩემი პოზიცია საჯაროდ და ყველა პირად საუბარში მანამდეც და არ გამაჩნია არანაირი პირობა, რომ შევიცვალო ეს პოზიცია, — განაცხადა ბოკერიამ.

„პრემიერ-მინისტრის რანგში ისეთი განცხადებების კეთება, რომელიც მან გააკეთა, არის ნამდვილად დამაზიანებელი საქართველოს ეროვნული ინტერესებისთვის“ ივანიშვილის განცხადებას ევრაზიულ კავშირზე ნაციონალური მოძრაობის საპარლამენტო ფრაქციის ლიდერმა გოკა გაბაშვილმა „საქართველოს ეროვნული ინტერესების დამაზიანებელი“ და „კატასტროფული“ უწოდა და იმედი გამოთქვა, რომ ეს იყო რუსეთთან გარკვეული კეკლუცობა.

— ეს არის მართლაც კატასტროფული განცხადება პრემიერ-მინისტრის რანგში იმიტომ, რომ საქართველოს მოსახლეობას ძალიან ნათლად რეფერენდუმზე ხმათა უმრავლესობით აქვს გაცხადებული, რომ საქართველო უნდა გახდეს ნატოს წევრი. შეგახსენებთ, რომ ამ პარლამენტმაც უმრავლესობისა და უმცირესობის მხარდაჭერით მიიღო დოკუმენტი, სადაც ნათლად და მკაფიოდ არის გამოხატული საგარეო პოლიტიკური ორიენტირი — ეს არის ევროკავშირი და ნატო, — აღნიშნა მან.

— საუბარი იმაზე, რომ ევრაზიული კავშირი, პუტინის ავტორობით შექმნილი პროექტი, რომელშიც საქართველოს გაწევრიანება — ამის თეორიული შესაძლებლობის დაშვება არის ნამდვილად კატასტროფა ამ ქვეყნისთვის, არის ნამდვილად სრულებით გადახვევა იმ გზიდან, რომელიც ძალიან ფართო კონსენსუსით საქართველოს პოლიტიკურ ძალებს აქვთ არჩეული, ეს არის მართლაც კატასტროფული განცხადება, — განაცხადა გაბაშვილმა. მისი თქმით, ამ „დაუფიქრებელი და გაუაზრებელი განცხადების შემდეგ“ საერთაშორისო ან რუსულ პრესაში გაჩენილი მოსაზრებები იმის თაობაზე, რომ „საქართველო არ გამორიცხავს ევრაზიულ კავშირში გაწევრიანებას“, მთლიანად ბიძინა ივანიშვილის პასუხისმგებლობა იქნება.

— მე იმედი მაქვს, რომ პრემიერ-მინისტრმა მოიტყუა, მე იმედი მაქვს, რომ საქართველოს მთავრობა არ სწავლობს ამ შესაძლებლობას, მე იმედი მაქვს, რომ ეს შესაძლებლობა სერიოზულ განხილვაში არ არის და ეს იყო რუსეთთან გარკვეული კეკლუცობის მორიგი რაუნდი და არა სერიოზული პოლიტიკური განზრახვა, რომ საქართველოს მთავრობამ განიხილოს ევრაზიულ კავშირში გაწევრიანება, — განაცხადა გოკა გაბაშვილმა და ბიძინა ივანიშვილს, სანამ ჯერ კიდევ პრემიერ-მინისტრია, მოუწოდა, რომ „ბევრად უფრო ყურადღებით და პასუხისმგებლობით მოეკიდოს თავის გამონათქვამებს“.

ევრაზიულ კავშირთან დაკავშირებით პრემიერის კომენტარზე „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან შეგნებულად ხდება გადაჭარბება, ასე აფასებს ნაციონალურ მოძრაობაში ატეხილ შფოთს ექსპერტი კახი კახიშვილი. მისივე თქმით, პრემიერმა პრესკონფერენციაზე ევრაზიულ კავშირთან დაკავშირებით დასმულ კითხვას დიპლომატიური პასუხი გასცა.

— ამ კაცს არ უთქვამს, რომ გინდა თუ არ შევდივართ ევრაზიულ კავშირში. დღეს ეს სიტყვის მასალაა „ნაციონალური მოძრაობისთვის“. ყველას კარგად გვახსოვს, როდესაც ივანიშვილი შემოვიდა პოლიტიკაში, „ნაცმოძრაობა“ გამოდიოდა და აცხადებდა, რომ ის ქვეყნისთვის დამღუპველი, რუსეთის აგენტია. დღეს გაუგებარია მათი განცხადებები, როდესაც საუბრობენ იმაზე, რომ მისი წასვლა იქნება დამღუპველი. საინტერესოა, როდის იყო დამღუპველი, როდესაც შემოვიდა პოლიტიკაში თუ როდესაც მიდის? დღევანდელ პრესკონფერენციაზე დაისვა კითხვა ევრაზიულ კავშირთან დაკავშირებით და ამას გაეცა შესაბამისი დიპლომატიური პასუხი, — აცხადებს კახიშვილი.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი აცხადებს, რომ საქართველოსთვის ევრაზიის კავშირში გაწევრიანება აქტუალური არ არის.

საქართველოს ევრაზიულ კავშირში გაწევრიანების თემის აქტუალობას ვერ ხედავს საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე. ფანჯიკიძის განცხადებით, ბიძინა ივანიშვილმა ამბასადორიალის გახსნაზე თავის გამოსვლაში განაცხადა, რომ საქართველოს პოლიტიკის ქვაკუთხედი არის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია, რაც უკვე ყველაფერზე მეტყველებს.

— მე მგონი, ამაზე მკაფიოდ და მესიჯის გაჟღერება შეუძლებელია. ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ ჩვენ ვაკვირდებით და ვსწავლობთ ევრაზიის კავშირს. უნდა გითხრათ, რომ მარტო ჩვენ კი არ ვაკვირდებით და ვსწავლობთ ევრაზიის კავშირს, არამედ მთელი მსოფლიო, მათ შორის ევროკავშირიც. ეს ვთქვათ, ეს ჩვენს გვერდით ხდება, რასაკვირველია, ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რა ხდება და უნდა ვნახოთ, რა არის იქ საინტერესო, — განაცხადა ფანჯიკიძემ.

# თემურ შაშიაშვილი: „ულტიმატუმის ენით საუბარი მიუღებელია“



პრემიერის გუშინდელ პრესკონფერენციას დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ბიძინა ივანიშვილის გამონათქვამებმა ბევრი გააღიზიანა. პარტია „თეთრების“ ლიდერმა თემურ შაშიაშვილმა საგანგებო განცხადება გაავრცელა. „ახალი თაობა“ ამ განცხადებას სრულად გთავაზობთ.

— ბიძინა ივანიშვილის გუშინდელმა პრესკონფერენციამ კიდევ უფრო გამიძლიერა შეხედულება, იმის თაობაზე, რომ ის დიდი სისწრაფით სცილდება ხალხს, ხალხის პრობლემებს, რომ კატასტროფაა თვითკმაყოფილება მაშინ, როცა ხალხი გმინავს გაჭირვებისაგან, რომ ხალხი სხვას ელოდა და ჯერ კიდევ ელის ბიძინა ივანიშვილისაგან.

როგორც ჩანს, ის სწორ გადაწყვეტილებას იღებს წასვლასთან დაკავშირებით. ადამიანი, რომელიც თავის პრემიერ-მინისტრობის ერთი წლისთავზე ასეთი თვითკმაყოფილია, თვითკრიტიკის ნიშანწყალიც არ აქვს, თვლის,რომ ყველა დანაპირები შეასრულა, უფრო მეტიც , როცა მიაჩნია, რომ თითქმის ყველაფერში „შეუძლებელი შეძლო, მაქსიმუმი გააკეთა“ (ეს მისი სიტყვებია) — ის პრემიერ— მინისტრის პოსტიდან უნდა წავიდეს!

სამწუხაროა, რომ დამოუკიდებელ საქართველოში, პირველ ხელისუფალთა და ხალხის აზრი რეალურ მდგომარეობაზე, რადიკალურად განსხვავებულია. ხელისუფალნი უმაღლეს შეფასებას აძლევენ თავიანთ საქმიანობას, ხალხი კი უკიდურესად მძაფრია გაკეთებულის შეფასებაში.სასურველი იქნებოდა, რომ ხელისუფალნი ლაპარაკობდნენ პრობლემებზე და მომავლის გეგმებზე, ხელისუფალთა გაკეთებულს კი ხალხი ხედავდეს რეალურად და აფასებდეს. გაცვლილია როლები. ხალხი ტკივილით ლაპარაკობს პრობლემებზე, იმედით -მომავლის გეგმებზე, ხელისუფალნი კი თვითკმაყოფილნი არიან წარსულით, საკუთარი საქმიანობით და გაკეთებულით.

სამარცხვინოა, რომ ყველა ხელისუფალი ამ 20 წლის განმავლობაში რაც მეტს ლაპარაკობს ნატოზე, ევროპასთან ინტეგრაციაზე, მით მეტად ვცილდებით ერთსაც და მეორესაც. საქართველო დიდი ხანია მძიმე აზიური განწყობით ცხოვრობს — საქართველო ახლო აღმოსავლეთის, უპირველესად კი არაბული ქვეყნების, ირანის მოქალაქეთა თავშესაფარ-ნავსაყუდელი გახდა.

როგორც შეურაცხყოფას, ისე აღვიქვამ ბატონი ბიძინა ივანიშვილის გამოთქმას ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით. მისი გამოსვლიდან ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს ჩვენ „ნაციონალების“ საქართველოდან გაძევებას ვითხოვთ. აბსოლუტურად უადგილოა მისი გამოთქმები: „რა ვქნათ, ჩვენი ძმები არიან, საქართველოდან ხომ არ გავაძევებთ და უნდა აღვზარდოთო“. ჩვენ ვითხოვთ კანონის უზენაესობას და კონსტიტუციური ფარგლები არის ის, როცა პარლამენტი არ გამოხატავს ხალხის პოლიტიკურ განწყობას — ტარდება ვადამდელი საპარალმენტო არჩევნები. ეს არის ევროპა, ეს არის დემოკრატიული სამყაროს ცხოვრების ოქროს წესი.

სასიამოვნოა, როცა ბატონ ბიძინას აწუხებს ის, რომ „ნაციონალების“ მიერ უკანონოდ ჩამორთმეული ქონება კანონიერ მფლობელებს ვერ დაუბრუნეს, მაგრამ როცა მოინდომეს, მის სახელთან დაკავშირებულმა „ქართუ ბანკმა“ ყველაფერი დაიბრუნა. ესე იგი შეუძლებელი არაფერი ყოფილა, მთავარია გქონდეს პოზიცია, სურვილი და განწყობა. მის ირგვლივ ყველამ ყველაფერი დაიბრუნა. მის ირგვლივ ვის ვისი გამოყვანა უნდოდა ციხიდან — გამოიყვანა, აქაც ვიწრო პარტიული მიდგომა, ანუ ისეთივე, როგორიც ჰქონდათ „ნაცებს“.

იმ ადამიანთა რიგს ვეკუთვნი, რომლებიც თვლიან, რომ მომავალი პრეზიდენტის ამოცანა უნდა იყოს: არ დაუპირისპირდეს ბიძინა ივანიშვილს, არც ფეხქვეშ გაეგოს და შეძლოს მისი პოტენციალის მოქმედებაში სრულად მოყვანა. როგორც ბევრი, მეც ვფიქრობ , რომ ამის გაკეთება არ შეუძლია მის მიერ რეკომენდირებულ გიორგი მარგველაშვილს. ალბათ ყველაზე კარგად იმას გააკეთებს, რომ ფეხქვეშ გაიყვანოს. თქვა კიდეც: „პლასტილინივით ვარო“.

მე, ისე როგორც ბევრს, მინდა, რომ გადარჩეს საქართველო და ბიძინა ივანიშვილიც და ეს მხოლოდ კანონიერი გარეთ კანდიდატის გამარჯვების შემთხვევაშია შესაძლებელი. ბატონი ბიძინის ძალაც და საქვეყნო პოტენციალიც სწორედ ამ პირობებში გამოჩნდება. ასეთ ფონზე ულტიმატუმის ენით საუბარი: თუ ჩემს კანდიდატს არ აირჩევთ, დავიხურავ ქუდს და წავალო — არა მგონია, რომ სწორია, არა მგონია, რომ ქართულია, უფრო მეტიც, შეურაცხმყოფელიც კია ქვეყნისათვის. მინდა ვიფიქრო, რომ ის ამას გულით არ ამბობს, და თუ გულით ამბობს (რაც ძალიან არ მინდა), ასეთი კაცი მართლა არ შეიძლება იყოს საქართველოს პრემიერი, — ნათქვამია „თეთრების“ ლიდერის განცხადებაში.

ახალი თაობა

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მურაზ ლეჟავაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოჩაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ბიძინა ივანიშვილი: „თუ მარგველაშვილი პრეზიდენტი ვერ გახდა, პოლიტიკიდან უფრო ადრე წავალ!“

შორენა მარსაგიშვილი

**საქართველოს პრემიერი ბიძინა ივანიშვილი კვლავ აგრძელებს საზოგადოების განცვიფრებას. მისი განცხადებები სულ უფრო ძნელად ამოსაცნობია. ხალხისა და ჟურნალისტების მთლად კარგად არც პრემიერს ესმის და, ეტყობა, ამიტომაც არის, რომ ასე დაჟინებით სთხოვს ჟურნალისტებს სამტკიცს. ჩაზუსტებებსა და ჩაძიებებზე აღარაფერს ვამბობთ. ისე, კარგი იქნებოდა, თუ ასე დაჟინებით თავის გუნდს ჩაეძიებოდა და გაარკვევდა, რას აკეთებენ ისინი.**

ბოროტი ხმები ამბობენ, რომ ბიძინამ მათთანაც ჩააზუსტა რამე-რუმეები და რამდენიმე კაცი გვარიანადაც გამოლანძღა. ამ თემაზე აგვისტოში მედიაში დიდი გნიასი იყო ატეხილი. ალბათ, კიდევ დიდხანს ვიქოთქოთებდით, სექტემბრის 2 რიცხვში თავად ივანიშვილს რომ არ წამოეწია ახალი თემა. 2 სექტემბერს პრემიერმა მოზრდილი უსტარი დაწერა, საიდანაც გვამცნო, მივდივარ, მაგრამ თქვენთან ვრჩებიო.

პოლიტიკიდან მალე რომ აპირებდა წასვლას, ამის შესახებ არჩევნებამდეც არაერთხელ განაცხადა, მერეც რამდენჯერმე გაიმეორა, წასვლას ვაპირებო. წესით, ამ ამბავს ერი უნდა შეეჰგუებოდა, მაგრამ ნურას უკაცრავად. მის წერილს ისეთი ამბავი მოჰყვა, დაანონსებული ციკლონი აღარავის მოჰგონებია.

ვაება და ვიშვიში გუშინაც გაგრძელდა. გუშინ პრემიერმა პრესკონფერენცია გამართა და ჟურნალისტებთან კიდევ ერთხელ შევიდა კონფლიქტში. პოლიტიკიდან მიმავალ პრემიერს გუშინ სამღვდელოებაც შემოელანძღა, ის სამღვდელოება, რომელმაც „ქართული ოცნების“ გამარჯვებაში საკმაოდ დიდი წვლილი შეიტანა. ბიძინა ივანიშვილმა ქართველებს ტოლერანტობაც დაუწუნა.

მისი თქმით, საბჭოთა კავშირის ხანგრძლივმა და წინა ხელისუფლების ცხრაწლიანმა მმართველობამ, ქართველების ტოლერანტობაზე იმოქმედა და მათი ბუნებრიობა დაარღვია. პრემიერი სოფელ ჭელაში მიმდინარე მოვლენებს გამოეხმაურა და განაცხადა, რომ არსებული მდგომარეობა ხელოვნურად არის ინსპირირებული და ეს წინა ხელისუფლებას აწყობს. მისივე განცხადებით, მართლმადიდებელი ეკლესია სახელმწიფოს ფუნქციებში არ უნდა ჩაერიოს.

— საბჭოთა კავშირის გავლენამ და წინა ხელისუფლების ცხრაწლიანმა გავლენამ ამ სფეროზე იმოქმედა, გარკვეული დამღა დაასვა მას და გარკვეული გადახრები გამოიწვია. დაიკარგა ის ბუნებრიობა, რაც ჩვენ ტრადიციულად გვქონდა, რამაც პრობლემების დაგროვება გამოიწვია. ზოგიერთ შემთხვევაში, რელიგიურ თემებზე გაუგებრობები ანგაჟირებული იყო და ხელოვნურად იყო წამოწეული. ძველ ხელისუფლებას ეს დღეს ძალიან აწყობს და შეიძლება, პროცესები გარედანაც კი იმართებოდეს. რაც შეეხება სოფელ ჭელას შემთხვევას, აქ, როგორც მთავრობის მეთაური, აქცენტს კანონზე გავაკეთებ. არ შეიძლება, ისე მოვიქცეთ, რომ დილით გავიღვიძოთ და აღმართული მინარეთი დავინახოთ, რომლის დადგმაც არავისთან შეთანხმებული არ არის, პროექტი არ არსებობს და ადგილობრივი თვითმმართველობაც საქმის კურსში არაა. რატომ გახდნენ ისინი იძულებული, რომ ეს ერთ ღამეში გაეკეთებინათ? მე კითხვა აქ მიჩნდება. არსებობს თუ არა რეალური პრობლემა, რომ საქართველოში მეჩეთი აშენდეს? ვფიქრობ, ზოგიერთი ჩვენი მუსლიმი თანამოქალაქე ამას ობიექტურად განიცდის, რამეთუ საბჭოთა კავშირისა და 9-წლიანი ძალადობრივი მმართველობის შემდგომ, შესაძლოა, ის ბუნებრიობა, რაც იყო, დაიკარგა, ხოლო ბალანსი რაც არსებობდა, დაირღვა. მაგრამ, ვფიქრობ, ახალი არჩევნების შემდეგ ეს პროცესი გაიოლდება. სახელმწიფო ფუნქციაში ნურც მართლმადიდებელი ეკლესიის ზოგიერთი მსახური ჩაერევა. ჩვენ უდიდეს პატივს ვცემთ ჩვენს რელიგიასა და ეკლესიას, მაგრამ ეკლესია სახელმწიფოსგან გამოყოფილია. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ მხოლოდ დავეხმაროთ და ხელი შევუწყოთ მის განვითარებას, თუმცა ეკლესიის ზოგიერთმა მსახურმაც კარგად უნდა გაიგოს, რომ მათ არ აქვთ უფლება, სახელმწიფოს ფუნქციები შეითავსონ და, რა თქმა უნდა, განცხადებებიც შესატყვისი უნდა გააკეთონ. ჩვენ მხოლოდ კანონზე დაფუძნებით უნდა ვიმოქმედოთ. ძალიან მტკივნეული თემაა, როდესაც მინარეთის დემონტაჟი ხდება. ალბათ, ჯობდა, უფრო ფაქიზად მოქცეულიყვნენ. ჯობდა, მაგრამ, როდესაც გევალება, უხეში საქმის გაკეთებაც გიწევს, თუმცა ეს არც ჩემთვის არის სასიამოვნო. ვფიქრობ, კოაბიტაციის პროცესი დასრულდება და ასეთი გაუგებრობები სულ მალე აღმოიფხვრება საქართველოში. მგონია, რომ ძალიან ხშირად ეს ხელოვნურად არის ინსპირირებული. გარანტიას გაძლევთ, ძალიან მალე ყველაფერი ბუნებრივად დალაგდება, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.



კოაბიტაციის დასრულებას მთელი ერი მოუთმენლად ელოდება. მეოცნებეები გვპირდებიან, რომ კოაბიტაცია საპრეზიდენტო არჩევნების დღეს დასრულდება. ამტკიცებენ, რომ სწორედ ამის შემდეგ მოუწევთ ნაციონალების მიერ ჩადენილ ცოდვებზე პასუხების გაცემა. საზოგადოების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ჩადენილი დანაშაულებისთვის პასუხი მიხეილ სააკაშვილმაც უნდა აგოს. ბიძინა ივანიშვილი სააკაშვილის პერსონით სამართალდამცველი უწყებების დაინტერესებას არ გამორიცხავს.

— სანამ მე ოპოზიციაში ვიყავი, უფრო მკვეთრ განცხადებებს ვაკეთებდი. ახლა მთავრობის მეთაური ვარ და ძალიან ვერიდები წინასწარ რაიმე მკვეთრი განცხადების გაკეთებას. კითხვები, რა თქმა უნდა, არსებობდა და არსებობს და ეს ნორმალური პროცესია, მით უმეტეს, ეს მხოლოდ საქართველოში არ ხდება, ეს ევროპის ბევრ სახელმწიფოშიც ხდება. ვიცით, რომ კითხვები არსებობს ნიკოლა სარკოზისთან და კითხვები არსებობს იტალიის პრემიერ ბერლუსკონისთანაც. ეს ნორმალური პროცესია და მას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ნუ მივანიჭებთ, მით უმეტეს, რომ ჩვენ განვითარებადი ქვეყანა ვართ და, როგორც წესი, ასეთ ქვეყნებში პოლიტიკოსები უფრო ბევრს თავნებობენ და ბევრ შეცდომასაც უშვებენ. ეს საკითხი აბსოლუტურად კორექტულია და, პრინციპში, თუ კითხვები იარსებებს, ამაში არ არის ტრაგედია. მთავარია, რომ ყველაფერი იყოს სამართლიანად, არ იყოს პოლიტიკურად ანგაჟირებული და პროცესი შერჩევითი არ იყოს. მთავარია, რომ ყველასთვის ყველაფერი გასაგები იყოს და სასამართლოსა თუ პროკურატურის ყველა ქმედება გამჭვირვალედ წარიმართოს. კანონის წინაშე ყველა ვალდებული ვართ, — აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დღეს მთელი ერი მის წასვლაზე საუბრობს. მკითხავები და ექსპერტები იმას არკვევენ, ვინ იქნება ბიძინას შემცვლელი. თავად პრემიერი მოგვიწოდებს, ამ თემაზე ყურადღება არ გავამახვილოთ და მთავარი ყურადღება საპრეზიდენტო არჩევნებისკენ მივმართოთ.

— პოლიტიკიდან წასვლის შემდგომ მე მთავრობას კულისებიდან არასდროს ვუხელმძღვანელებ. ამას აკეთებენ ისინი, ვინც ვერ ახერხებს, ფორმალურად მოვიდეს პოლიტიკაში და ლიდერი გახდეს. მე ეს მოვახერხე და ძალიან კარგადაც მოვახერხე. ამასთან, უკვე დაახლოებით წარმოდგენილი მყავს ჩემი შემცვლელი კანდიდატი და ისიც ვიცი, თუ როგორ გავაგრძელებ პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ მოღვაწეობას. ვიცი, რა უნდა გავაკეთო, როგორი მექანიზმით უნდა ვიმუშაო და როგორ შეიძლება დავეხმარო საზოგადოებას ჩემი აქტიურობით. ჩემი სურვილია, დავეხმარო საზოგადოებას ანალიზის გაკეთებაში და იმაში, თუ როგორ უნდა შევარჩიოთ, გამოვიცნოთ და გავარჩიოთ ღირსეული კანდიდატი. თუმცა, მე ვფიქრობ, ჯერ ეს ყველაფერი ნაადრევია და არ მინდა, ძირითადი აქცენტები ამაზე გადავიტანოთ. მე ჩემს განცხადებაში შეგნებულად ავარიდე თავი იმ მექანიზმების განხილვას, თუ როგორ და რისი საშუალებით ვაპირებთ ამას, არასამთავრობო ორგანიზაციას დავაარსებ თუ პირადად ვიაქტიურებ. არ მინდა, ეს დღეს პოლემიკის საგანი გახდეს. მე გთხოვთ, ძირითადი აქცენტი და პოლემიკა საპრეზიდენტო არჩევნებზე გადავიტანოთ. გარწმუნებთ, რომ ღირსეულ კანდიდატს წარმოგიდგენთ და ვიძლევი გარანტიას, რომ მთავრობა და ხელისუფლება, რომელსაც მე დავტოვებ, იქნება აბსოლუტურად თავისუფალი და პატიოსანი. მე ვიძლევი გარანტიას, რომ არ გვეყოლება კორუმპირებული ხელისუფლება და ჩვენ მოვახერხებთ, ვაკონტროლოთ ისინი და დროდადრო შენიშვნებიც მივცეთ. ჩემი პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ არასდროს გავაკონტროლებ მთავრობას კულისებიდან. ამას ისინი აკეთებენ, ვინც ვერ ახერხებს, ფორმალურად მოვიდეს პოლიტიკაში და ლიდერი გახდეს. მე ეს მოვახერხე და ძალიან კარგადაც მოვახერხე, — აღნიშნავს პრემიერი.

ივანიშვილი ჟურნალისტებს ყველაფრის ჩაზუსტებას სთხოვს. სამაგიეროდ, თავად ცოცხალი თავით არ გვეუბნება, ზუსტად როდის მიდის ხელისუფლებიდან. ამ თემაზე რებუსებით გვებაასება და ამაყია იმით, რომ მისი პროგნოზები ამართლებს. ამჯერად ამბობს, რომ ახალი პრეზიდენტების ვინაობა პირველივე ტურში გაირკვევა. პრემიერი იმაშიც დარწმუნებულია, რომ არჩევნებს გიორგი მარგველაშვილი მოიგებს. იმ შემთხვევაში, თუ მარგველაშვილმა ვერ მოიგო, პოლიტიკიდან იმაზე ადრე წავა, ვიდრე გუმანში ჰქონდა.

— თუ ჩემმა პროგნოზმა არ გაამართლა და მარგველაშვილი პრეზიდენტი ვერ გახდა, ამ შემთხვევაში მე ყველა გზა ხსნილი მექნება და იმაზე ადრე წავალ პოლიტიკიდან, ვიდრე ამას ვვარაუდობდი. იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოება ჩემ მიერ შეთავაზებულ კანდიდატურაზე უარს იტყვის, ჩემი ვარაუდი იმის შესახებ, რომ საზოგადოებას ჩემ მიმართ ზედმეტი ნდობა გააჩნია, აბსურდი აღმოჩნდება და გამოვა, რომ ჩემი მოღვაწეობის დროც დასრულებულია. რა თქმა უნდა, იმ ვალდებულებებზე, რასაც მე ვიღებ ჩემ თავზე, თუნდაც იმის შესახებ, რომ მე აქტიური ვიქნები 20 წლის შემდეგაც თუ რამდენსაც შევძლებ, იმდენი ხნის განმავლობაში და რომ საზოგადოებას ანალიზსა და სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში დავეხმარები, ალბათ, ამაზე უარის თქმაც მომიწევს. გამოვა, რომ ჩემი წერილი, რაც მე გამოვაქვეყნე, ყირაზე დგება და ვიღებთ ასეთ რამეს, რომ რაზეც მე მაქვს პრეტენზია, რომ კარგი ანალიზი ვიცი, სწორი ხედვები მაქვს და სწორ პროგნოზებს ვაკეთებ, აღმოჩნდება, რომ თურმე ეს დრო დასრულებულია. ისიც მგონია და წერილშიც დავწერე, რომ მე საზოგადოებისგან ზედმეტი ნდობა მაქვს და, თუ აღმოჩნდება, რომ ესეც არ არსებობს, ასეთ შემთხვევაში მე ჩავთვლი, რომ ჩემი ვალდებულებები შესრულებული მექნება და ყველა გზა გახსნილი მექნება — სადაც მომინდება, იქ ვიცხოვრებ და რასაც მენდომება, იმას გავაკეთებ. აღარ მექნება ვალდებულებები და თავისუფალი ვიქნები, — განაცხადა ივანიშვილმა.

საქართველოში პრეზიდენტობის სურვილი ბევრს გაუჩნდა. მათ შორის იყო სალომე ზურაბიშვილიც. თავიდან იყო ჭორები, რომ „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი ის იქნებოდა, ახლა კი ისე მოხდა, რომ ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა საპრეზიდენტო კანდიდატად დარეგისტრირებაც კი ვერ მოახერხა.

ივანიშვილის განცხადებით, სამწუხაროა, რომ ზურაბიშვილი კანდიდატად არ დაარეგისტრირეს. ივანიშვილის თქმითვე, ისიც ძალიან სამწუხარო და გულსატკენი ფაქტია, რომ ზურაბიშვილი ამ გაუგებრობაში მოქმედ ხელისუფლებას ადანაშაულებს.

— ძალიან სამწუხაროა, რომ სალომე ზურაბიშვილი ვერ დარეგისტრირდა, მაგრამ, ისიც ძალიან სამწუხაროა, რომ ის აქცენტების გადმოტანას ჩვენზე, ხელისუფლებაზე ცდილობს. მე, პირადად, ყველაფერს ვაკეთებ იმისთვის, რომ რაც არ მევალება, რაც არ შედის ჩემს უფლებებში, არ ვისარგებლო და არ გამოვიყენო. ძალიან ფრთხილად ვეკიდები სასამართლოს, ძალიან ვცდილობთ, რომ სასამართლოსა და ცენტრალურ საარჩევნო კომისიაზე, ძველი ხელისუფლების გავლენა მაქსიმალურად და ბოლომდე მოიხსნას. მე დავინტერესდი და საუბარი მქონდა დავით უსუფაშვილთან. სამწუხაროდ, სწრაფი გამოსავალი ვერ მოიძებნა. როგორი სტრუქტურებიც გვაქვს, ვალდებული ვართ, მათ პატივი ვცეთ, თუმცა, შეიძლება, გამოსავალი ყოფილიყო, რომ რომელიმე სტრუქტურას უფრო აქტიურად ემუშავა, ხოლო თუ ადგილი რაიმე კანონდარღვევას ჰქონდა, მე ჩემი მხრიდან ჩემს წილ პასუხისმგებლობას ავიღებ. სხვა მხრივ არ ვიცი, მას როგორ უნდა დავეხმარო, — განაცხადა პრემიერმა.

პოლიტიკიდან მიმავალმა ივანიშვილმა გუშინ ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ ვითარებაზეც ისაუბრა. მისი თქმით. დღეს ქვეყნის ეკონომიკური ვარდნა ნამდვილად შეინიშნება, თუმცა ამაში დამნაშავე არა ახალი, არამედ ძველი ხელისუფლებაა.

— თუ ციფრებს შევხედავთ, აშკარაა, რომ ეკონომიკური ვარდნა სახეზეა, მაგრამ, გარწმუნებთ, რომ აქ ახალი ხელისუფლების დანაშაული არაა, პირიქით, ეს წინა ხელისუფლების ხანგრძლივი მოღვაწეობის შედეგია. მაშინ როდესაც ეკონომიკა იმართებოდა არასწორი მეთოდებით და ის ზრდა, რაც ციფრებით იყო გამოხატული, ძირითადად მიღწეული იყო სახელმწიფო სტრუქტურების აქტიურობით და ერთი კაცის გადაწყვეტილებების შედეგად. ნაწილი სახელმწიფო ინვესტიციებისა ეფექტურად ხორციელდებოდა, მხედველობაში მაქვს ის ინფრასტრუქტურული პროექტები, რასაც სახელმწიფო ახორციელებდა და დღეს ახალი ხელისუფლება ამას უფრო მასშტაბურად და უფრო ხარისხიანად აკეთებს. სხვა დანარჩენი მშენებლობები, ქუთაისის პარლამენტი და ბათუმის თაუერი, რომელიც, სხვათა შორის, აბსოლუტურად გამოუყენებელი შენობაა და არ ვიცით, რაში გამოვიყენოთ, ასევე ანაკლიის აკვაპარკი და მსგავსი ობიექტები უხარისხოდ, ერთდღიანი ეფექტისთვის შენდებოდა და ამაში ხშირად კერძო კომპანიების რესურსებს იყენებდნენ. ძალიან ბევრი კომპანიაა, რომელსაც სახელმწიფომ მშენებლობის საფასური დროულად არ გადაუხადა და დააზარალა. მიდიოდა ბიზნესის რეკეტი და ყველა ამ ქმედებებმა კომპლექსურად განაპირობა ის ეკონომიკური ვარდნა, რომლის მომსწრენიც ჩვენ დღეს ვართ. ჩვენ უარი ვთქვით ასეთ ხელოვნურ დამახინჯებულ მეთოდებზე და დავიწყეთ სიტუაციის გადალაგება იმ რეფორმების გზით, რომლითაც დასავლეთ ევროპის ქვეყნებმა წარმატებას მიაღწიეს. ესაა თავისუფალი და კონკურენტუნარიანი ბაზარი, ასევე, სახელმწიფო სტრუქტურები ბიზნესის საქმიანობაში არ უნდა ჩაერიოს და ბიზნესი თავისუფალი უნდა იყოს. ესაა ის მეთოდები, რომლითაც ჩვენ ეკონომიკური განვითარების გრძელვადიან პერსპექტივას და არა მოკლე ვადებზე გათვლილ ეფექტს მივაღწევთ, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

საქართველოს პრემიერი რუსეთთან ასოცირდება. ჩვენში დღემდე ბევრს ჰგონია, რომ ივანიშვილი რუსული პროექტია. ის პოლიტიკაში მოსვლისას დაგვპირდა, რომ რუსეთთან ურთიერთობებს დაალაგებდა. ურთიერთობები ჯერ დალაგებული არ არის. პრემიერი ამბობს, რომ ეს დროში გაწელილი პროცესია და რუსეთთან ურთიერთობების დალაგების თემას ფრთხილად ეკიდება.

— რაც შეეხება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს, რუსეთში მოღვაწე უამრავმა ბიზნესმენმა გამოიჩინა ინიციატივა, რომ კონფლიქტის მოგვარებაში ჩაერთოს. მე მათ შევხვდი და ამისთვის მადლობაც გადავუხადე. დღეს უკვე შემიძლია საჯაროდ განვაცხადო, რომ ძალიან ვფრთხილობ, ვუფრთხილდები რუსეთთან ურთიერთობის დალაგების თემას. ვფრთხილობ გამონათქვამებსა და ყოველ გადადგმულ ნაბიჯებში, რომ არაფერი შეგვეშალოს. ეს თემა ძალიან ფაქიზია. მე ყველა ბიზნესმენს უარი ვუთხარი, კონფლიქტის მოგვარებაში მონაწილეობის მიღებაზე, რადგან მათ ამ ეტაპზე არ აქვთ რეალური პოტენცია, რამეთუ სიტუაცია ჯერ ზემოდან უნდა დათბეს და დალაგდეს. ბიზნესმენმა, რომელიც ზედმეტად იაქტიურებს, შესაძლოა, მძიმე შედეგიც მიიღოს, რადგან რამდენიმე მხრიდან მართული სიტუაცია კრემლისთვის შეიძლება გაუგებარი აღმოჩნდეს. წინა ხელისუფლების გაუგებარმა და გაუაზრებელმა განცხადებებმა ძალიან დააზიანა ჩვენი ქვეყანა. ჩვენ წინა ხელისუფლებისგან ძალიან მძიმე მემკვიდრეობა მივიღეთ. პირველ რიგში, ჩვენი ხელისუფლება უნდა მოიქცეს სწორად, რომ რუსეთთან ურთიერთობები დათბეს და ჩვენ ამას აუცილებლად მივაღწევთ, — აღნიშნა პრემიერმა.

გუშინ მის მიერ გაკეთებულმა განცხადებებმა ნაცმოძი გადარია. მათი განსაკუთრებული აღშფოთება ივანიშვილის მიერ ევრაზიულ კავშირთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებას მოჰყვა.

— რაც შეეხება ევრაზიულ კავშირს, მე ყურადღებით ვუყურებ მას და ვსწავლობ. ამ ეტაპზე კავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით არავითარი პოზიცია არ გაგვაჩნია. თუ პერსპექტივაში ვნახავთ, რომ ჩვენი ქვეყნის სტრატეგიისთვის ეს საინტერესო იქნება, რატომაც არა. თუმცა, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ამ ეტაპზე ჯერჯერობით პოზიცია არ გვაქვს, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

## იარაღის ქურდობის ფაქტზე 29 წლის მამაკაცი დააკავეს

დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ გამარჯვებაში, იარაღის ქურდობის ფაქტზე, 1984 წელს დაბადებული ბიჭიკო მ. დააკავეს. ქიზიყი.გე-ს ინფორმაციით,ბიჭიკო მ. წარსულში სამჯერაა ნასამართლევი და პატიმრობიდან ახლახან გათავისუფლდა. წინასწარი ინფორმაციით, ბოროტმოქმედმა ვალიკო სულაშვილის კუთვნილი 4 სხვადასხვა ტიპის სანადირო იარაღი, მისი საცხოვრებელი ბინიდან მოიპარა.

მომხდართან დაკავშირებით გამოძიებას შსს დედოფლისწყაროს პოლიციის სამმართველო აწარმოებს. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. მისი თქმით, ის ბინაში ფულს ეძებდა და რადგან ვერ იპოვა, იარაღი წამოიღო.

**ნიუსპრესი**

# ნანა დევდარიანი: „მარგველაშვილი უალტერნატივო არ არის“

ნონა ცაბაძე

### ინტერვიუ გლობალური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელ ნანა დევდარიანთან

***— ქალბატონო ნანა, პრემიერი აცხადებს, რომ ჩვენი პოლიტიკური სპექტრი უკეთესია, ვიდრე საზოგადოებაო და მართლაც ასეა?***

— საერთოდ პოლიტიკოსისთვის ასეთი შეფასება, რომ პოლიტიკური ელიტა უკეთესია, ვიდრე საზოგადოებაო, არაფერი კარგის მთქმელი არ არის იმიტომ, რომ პოლიტიკური ელიტა არის ამოზრდილი საზოგადოებიდან და ის პრინციპულად არ შეიძლება იყოს უკეთესი საზოგადოებაზე. მე თუ მკითხავთ, საზოგადოება გაცილებით მაღალი პოლიტიკური კულტურით გამოირჩევა, ვიდრე ჩვენი პოლიტიკური სპექტრი.

***— პრემიერი აცხადებს, რომ მისი წასვლის შემდეგ ხელისუფლებაში საკმაოდ ძლიერი გუნდი დარჩება. კარგ ზე კარგი მინისტრები გვყავსო...***

— ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი ის კი არ არის, რას იტყვის კოალიციის ლიდერი, ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, ხალხი როგორ უყურებს ამ პოლიტიკურ გუნდს. ყველა ერთნაირი არ არის, ზოგის მიმართ არის სიმპათიები და ზოგის მიმართ საერთოდ არ არის. ამდენად, ახლა, რამდენიც არ უნდა თქვას მან, რომ ეს არის იდეალური პოლიტიკური გუნდი, რა თქმა უნდა, ეს ასე არ არის და იმიტომაც არის, რომ ხალხში არის მოთხოვნილება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარების. ეს შეგონებები არა მგონია, რომ ამომრჩეველს აზრს შეუცვლის. რა თქმა უნდა, ეს არ არის იდეალური გუნდი და არ შეიძლება ბიძინა ივანიშვილმა ეს არ იცოდეს. უბრალოდ ის ამით ამართლებს თავის წასვლას, რომ კარგი გუნდი რჩება და ამიტომ მას შეუძლია, რომ წავიდეს. ის ვერაფრით ვერ გააქარწყლებს იმ უკმაყოფილებას, რომ ხალხმა აიტანა ძალიან ბევრი მისი კოალიციის წარმომადგენელი, მხოლოდ მისი ხათრით. რაკი მან შეაჩერა მათზე არჩევანი, მაგრამ თუ იგი მიდის, მაშინ მის გარეშე იგივე პოლიტიკური ფიგურები მის გარეშე მოსახლეობისთვის სულაც არ არის მისაღები.

***— ზედმეტად აქებს პოლიტიკურ გუნდს ბოლო დღეებია...***

— სწორედ ამით ამართლებს თავის გადაწყვეტილებას წასვლის თაობაზე.

***— მართლაცდა რამდენად ძლიერ გუნდს ტოვებს და მისი წასვლის შემდეგ ელით თუ არა პოლიტიკურ რყევებს?***

— რამდენად ძლიერია, ეს ჩანს იქიდან, რომ ბოლო შემთხვევას თუ არ ავიღებთ, მის ღია წერილს ვგულისხმობ, ტონს ყოველთვის იძლევიან ნაციონალები, დღის წესრიგს ისინი სთავაზობენ და კოალიცია ქართული ოცნება არის მხოლოდ მოპასუხის როლში. რამდენად გაუმკლავდებიან, მოდით, შევხედოთ ჩვენ თვითონ პარლამენტში რამდენი ჰყავს ნაციონალებს მოდებატე ადამიანი და რამდენია ასეთი ქართულ ოცნებაში. რამდენს შეუძლია ღირსეული ოპონირება გაუწიოს. რა თქმა უნდა, ეს ასე არ არის. პოლიტიკურ გუნდში რომ არ არის პოლიტიკოსების სიუხვე, ეს ივანიშვილმაც კარგად იცის. სასურველი იყო უკეთესი კონფიგურაცია, მაგრამ აქ საქმე ის კი არ არის, რასაც ეგ ამბობს, რომ სპორტსმენები, მომღერლები და არტისტები არ უნდა იყვნენ პარლამენტში, შეიძლება რომ იყვნენ, მაგრამ პოლიტიკოსები რომ ნაკლებად არიან, ეს არის პრობლემა.

***— ქალბატონო ნანა, ძალიან სერიოზულ პრობლემად აღიქვამს საზოგადოება იმას, რაც რეგიონებში ხდება გამგებლების და საკრებულოს თავმჯდომარეების დონეზე. რა ხდება? თითქოსდა მიზანმიმართულად მიმდინარეობს ნაციონალების დაბრუნება ხელისუფლებაში. რა პროცესებთან გვაქვს საქმე და რამდენად სახიფათოა ეს ყველაფერი ქვეყნისთვის?***

— მე შეგახსენებთ, როდესაც ოცნებაში მივედი, ზუსტად ერთი კვირის თავზე წამოვედი. ბიძინა ივანიშვილის პარტია უნდა შექმნილიყო მაშინ, არჩევნებამდე ერთი წლით ადრე. არჩევნების შემდეგ რომ დაიწყებ პარტიის ფორმირებას, ყოველთვის იქნება ეს პრობლემა. ვინც იბრძოლა, მიტინგებზე იარა, გარისკა, სამსახურები დაკარგა, ზოგი დაიჭირეს, ზოგს დევნიდნენ, ეს ხალხი ახლა არის პროცესების მიღმა დატოვებული და სრულიად გაუგებარი შემადგენლობაა ადგილობრივ ორგანიზაციებში. ბოლო ღია წერილში ყურადღება თუ მიაქციეთ, ივანიშვილი წერს ამის შესახებ, რომ პარტიის ფორმირება უნდა მოხდესო, მაგრამ ეს უკვე წელიწად-ნახევარია არ ხერხდება და თანამდებობიდან წასვლის შემდეგ თუ დაიწყებს ის პარტიულ მშენებლობას, კი ბატონო, მაგრამ გარკვევით აქვს ნათქვამი, რომ ჯერ ეს უნდა მოახერხოს. პროცესი კი ძალიან ნელა და ცუდად მიმდინარეობს. ხომ ვამბობ ადგილობრივ ორგანიზაციებში აღმოჩნდა ისეთი ხალხი, რომლებსაც საერთოდ არ უბრძოლია, ან მომლოდინეს პოზიციაში იყო, ან სულაც ნაციონალების მხარეს. წარმოიდგინეთ, ახლა რაიონებში გაცილებით უფრო მტკივნეულია ეს საკითხი, თბილისი მაინც დიდი ქალაქია და შეიძლება ნაძალადევის რაიონში მცხოვრებმა არ იცოდეს, რომ მაგალითად ისნის რაიონში ვიღაცა იყო ნაციონალების შტაბში, ან კოორდინატორი და ასე შემდეგ. რაიონში კი ყველაფერი ხელისგულზე დევს. ადამიანები ხედავენ, რომ გუშინ ვისაც ებრძოდნენ და ვინც მათ დევნიდა და სასტიკად ექცეოდა, დღეს აღმოჩნდნენ ქართული ოცნების რიგებში. ამით ვინ შეიძლება იყოს კმაყოფილი? ეს შეიძლება ივანიშვილმა არ იცოდეს, მაგრამ მაგალითად მარტვილის რაიონში ხომ მშვენივრად იციან, გუშინ და გუშინწინ ვინ სად იყო.

***— ქალბატონო ნანა, თავად გუნდის წევრები უწყობენ ამ პროცესს ხელს და რა ხდება, შეთქმულებაა გუნდში, არ***



***არის ერთიანობა თუ რა პროცესები მიმდინარეობს?***

— ქართული ოცნება არის კოალიცია, ეს არ უნდა დაგვავიწყდეს. კოალიციის შიგნით სხვადასხვა იდეოლოგიის და მრწამსის პოლიტიკური ძალები არიან გაერთიანებული. კონკურენციაა მათ შორის, ყველა თავისი პარტიის გაძლიერებას ცდილობს, ზოგი ამას პარლამენტს შიგნით აკეთებს და ზოგიც გარეთ, ვისაც როგორ გამოსდის და შეუძლია.

***— არ არის ერთიანობაო და გამოდის, რომ ივანიშვილის წასვლის შემდეგ კოალიცია შესაძლოა მარტივ მამრავლებად დაიშალოს?***

— ამას პრემიერიც არ გამორიცხავს, ის საუბრობს კიდეც ამაზე, რომ არ გამოვრიცხავ, რომელიმე სუბიექტმა დატოვოს გაერთიანება და მომავალ არჩევნებში დამოუკიდებლად იყაროს კენჭი, თუმცა ეს მისთვის იქნება უარესიო. კოალიცია საკმაოდ ფაქიზად მოსავლელია და ყოველთვის დიდია რისკები მისი დაშლის. თუმცა კოალიციაა და არა პარტია, ამ ხალხს ჯვარი არ აქვთ ერთმანეთზე დაწერილი, ისინი ერთი კონკრეტული მიზნისთვის გაერთიანდნენ, თვლიან, რომ მიზანი მიღწეულია და პრემიერის წასვლის შემდეგ ალბათ ეს პროცესიც დაიწყება.

***— თქვენი აზრით, ვინ შეიძლება იყოს პრემიერის შემცვლელი, ამაზე საზოგადოებაში სერიოზული მსჯელობა მიმდინარეობს. თავად პრემიერი აცხადებს, რომ ღირსეულ კანდიდატურას დაგიტოვებთო.***

— ძნელი სათქმელია, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებს პრემიერი. თუმცა არსებობს გონივრული ეჭვი, რომ არჩევანს ირაკლი ღარიბაშვილზე შეაჩერებს, პრემიერი გუნდიდან ყველაზე მეტად მას ენდობა. რამდენად ძლიერ კანდიდატს დატოვებს ამას დრო აჩვენებს. რამდენად შეძლებს ის ხალხის ნდობის და სიყვარულის მოპოვებას. ბიძინა ივანიშვლი საზოგადოებაში საკმაოდ დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. ხალხის დიდი სიყვარულითა და მხარდაჭერით შემოვიდა პოლიტიკაში.

***— ფიქრობთ, რომ მისი მემკვიდრე ივანიშვილის ჩრდილიდან ვერ გამოვა?***

— ასეც ნუ ვიტყვით. ამას დრო დასჭირდება, მან ყველაფერი საქმით უნდა დაამტკიცოს. შესაძლოა ისეთი ძლიერი აღმოჩნდეს, რომ ივანიშვილზე ეფექტურადაც მართოს მინისტრთა კაბინეტი. როდესაც ელცინმა 1999 წელს რუს ხალხს პუტინი წარუდგინა, მე მივდივარ და ეს იქნება პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელიო, მას სერიოზულად არავინ აღიქვამდა, თუმცა როგორც განვითარდა პროცესები, ყველამ კარგად ვიცით. ასე რომ, წინასწარ რაიმეს გადაჭრით თქმა ძნელია. ყველაფერს დრო გვიჩვენებს.

***— ქალაბტონო ნანა, თქვენი აზრით, როგორ უნდა მართოს ივანიშვილმა ქვეყანა გარედან, როცა ეს ახლაც უჭირს, როდესაც ქვეყანაში პირველი პირია და საზოგადოებრივი სექტორიდან რის გაკეთებას შეძლებს?***

— ის ბიზნესმენია და როგორც ჩანს, ყველაფერს ამ ჭრილიდან უყურებს. მას დღეს ხელფეხი აქვს შეკრული, რადგან თანამდებობის პირია. ალბათ, ფიქრობს, რომ როდესაც აღარ იქნება ხელისუფლებაში მას გაცილებით მეტი ინვესტიციების განხორციელება შეეძლება. ძლიერი და ჭკვიანი პოლიტიკოსი აუცილებელია ქვეყნისთვის, მაგრამ ყველაფერს მაინც ფინანსები წყვეტს. ყველასთვის დიდი სტიმული იქნება თუ ის სერიოზულ ინვესტიციებს განახორციელებს. ალბათ ქვეყნის დახმარებაში სწორედ ამას გულისხმობს.

***— მაშინ გამოდის, რომ კარგ და სასარგებლო საქმეს აკეთებს, როდესაც თანამდებობიდან მიდის?***

— ვნახოთ. წინასწარ რაიმეს თქმა ძნელია. ზოგჯერ ძალიან კარგი მიზნები და ზრახვები აქვთ ადამიანებს, მაგრამ ყველაფერი ისე არ გამოდის, როგორც ამის სურვილი აქვთ.

***— საუბრის ბოლოს ხელისუფლების საპრეზიდენტო კანდიდატზეც გკითხავთ. პრემიერი აცხადებს, რომ ივანიშვილი უალტერნატივო კანდიდატიაო. ისაუბრა იმის თაობაზეც, რომ ეს არჩევნები ყველაზე გამჭვირვალე და დემოკრატიული იქნება...***

— როდესაც თავად წარადგინა პრეზიდენტობის კანდიდატი, ის ვალდებულიც არის, რომ ასეთი განცხადებები აკეთოს, განაცხადოს, რომ ყველაზე ძლიერი კანდიდატია. ჩემი აზრით კი მარგველაშვილი უალტერნატივო ნამდვილად არ არის, პირიქით, სუსტი კანდიდატი მგონია. ივანიშვილი რომ დარჩენილიყო თანამდებობაზე, მასთან ერთად შესაძლოა მისი სისუსტე ასე თვალში საცემი არ ყოფილიყო, მის გარეშე კი ძალიან გაუჭირდება.

## ბიძინა ივანიშვილი: „პოლიცია ხალხის სამსახურშია და ამას მე არ ვახერხებ, ამას მინისტრი ახერხებს“

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, რომელიც მან დღეს მედიის წარმომადგენლებთან შეხვედრის დროს გააკეთა, ის მოქმედი მინისტრთა კაბინეტის მუშაობით კმაყოფილია.

„ჩვენი მინისტრთა კაბინეტი, ეფექტურად შერჩეული კადრებითაა დაკომპლექტებული, რომლებიც თავიანთ მოვალეობას თავს ძალიან კარგად ართმევენ. ნახეთ ნებისმიერი სამინისტრო და მინისტრი, თუნდაც შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი და ზოგადად პოლიციის სტრუქტურა აიღეთ, ხომ გვამადლიდნენ მუდმივად, რომ ქვეყანაში წესრიგიაო. ჩვენ ციხიდან 14 ათასი პატიმარი გამოვუშვით და პატიმრების რაოდენობა პრაქტიკულად გავანახევრეთ. რა თქმა უნდა მათგან ნაწილი ისეთი იყო, ვინც კრიმინალური სიტუაცია რეალურად დაამძიმა. და რა მოხდა, მოხდა ის, რომ ყველა ვხედავთ, რომ კრიმინალის წინააღმდეგ ბრძოლა ეფექტურად იმართება და ამასთან, სამართალდამცველი სტრუქტურების წარმომადგენელთაგან, მოქალაქეებზე არავინ ძალადობს. პოლიცია ნამდვილად ჩადგა ხალხის სამსახურში და ამას მე კი არ ვახერხებ, ამას შინაგან საქმეთა მინისტრი ახერხებს.

იგივე შემიძლია ვთქვა ჯანდაცვის მინისტრზე და სხვა მინისტრებზე, რომლებიც შესაძლოა საზოგადოების ყოველდღიური ყურადღების ცენტრში არ არიან, მაგრამ თავიანთ საქმეს ძალიან კარგად ართმევენ თავს“ – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

**ნიუსპრესი**

## ნინო ბურჯანაძე: „პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში, შევეცდები, პრემიერი დავარწმუნო, რომ პოლიტიკაში დარჩეს“



პოლიტიკური პარტია „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს“ ლიდერი და პრეზიდენტობის კანდიდატი ნინო ბურჯანაძე, ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის თაობაზე, პრემიერის მიერვე გაკეთებულ განცხადებებს ეხმაურება.

ნინო ბურჯანაძის თქმით, ივანიშვილის წასვლა ქვეყანაში სერიოზულ პრობლემებს წარმოქმნის. მისივე განცხადებით, პრემიერის მხრიდან, პოლიტიკიდან წასვლა ნაადრევი და სამწუხარო იქნება.

პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში კი, ნინო ბურჯანაძე, პოზიციის შეცვლასთან დაკავშირებით, ივანიშვილის დარწმუნებას გეგმავს.

„ვწუხვარ, რომ ბატონ ბიძინას აქვს განწყობა, რომ ის ასე მალე წავიდეს პოლიტიკიდან. თუმცა ბუნებრივია, ჩვენ ძალიან ვაფასებთ მის წვლილს იმ ძალიან ბევრ საქმესთან დაკავშირებით, რომელიც მას საქართველოსთვის გაუკეთებია. ჩვენ მის არჩევანს პატივი უნდა ვცეთ, თუმცა კიდევ ვიმეორებ, – მე, პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში, შევეცდები დავარწმუნო ბატონი ბიძინა, რომ გარკვეული პერიოდი პოლიტიკაში დარჩეს, რადგან ვთვლი, რომ საქართველოსთვის ძალიან კარგი იქნება ბურჯანაძე პრეზიდენტად და ბიძინა ივანიშვილი პრემიერ-მინისტრად.

ამასთან, მისი წასვლით ქვეყანაში სერიოზული პრობლემები წარმოიქმნება, თუმცა ამ პრობლემებს მე თავს ნამდვილად გავართმევ.

როდესაც ბატონი ბიძინა აკეთებს განცხადებას, რომ ყველა შემთხვევაში აპირებს წასვლას პოლიტიკიდან, მით უფრო, ამ ფონზე საზოგადოება არჩევანის გაკეთებაზე უნდა დაფიქრდეს და ვფიქრობ, რომ ეს არჩევანი მარგველაშვილის სასარგებლოდ ნამდვილად არ იქნება“ – განაცხადა პრეზიდენტობის კანდიდატმა.

**ნიუსპრესი**

## გია გაჩეჩილაძე: „ნაციონალების მცდელობა, შექმნან ფონი, რომ კრიმინოგენური ვითარება მძიმეა, პიარია და არ გამოუვათ“



საპარლამენტო უმრავლესობის წევრი გია გაჩეჩილაძე, შსს-ს საქმიანობასთან დაკავშირებით „ნაციონალური მოძრაობის“ წევრთა განცხადებებს პასუხობს და მათ სტატისტიკურ მონაცემებში ჩახედვისკენ მოუწოდებს.

„ძალიან უსამართლო განცხადებები გაკეთდა და იძულებული ვარ, კომენტარი გავაკეთო, განსაკუთრებით შსს-ს საქმიანობასთან დაკავშირებით. საკუთარ სტატისტიკაში ჩაიხედეთ, რომლის თანახმადაც, თუნდაც 2011 წელს, 1500-მდე მძიმე დანაშაული იყო დაფიქსირებული. აქედან 350-მდე მკვლელობა, ყაჩაღობა და ძარცვა – 700 თუ 800, გაუპატიურება კი რამდენიმე ასეული. თქვენს მართვად ტელევიზიებს ეს რომ გაეშუქებინათ, მაშინ რა დანაშაულის ზრდაზე იქნებოდა ლაპარაკი დღეს, ძალიან საინტერესოა. ახლა რომ თქვენი ტელევიზიები ნებისმიერ ფაქტზეა ჩასაფრებული, სად რა მოხდა, ამით თქვენ გინდათ შექმნათ ფონი, რომ დანაშაულმა იმატა. ეს პიარია და არ გამოგივათ. ჩაიხედეთ თქვენს სტატისტიკაში და თუ ახალი შსს-ს ეფექტურობაზე გინდათ საუბარი, მაშინ ვთქვათ ისიც, რომ ახალმა შსს-მ ერთჯერადად 116 კილოგრამი ჰეროინი დააკავა, მაშინ როცა თქვენი სამინისტრო 7-8 გრამს აკავებდა წელიწადში. ნუ დაგვავიწყდება ისიც, რომ მაშინ გაერო ოფიციალურ მონაცემებს აქვეყნებდა იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოში წელიწადში 9 ტონა სუფთა ჰეროინი შემოდიოდა და ფოთის პორტიდან 8 ტონა ჰეროინი გადიოდა“ – განაცხადა გია გაჩეჩილაძემ.

**ნიუსპრესი**

## შსს–მ განსაკუთრებით დიდი ოდენობით „ჰეროინი“ ამოიღო

სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ნარკოდანაშაულის ბრალდებით, სარფის სასაზღვრო გამშვები პუნქტის მიმდებარე ტერიტორიაზე, 1986 წელს დაბადებული პაპუნა მ. დააკავეს. სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა 20 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული ნივთიერება „ჰეროინი“ თურქეთიდან საქართველოში სხეულით შემოიტანა. ექსპერტიზის დასკვნით ამოღებულია 1,0032 გრ „ჰეროინი“.

ნარკოლოგიური შემოწმებით დადგინდა, რომ დაკავებისას პაპუნა მ. ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა-გადაზიდვის და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 262-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს. ჩადენილი დანაშაული რვიდან ოც წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

**მედიანიუსი**

# ზაზა ხატიაშვილი: „ღარიბაშვილმა, ნაცვლიშვილმა და კბილაშვილმა გაუგონარი ძალადობა ჩაიდინეს“

შორენა გონგლაძე

**საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილი პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს ღია წერილით მიმართავს. წერილში საუბარია იმ კანონდარღვევებზე, რასაც ადგილი აქვს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურის მხრიდან. ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე პრემიერს რეაგირებას სთხოვს.**

— ბატონო პრემიერო, თქვენ, ორი დღის წინ, საზოგადოებას ღია წერილით მოგვმართეთ, სადაც თქვენი და თქვენი მთავრობის მიერ განხორციელებულ რეფორმებზე და მიღწევებზე ისაუბრეთ. ასევე დაგვაიმედეთ, რომ მალე სამოქალაქო საზოგადოების გვერდით გიხილავთ, რომლის აღორძინებაც გადაგიწყვეტიათ. ბატონო პრემიერო, თქვენი ღია წერილის წაკითხვის შემდეგ დამრჩა შეგრძნება, რომ გამოქვეყნებამდე ღია წერილი წაკითხული არ გქონდათ. თუ მე ვცდები და ღია წერილი თქვენი დაწერილია, მაშინ ჩვენი საქმე უფრო ცუდად ყოფილა. აღნიშნული შთაბეჭდილება შემდეგი გარემოებების გამო დამრჩა, რომელსაც ქვემოთ მოგახსენებთ. ღია წერილში ვკითხულობთ: „მე მოვედი ხელისუფლებაში იმიტომ, რომ საზოგადოება დამეცვა და ეს წარმატებით მოვახერხეთ კიდეც იმით, რომ დღეს ხელისუფლება ყველა წინამორბედზე უკეთესია და საზოგადოებაც ყველაზე მეტად დაცულია ხელისუფლების თვითნებობისაგან..... ვფიქრობ, მინისტრები საკმაოდ კარგად არიან შერჩეული და თუ რეალობის გათვალისწინებით ვითარებას გავაანალიზებთ, მთავრობის საქმიანობა მაქსიმალურად ეფექტურია. მე, როგორც მთავრობის მეთაურმა, თითოეული სამინისტროს სტრატეგიული საკითხების ჩამოყალიბებაში აქტიური მონაწილეობა მივიღე და ამ სტრატეგიის ფარგლებში თითოეულ მინისტრს მოქმედებისა და გადაწყვეტილებების მიღების სრული თავისუფლება მივეცი“. ბატონო პრემიერო, მე მინდა, შეაგხსენოთ თქვენი საარჩევნო ლოზუნგი — „სამართლიანი სასამართლო და სამართლიანობა“. ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად, სამართლიანი სასამართლოს ცნების ძირითად პრინციპს წარმოადგენს „დაცვისა და ბრალდების“ თანასწორობის პრინციპი. მიუხედავად ჩემი მომართვისა, თქვენ მე პასუხი არ გამეცით და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 111-ე მუხლის მე-2 ნაწილი, ძველი რედაქციით, დატოვებით 2014 წლის პირველ სექტემბრამდე. შესაბამისად, უარი თქვით სამართლიანი სასამართლოს პრინციპზე. 2014 წლის პირველი სექტემბრიდან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 84-ე მუხლი უქმდება, რომელიც დაცვის მხარესთვის მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენს. კერძოდ, აღნიშნული ნორმა დაცვის მხარეს უფლებას აძლევს სასამართლოში საქმის არსებითი განხილვაზე, ერთი ისეთი მტკიცებულება წარადგინოს, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაცვის უზრუნველსაყოფად, რაც არ იწვევს ამ მტკიცებულების დაუშვებლობას, — აცხადებს ხატიაშვილი.

როგორც ხატიაშვილი საკუთარ წერილში ამბობს, შინაგან საქმეთა სანიმისტროში დღეს არსებული მდგომარეობა არაფრით განსხვავდება წინა ხელისუფლების დროს არსებული ვიათრებისგან.

— დღეს შინაგან საქმეთა სამინისტროში ზუსტად იგივე მდგომარეობაა, როგორიც სააკაშვილის რეჟიმის დროს იყო. ჩემი შეხედულებით, პოლიციის ძალადობა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 111-ე მუხლი მე-2 ნაწილის ახალი რედაქციით ამოქმედებას უნდა დაებალანსებინა, რათა დაცვას მისცემოდა უფლება შუამდომლობით მიემართა სასამართლოსთვის ჩხრეკისა და ამოღების თაობაზე, რადგან თუ დაცვას ექნება ეს უფლება შესაძლებელი იქნებოდა პოლიციის დაწესებულებებში არსებული ძალადობის შეჩერება. დღეს, სამოქალაქო საზოგადოება დაუცველია როგორც არასდროს, სამოქალაქო საზოგადოებას არ გააჩნია პოლიციური ძალადობისგან თავის დაცვის შესაძლებლობა, არ აქვს უფლება ადვოკატის მეშვეობით გამოითხოვოს ელემენტარული მტკიცეულება, თქვენ კი თურმე სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებაზე ფიქრით არ გძინავთ ღამეები. სამი თვის წინ, პოლიციის დაწესებულებაში მოწმის სტატუსით მიყვანილი მამუკა მიქაუტაძე, სიცოცხლეს თვითმკვლელობით ასრულებს. ექსპერტიზის თანახმად, მას წამების კვალი აღენიშნება, მაგრამ თქვენ აღნიშნულ საკითხზე განცხადებას არ აკეთებთ და გავიწყდებათ თქვენი 1,5 წლის წინანდელი განცხადება ქიმერიძის საქმესთან დაკავშირებით. უნდა აღინიშნოს, რომ ქიმერიძის საქმეზე მაშინდელმა შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა, პოლიციის უფროსი თანამდებობიდან გაათავისუფლა. ამ ფაქტის შესახებ თქვენი კომენტარი იყო, რომ ხელისუფლებამ უკან დაიხიაო. მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო საზოგადოებამ ბრძოლით მივაღწიეთ იმას, რომ მოწმედ დაბარებული პირი დაკითხულიყო პირდაპირ სასამართლო პროცესზე. თქვენ ჩაიდინეთ არნახული ძალადობა სამოქალაქო საზოგადოებასთან მიმართებაში. კერძოდ, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 3 ივლისის სხდომაზე მიიღეთ გადაწყვეტილება და მიმართეთ პარლამენტს, რათა პარლამენტმა შეიტანოს ცვლილება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 332-ე მუხლში და 2014 წლის დეკემბრამდე გადაიდოს მოწმედ დაბარებული პირის პირდაპირ სასამართლოში დაკითხვა. კიდევ კარგი პარლამენტმა თქვენ არ დაგიჯერათ და სამოქალაქო საზოგადოება გადარჩა თქვენს, კიდევ ერთ, მიზანმიმართულ დარტყმას. ტელევიზიის საშუალებით მთელმა საქართველომ იხილა, სამართალდამცავებმა როგორ დაადეს ბორკილები მოწმის სტატუსით გამოძახებულ მოქალაქეებს, რომლებიც შემდეგ დაკითხვის გარეშე გაათავისუფლეს. თქვენ პრესკონფერენციაზე საჯაროდ დააფიქსირეთ თქვენი აზრი, რომ ეს იყო დაკავება. მაშინ გამოდის, რომ ადგილი ჰქონდა უკანონო დაკავებას. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 147-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, განზრახ უკანონო დაკავება ორ წლამდე თავისუფლების შეზღუდვით ისჯება, ან თავისუფლების აღკვეთით ხუთიდან რვა წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ. ვინაიდან მოქალაქეთა ნების წინააღმდეგ მათი უკანონო გადაადგილება მოხდა, სამართალდამცავი ორგანოს მუშაკების მხრიდან ჩადენილია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული — თავისუფლების უკანონო აღკვეთა ორი ან მეტი პირის მიმართ, რომელიც თავისუფლების შვიდიდან ათ წლამდე აღკვეთით ისჯება. ასევე, სამართალდამცავების მხრიდან ჩადენილია სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, რაც სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაა. ყველა იმ პირს, ვინც მონაწილეობდა მერიის მაღალჩინოსნების უკანონო დაკავებაში, თავისუფლების მინიმუმ ხუთი წლით აღკვეთა ემუქრება. თქვენ ამაზეც არ აკეთებთ კომენტარს, — აცხადებს ხატიაშვილი და პოლიციელების მხრიდან კანონდარღვევებზე საუბრობს.



— მამუკა მიქაუტაძემ და მერიის ჩინოვნიკებმა მოწმეებზე ბორკილების დადების ფაქტი იხილეს, რასაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ იცნობს. მთელმა საქართველომ იხილა მამუკა მიქაუტაძეზე დადებული ბორკილები, მაგრამ შინაგან საქმეთა სამინისტრომ დანაშაულის კვალი ვერ დაინახა თავისი თანამშრომლების მოქმედებაში, რაც ძალაუნებურად სააკაშვილის და მერაბიშვილის მმართველობას გვახსენებს. თქვენს ფავორიტს, შინაგან საქმეთა მინისტრს, ირაკლი ღარიბაშვილს თქვენ ყველაფრის უფლება მიეცით, რაც არის საგანგაშო ფაქტი. დაუსჯელობის სინდრომით გათამამებულმა ირაკლი ღარიბაშვილმა, ლაშა ნაცვლიშვილმა და არჩილ კბილაშვილმა სამოქალაქო საზოგადოებასთან მიმართებაში გაუგონარი ძალადობა ჩაიდინეს და „ოპერაცია გირგვლიანი 2“ გაიმეორეს. ნაცვლად იმისა, რომ მათი პასუხისმგებლობის საკითხი დაგეყენებინათ, როგორც ამას წინასაარჩევნოდ გვპირდებოდით, ღია წერილი მოგვწერეთ საზოგადოებას და თქვენი მინისტრების ქებით დაიღვარეთ. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, 2012 წლის 18 დეკემბერს საქმეზე „დვალიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ გადაწყვეტილება გამოიტანა და ერთსულოვნად დაადგინა, რომ კონვენციის მე-3 მუხლი — „წამება, არაადამიანური და არაჰუმანური მოპყრობა“ დაირღვა. მომჩივანი რევაზ დვალიშვილი, 2005 წლიდან ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ იგი გახდა წამების მსხვერპლი წყალტუბოს რაიონის პოლიციის მუშაკების მხრიდან. რევაზ დვალიშვილი 2006 წლიდან მოყოლებული ამტკიცებდა, რომ ის დაზიანებები, რომლებიც მას აღმოაჩნდა სამედიცინო დასკვნის შედეგად, უშუალოდ პოლიციაში წამების შედეგად აქვს მიღებული. კერძოდ, წყალტუბოს პოლიციის მუშაკებმა რევაზ ქობულიამ, მალხაზ მჟავიამ, ბადრი ღაჭავამ, ზვიად აფციაურმა და გამომძიებელმა მერაბ ქორიძემ იგი პოლიციის განყოფილებაში დააგდეს, ფეხებით შესდგნენ, წიხლებით სცემდნენ და ხელის თითებს უჭეჭყავდნენ. შემდეგ ფეხებით დაკიდეს ზევიდან ქვევით, დაასხეს „კოკა-კოლა“ იატაკზე და ენით აალოკინეს. როგორც საქართველოს სინამდვილეში ხდება, საქართველოს პროკურატურამ გაამართლა მოძალადე პოლიციელები, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ რევაზ დვალიშვილმა დაზიანებები მიიღო უშუალოდ დაკავების პროცესში, მიწაზე ერთჯერადი დაცემით, — აცხადებს ხატიაშვილი, მისი თქმით, აღნიშნული საქმე ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოშია გასაჩივრებული.

# სერგო ჯავახაძე: „ქართული ოცნება“ წინასაარჩევნოდ შექმნილი რაღაც რესურსია“

## ნოღაიდელის ადგილი პოლიტიკაში არ არის!

თამარ ნინიძე

### ინტერვიუ პარტია „მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის“ თავმჯდომარე სერგო ჯავახაძესთან

***— რატომ გადაწყვიტეთ კენჭისყრა საპრეზიდენტო არჩევნებზე?***

— ბევრი მიზეზი ჰქონდა ამას. ჩვენ ვაპირებდით შალვა ნათელაშვილის მხარდაჭერას, ჩვენ გვსურს, მონაწილეობა მივიღოთ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, ეს საპრეზიდენტო არჩევნები კი კარგი გენერალური რეპეტიცია იქნებოდა პარტიის რეგიონული სტრუქტურების შემოწმებისთვის, ადგილობრივი არჩევნები ჩვენთვის მნიშვნელოვანია, ვართ კვალიფიციური სუბიექტები, საკმაოდ სოლიდური სარეკლამო დრო გამოგვეყოფა, ასევე მიმაჩნია და ეს არ არის ირონიით ნათქვამი, რომ სუსტი საპრეზიდენტო კანდიდატები არიან ამ არჩევნებზე. საკმაოდ რეალურად მიგვაჩნია იმ პროცენტების დადება, რასაც ჩვენ ვაპირებთ, რომ დავდოთ.

***— სუსტი ახსენეთ, მაინც, ვინ გყავთ მხედველობაში?***

— ხელისუფლების კანდიდატი, მარგველაშვილი, სუსტია, რადგან ნებისმიერი ვინც უნდა წამოეყენებინა ივანიშვილს, მაინც მისი მხარდაჭერით ისარგებლებდა. თუ მიაქციეთ ყურადღება მცდელობა იყო, რომ პარლამენტს დაენიშნა საქართველოს პრეზიდენტი. როცა რეაქცია დაინახეს საზოგადოებიდან ეს საკითხი აღარ გავიდა. ბაქრაძეს რაც შეეხება, არ ვიცი, რამდენად გამართულად იმუშავებს ნაცმოძრაობის მანქანა, მაგრამ მისი გამარჯვების შანსი სათუოა. ბურჯანაძეს რაც შეეხება, ადმინისტრაციული რესურსი სერიოზულად იმუშავებს, მაგრამ შეეცდება იმ შედეგის მიღებას, რისი იმედიც აქვს. თუმცა პარტიიდან პარტიაში გადასვლის ფაქტებს ვხედავთ, რაც ძალიან გახშირდა და ვხედავთ, რა ტიპის ადამიანები გადადიან სხვადასხვა პარტიებში, გარკვეული პერიოდის წინ ჩვენც აღმოვჩნდით ასეთ სიტუაციაში, ჩვენგანაც წავიდა



ხალხი, ჯერ „ქართულ ოცნებაში,“ მერე ბურჯანაძესთან გადავიდნენ, ყველა აღიარებს, რომ „ქართული ოცნება“ პარტია კი არ არის, არამედ წინასაარჩევნოდ შექმნილი რაღაც რესურსია.

***— ადმინისტრაციული რესურსი ბურჯანაძეს ხელს შეუშლის, მაგრამ თქვენც, ალბათ, ხელს შეგიშლით.***

— ჩვენ განსხვავებულ საარჩევნო კამპანიას წარვმართავთ. ეს არ იქნება ისეთი წინასაარჩევნო კამპანია, რომელსაც ხალხი უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში ხედავს. ჩვენი კამპანია იქნება სოლიდური და პრაგმატული, დარწმუნებული ვარ, ჩვენი გზის სისწორეში დავარწმუნებთ ჩვენს ამომრჩეველს. პოლიტიკურ სივრცეში ახალი ხედვები უნდა ჩამოყალიბდეს, ოცდაორი წელია, ერთი და იგივე ადამიანები ტრიალებენ პოლიტიკაში. დროა, ახალმა პოლიტიკოსებმა თქვან თავიანთი სიტყვა, ბოლო ორი წელია გამოვჩნდი ქართულ პოლიტიკაში, ახალი სახეები უნდა გამოჩნდნენ, მოძველებული მეთოდებით ცდილობენ ძველი პოლიტიკოსები ამომრჩევლის გულის მოგებას. ადმინისტრაციული და ფინანსური რესურსი ორ პოლიტიკურ ძალას შორის არის გადანაწილებული, „ქართულ ოცნებასა“ და ნაცმოძრაობას შორის. ჩვენ დავინახეთ, რომ სკოლების სახელმძღვანელოებში დარიგების პროცესი ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაა, ბიძინა ივანიშვილმა საჩხერეში განაცხადა, რომ ბიუჯეტიდან კი არა, არამედ სწორედ მარგველაშვილის დამსახურებიდან გამომდინარე დაიწყება ამ პროექტის განხორციელება. ეს არის ადმინისტრაციული რესურსის ძალიან უხეში გამოყენება. სააკაშვილის მიერ განცხადებული გადაწყვეტილება ადამიანის ნასამართლეობის მოხსნა, მაგრამ ესეც ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაა. კარგად ვხედავთ, ვის ხელშია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, ძალიან გაუჭირდება ყველა კანდიდატს, მაგრამ, ვფიქრობ, რომ ის გეგმა, რომელიც გვაქვს ჩვენს მიერ შესრულდება.

***— რა იქნება თქვენი საპრეზიდენტო პროგრამის პრინციპები, რით აპირებთ ამომრჩევლის მხარდაჭერის მოპოვებას?***

— ყველა არჩევნების წინ გვესმის, რომ პენსიები იზრდება. იგივე გვესმის „ქართული ოცნების“ პლატფორმაშიც. ნაცმოძრაობა ინფრასტრუქტურებისა და სახელმწიფო ორგანოების გაძლიერებაზე აკეთებდა აქცენტს, მაგრამ ამ ცხრა წლის განმავლობაში არ უფიქრია იმაზე, რომ სახელმწიფოს მთავარი საზრუნავი ადამიანია. ახლა ამბობენ, აშენდება ასი ქარხანა, მოხდება ხალხის დასაქმება. ეს არ არის ის მოდელი, რომელიც ქვეყანაში შექმნის საშუალო ფენას, არც ის მექანიზმია, რომელიც განავითარებს მცირე და საშუალო ბიზნესს. ჩვენ პროგრამაში ძირითადი პრინციპი იქნება ის, რომ პირველი საზრუნავი ადამიანი და მისი კეთილდღეობაა. ადამიანი არ უნდა ელოდებოდეს ქარხნის აშენებას, დღესვე შეიძლება, სახელმწიფომ შესთავაზოს მას ისეთი მექანიზმები, რომელიც მას საშუალებას მისცემს, ხელი მიუწვდებოდეს ფინანსებთან. კრედიტის აღება უნდა გაადვილდეს, ნუთუ ამის გაკეთება დღეს წამყვან ბანკებს არ შეუძლიათ? თუ ისინი ვერ შეძლებენ ამას, მაშინ სხვა ბანკები უნდა წამოვიდნენ წინა პლანზე, რომლებიც ადამიანებს მისცემენ სამპროცენტიან კრედიტებს და არა თვრამეტპროცენტიანს, ადამიანებს ფულთან წვდომა დღეს ძალიან უჭირთ. ვხედავთ, მხოლოდ დეკლარირებულ განცხადებებს ევროინტეგრაციის შესახებ, მაგრამ რეალურად გადადგმულ ნაბიჯებს ევრ ვხედავთ. ევროინტეგრაციის გზაზე ვხედავთ, რომ ევროპაში რაც მეორეხარისხოვანი პრობლემებია, ამის წამოწევა ხდება, მაგალითად ლგბტ ადამიანების პრობლემების წამოწევა და არა რეალური

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# აკაკი ასათიანი: „ივანიშვილი ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების შემდეგ უნდა წასულიყო“

ნონა ცაბაძე

## ინტერვიუ აკაკი ასათიანთან

***— ბატონო აკაკი, პრემიერ-მინისტრმა ღია წერილით მიმართა საზოგადოებას. ის ვრცლად საუბრობს და აფასებს მისი ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდს და შემდგომ პერიოდსაც, როდესაც ის წავა ხელისუფლებიდან. რა დადებითი შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამას ან რა რისკებს უკავშირდება მისი პოლიტიკიდან წასვლა?***

— მე ვფიქრობ, რომ ამაზე გამუდმებული ლაპარაკი ხელს არ უწყობს სტაბილურობას, თუმცა, ბოლოს და ბოლოს, ეს მისი ნებაა. მან ძალიან სერიოზული როლი შეასრულა, მე ვიტყოდი, ისტორიულიც, პოლიტიკაში შემოსვლით. მისი განცხადება, რომ ქვეყანა უნდა გათავისუფლდეს მესიის სინდრომისაგან, ეს იქნებოდა სწორი, ოღონდ სხვა ქვეყანაში და სხვა ვითარებაში. ალბათ, ჯობდა, ორი წელი მაინც ყოფილიყო ქვეყნის მმართველობაში, დალაგებული ვითარება და მერე გადადგმულიყო ეს ნაბიჯი, თუმცა თავად ასე არ ფიქრობს. ჩემი აზრით, ჩვენდა სამწუხაროდ, ეს ერთი წელი ტყუილად დაიკარგა. არ გადაიდგა სერიოზული ნაბიჯები, დასაწყისში თითქოს დაიწყეს პოზიტიური ნაბიჯების გადადგმა და პირადად მე მეგონა, რომ თანდათანობით პოზიტივისკენ წავიდოდით, მაგრამ ასე არ მოხდა, ყველა მიმართულებით შეჩერდა ეს ყველაფერი. გაუგებარი იყო ეს კოაბიტაციაც, რატომ უნდა მოეხვიათ ძალით საზოგადოებისთვის თავს? ყველაფერს დარქმეოდა თავისი სახელი და დასჯილიყვნენ ის ადამიანები, რომლებსაც დანაშაული ჰქონდათ ჩადენილი. ეს ისეთი ვითარებაა და ამას თავადაც არ მალავს ივანიშვილი, რომ პოლიტიკა სიამოვნებას არ ანიჭებს და არც სურვილი აქვს პოლიტიკაში ყოფნის. პოლიტიკა, არა მგონია, ვინმეს სიამოვნებას ანიჭებდეს. პოლიტიკა გლეხის შრომას ჰგავს, რომელიც ბევრს წვალობს, შრომობს და შემდეგ შედეგით კმაყოფილია. მე მგონია, რომ უბრალოდ გარიგებას ჰგავს ეს ყველაფერი. ამის გაკეთება ყველაზე სწორი იქნებოდა, ადგილობრივი თვითმმართველობისა და ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების შემდეგ რომ გაეკეთებინა. თუმცა, საქმე მაინც მივა აქამდე. ქვეყანა სერიოზული პრობლემების წინაშე დგას დღეს, თუმცა არ არის იმ ტიპის პრობლემები, რომ ვერ გადაიჭრას. წასვლა უნდა და უნდა წავიდეს, ეს ამ ადამიანის ნებაა, რომელსაც წინ ვერავინ აღუდგება, თუმცა ეს მთავრობა და პარლამენტი მის გარეშე რას გააკეთებს, ეს ჩვენ არ ვიცით.



***— თუმცა პრემიერი აცხადებს, რომ არ იქნება პოლიტიკური რყევები, ქვეყანა წინ წავა, რომ ის ძლიერ გუნდს ტოვებს და ასე შემდეგ... თქვენი აზრით, რამდენად არის ეს ასე?***

— რყევები არც არავის არ უნდა, რომ იყოს, თუმცა გარკვეულ დონეზე ეს რყევები მაინც იქნება. ძლიერი გუნდიო. ძლიერი გუნდი რომ ყოფილიყო, ეს აქამდე გამოჩნდებოდა. პრემიერთან ერთად ვერაფერი შეძლეს და მის გარეშე რა იქნება? ალბათ, ეს არ არის ძნელი გამოსაცნობი, თუმცა საპანიკოც არაფერია, რაც არის, ეს არის. მოდით, ჩვენ ჩვენი ხედვები შევთავაზოთ საზოგადოებას და ვეცადოთ, ნორმალურ ჩარჩოებში დარჩეს პოლიტიკური პროცესები.

***— როგორ წარმოგიდგენიათ თქვენ ივანიშვილი საზოგადოებრივ ორგანიზაციაში? რა უნდა გააკეთოს, რითი უნდა დაეხმაროს ხელისუფლებას?***

— არ ვიცი ნამდვილად. ალბათ, მას წარმოუდგენია. თუ ვინმეს რამის გაკეთება უნდა, როდესაც ამხელა მხარდაჭერა აქვს საზოგადოების მხრიდან, პარლამენტში უმრავლესობით არის წარმოდგენილი და მაშინ ვერაფერს აკეთებ, ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ რა უნდა გააკეთოს? ეს ყველაფერი ხელისუფლებაში ყოფნისას უნდა გაეკეთებინა და სწორედ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ. მისი მხრიდან დღეს იმაზე ლაპარაკი, რომ დაბალი პოლიტიკური კულტურააო, არაა სწორი, ან ამ ხალხს შეშლია, ეგ რომ აურჩევია, ანდა, პირიქით, გამოუვლენია მაღალი პოლიტიკური კულტურა, როდესაც საყოველთაო რეჟიმის პირობებში ხმა მისცა „ქართულ ოცნებას“ და გაამარჯვებინა რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში. მე კი მგონია, რომ ჩვენი ხალხი საჭირო მომენტში საკმაოდ მაღალ პოლიტიკურ კულტურას ავლენს. სამწუხაროდ, ყოველდღიურად ეს არ ჩანს, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში ის ამას აკეთებს. ცოტა არ იყოს და არ არის სწორი განცხადება იმ კაცისაგან, რომელსაც ხალხმა ხმა მისცა. მიუხედავად იმხელა დაშინებისა და ტერორისა, ხალხის ერთსულოვნებამ შეძლო რეჟიმის დამარცხება და მისი ხელისუფლებაში მოყვანა და არასწორია, დღეს ამ საზოგადოებას პოლიტიკურ კულტურას რომ უწუნებ.

***— ბევრი იმასაც ამბობს, რომ ის, უბრალოდ, ადგა და გაეცალა სიტუაციას...***

— სიმართლე არ უნდა დავუკარგოთ, იმას ვერავინ იტყვის, რომ მან ხალხი მოატყუა, ის ამას თავიდანვე პოლიტიკაში მოსვლის დღიდანვე ამბობდა, რომ მალევე დატოვებდა პოლიტიკას. როგორც ჩანს, ხალხს არ სჯეროდა ამის.

***— დიახ, თავისი ნებით ჯერ არავინ წასულა ხელისუფლებიდან... ალბათ, მიუჩვევლები ვართ ასეთ ნაბიჯს.***

— ეს სხვა ქვეყანაში და სხვა ვითარებაში სერიოზული ამბავი იქნებოდა, ჩვენს რეალობაში კი მისი წასვლა ძალიან ადრეა. სერიოზული ნაბიჯები ჯერ არ გადადგმულა.

***— როგორ აფასებთ განვლილ ერთ წელს?***

— მე ვფიქრობ, რომ ეს ერთი წელი დაიკარგა. თითქოს რაღაც ნაბიჯები გადაიდგა სოციალური კუთხით, აღარ არის ის დაძაბულობა, შიში, რაც მანამდე იყო ხალხში, მაგრამ რეალურად გაკეთებული საქმე არ ჩანს.

***— ბატონო აკაკი, პრემიერი მიდის, თუმცა წინ საპრეზიდენტო არჩევნებია. რა პროცესებს ელით? თავადაც მონაწილეობთ ამ არჩევნებში, როგორ ფიქრობთ, ვის რა შანსები აქვს?***

— შანსი, ასე თუ ისე, ყველას აქვს. კანდიდატი უნდა ეცადოს, აუხსნას ადამიანებს, თუ რატომ უნდა დაუჭირონ მხარი, რას შეცვლის, რის გაკეთებას აპირებს. ისაუბროს პრიორიტეტებზე. ჯერჯერობით არავინ საუბრობს იმაზე, თუ რა არის გასაკეთებელი.

***— საკმაოდ დიდია პრეზიდენტობის მსურველთა რიცხვი და ეს რამდენად ნორმალურია ასეთი პატარა ქვეყნისთვის? ხომ არ აჯობებდა, ოპოზიცია ერთიან კანდიდატზე შეთანხმებულიყო და ერთმანეთისთვის ხმები არ წაერთმია?***

— ერთიან კანდიდატზე შეთანხმება, როგორც ყოველთვის, ახლაც ვერ მოხერხდებოდა. ეს სია გაიცხრილება და, ალბათ, დარჩება ათი კანდიდატი. ეს ყველგან ასე ხდება. შეერთებულ შტატებშია ორი საბოლოო, თორემ მანამდე ძალიან ბევრს უნდა ხოლმე პრეზიდენტობა.

***— თქვენ რამ გადაგაწყვეტინათ მონაწილეობის მიღება?***

— მე ვფიქრობ, რომ ქვეყანა გზაჯვარედინზე დგას და სერიოზული ნაბიჯებია გადასადგმელი. მე რა გამოცდილებაც დამიგროვდა ამ წლების განმავლობაში, მინდა, რომ ეს გამოცდილება ჩემს ქვეყანას მოვახმარო.

***— რამდენად გაქვთ მხარდაჭერის იმედი საზოგადოების მხრიდან? სოციოლოგიური კვლევები ცოტა სხვა სურათს დებენ...***

— მაქვს მხარდაჭერის იმედი. ეს ხალხის გადასაწყვეტია და ვნახოთ... მე იმედი მაქვს, გაიგებს ჩვენი საზოგადოება, რასაც ვთავაზობ, გაიზიარებს და მხარს დაუჭერს ყველაფერ ამას.

***— ამბობენ, რომ „ქართულ ოცნებას“ დღეს დავით ბაქრაძე ურჩევნია მეორე ადგილზე, ვიდრე სხვა ოპოზიციური ძალის წარმომადგენელი და, თქვენი აზრით, რატომ ხდება ასე?***

— მათ აწყობთ, ასეთი ოპოზიცია ჰყავდეთ, სახელგატეხილი და დისკრედიტებული. ერთია, მათ აწყობთ დ მეორეა ხალხის არჩევანი. მე არა მგონია, ხალხის სურვილი იყოს, რომ მეორე ადგილზე ნაციონალების კანდიდატი იხილოს.

***— რაც შეეხება ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს, რამდენად აქტიურად დადგება დღის წესრიგში ეს საკითხი?***

— აუცილებლად დადგება, იმდენად აქტუალურად, რომ გაისად აუცილებლად დაინიშნება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები. მე ვფიქრობ, ეს გარდაუვალი პროცესია.

***— როგორ ფიქრობთ, ივანიშვილის წასვლის შემდეგ დაიშლება ის გუნდი, რომელიც პრემიერმა შეკრა?***

— არ ვიცი. ყოველ შემთხვევაში, ძალიან გაუჭირდებათ ერთიანობის შენარჩუნება. სულ სხვა ვითარება შეიქმნება პრემიერის წასვლის შემდეგ და, ალბათ, გუნდშიც სერიოზული რყევები დაიწყება.

# სერგო ჯავახაძე: „ქართული ოცნება“ წინასაარჩევნოდ შექმნილი რაღაც რესურსია“

დასაწყისი მე-5 გვერდზე

ღირებულების წარმოჩენა, რაც ევროპას აქვს. აქცენტი იმაზე უნდა გაკეთდეს, ევროპაში როგორ არის საბანკო სისტემა, როგორ არის დაცული ადამიანი, როგორია ჯანდაცვის სისტემა, განათლების ხარისხი. შემიძლია, ამ საკითხებზე ვესაუბრო ხელისუფლების საპრეზიდენტო კანდიდატსაც და ფინანსთა დღევანდელ მინისტრსაც. მარგველაშვილს არ განვიხილავ, როგორც კოალიციის კანდიდატს, არამედ, როგორც ინდივიდს მარგველაშვილს, ის უნდა იყოს მთელი საქართველოს პრეზიდენტი, ასევე ჩემზეც ვამბობ, რომ მე ვიქნები მთელი საქართველოს პრეზიდენტი და არა კონკრეტულად „მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის, პარტიის პრეზიდენტი. თუ მეტყვით, რომ მარგველაშვილი არის ერთადერთი ადამიანი, ვისზეც უნდა გააკეთოს საქართველომ არჩევანი, მაშინ არაფერს ვიტყვი, მაგრამ ეს ასე არ არის. პიროვნულად კარგი და განათლებული ადამიანია, მაგრამ ის უალტერნატივო არ არის.

***— რა თქმა უნდა, მის გარდა, ორმოცდაორი ადამიანი არის მსურველი, დაიკავოს პრეზიდენტის პოსტი.***

— არა, ამას არ ვგულისხმობ. ეს არის ის ადამიანი, რომელიც წარმოადგინა კოალიციამ და ივანიშვილმა, სხვა რეიტინგის მაჩვენებელი მას არაფერი აქვს. 2009 წელს რომ შეედარებინათ ჩემი და მარგველაშვილის რეიტინგი, ჩემი რეიტინგი, რა თქმა უნდა, მეტი იქნებოდა. ახლა ამის შედარება რთულია. აღმასრულებელი ორგანო „ქართული ოცნება“, საკანონმდებლო ორგანო „ქართული ოცნება“ და ახლა უკვე პრეზიდენტი „ქართული ოცნებიდან“, ეს შეიძლება? არასწორია, ისევ სახელისუფლებო შტოების დაკავება ხდება ერთი ძალის მიერ. ხომ ვიცით, რა ემართებათ ადამიანებს, როცა ისინი ხელისუფლებაში მოდიან. ან იგივე გაგრძელდება, ან სიტუაცია გაუარესდება. მარგველაშვილი რამის დამბალანსებელი იქნება?

***— საინტერესოა, რა ხედვები გაქვთ საგარეო პოლიტიკაში?***

— დიახ, მოგახსენებთ, მნიშვნელოვანი იქნება დასავლური ვექტორი, მაგრამ საქართველო კოლექტიური უსაფრთხოების გარეშე თავს ვერ დაიცავს. ეს არ გულისხმობს მხოლოდ ნატოს, დღეს მხოლოდ ნატოს გავყვირით.

***— აბა, ეს ევრაზიული კავშირი იქნება?***

— არ არსებობს ასეთი გაერთიანება და არარსებულზე რატომ უნდა ვისაუბროთ. კოლექტიურ უსაფრთხოებაში ბევრი რამ იგულისხმება, კარგი სამეზობლო ურთიერთობები, მათში შედის სამხედრო ურთიერთობებიც. ფინეთს უსაფრთხოების კუთხით არავითარი პრობლემა არ გააჩნია. ფინეთი არ შევიდა ნატოში და თქვა, რომ რუსეთთან ურთიერთობას არ გააფუჭებს. ჩვენი ნატოში ინტეგრაცია ყოველთვის იქნება რუსეთისთვის გამაღიზიანებელი.

***— კოლექტიური უსაფრთხოება რას ნიშნავს? თქვენ ახსენეთ, რომ სამხედრო ხელშეკრულებები უნდა დაიდოს მეზობელ სამხედროებთან. რომელ მეზობლებთან?***

— ჩვენი ნებისმიერი ნაბიჯი ორიენტირებული უნდა იყოს ქვეყნის განვითარებასა და წარმატებაზე. არა ისე, რომ მოგვწონს მხოლოდ ამერიკა და ევროპა და უარს ვამბობთ ამხელა ჩრდილოელ მეზობელზე. რუსეთი არ დაუშვებს ნატოს ჯარების განთავსებას საქართველოს ტერიტორიაზე. თუ ეს გვინდა, კიდევ ერთი ცხელი წერტილი ვიქნებით და თანაც სამუდამოდ. ბევრ ქვეყანასთან შეიძლება ვისაუბროთ სამხედრო ხელშეკრულების დადებაზე, ამ ეტაპზე ეს რუსეთი არ იქნება, მაგრამ სხვა ქვეყნებთან ამის გაკეთება შესაძლებელია. მარტო ეს არ უნდა იყოს, ეს ცალსახაა. ქვეყნის უსაფრთხოების თვალსაზრისით ქვეყნის შიგნით გაცილებით მეტი პრობლემა გვაქვს, ვიდრე საგარეო პრობლემაა. სირიაში განვითარებული პრობლემაც სერიოზულია, ღმერთმა დაგვიფაროს, ამაში ჩვენც ჩავერთოთ. თურქეთი თუ ამაში ჩაერთვება, ნახეთ, თურქეთი ჩვენი ძირითადი იმპორტიორი ქვეყანაა, მისგან ვერაფერს მივიღებთ, სასურსათო მარაგები ჩვენს ქვეყანას ორ კვირაზე მეტად არ ეყოფა. სოფლის მეურნეობა განუვითარებელია, პროდუქტი არ იქმნება. როცა საუბარი იყო სოფლის მეურნეობის განვითარებასა და ერთმილიარდიან ფონდზე, შეიძლებოდა, მიზნობრივად მიეცათ გლეხებისთვის ეს თანხები.

***— რუსულ ბაზარზე გასვლის საკითხი, რომელიც რეკლამირებული იყო „ქართული ოცნებისგან“?***

— ამაშიც კატასტროფული მდგომარეობაა. გლეხმა როგორ უნდა გაიტანოს ეს პროდუქცია სახელმწიფოს დახმარების გარეშე რუსულ ბაზარზე, საზღვარზე როგორ უნდა გადაიტანოს? ფინანსთა სამინისტრომ გამოაცხადა, რომ ექსპორტი გაიზარდა 9%-ით. ყველა იფიქრებს, იმიტომ გაიზარდა, რომ რუსული ბაზარზე გავიდა, ეს გაზრდა მოხდა მხოლოდ რეექსპორტით სომხეთსა და აზერბაიჯანში ავტომანქანების გატანით. ეს ციფრებით მანიპულირება არ მთავრდება. არ ვიცი, რის ხარჯზე ზრდიან პენსიას. გვყავს ცხრაასი ათასი პენსიონერი, დასაქმებული უნდა გვყავდეს მინიმუმ სამჯერ მეტი ადამიანი, ამ დროს შრომისუნარიანი ორი მილიონი ადამიანიც კი არ არის. ემიგრანტები დასაბრუნებელი არიან, ეს პრობლემა მოსაგვარებელია. კატასტროფის წინაშეა განათლების სისტემა, მეცნიერების განვითარება. გაუნათლებელი ადამიანის შენახვა სახელმწიფოს გაუჭირდება. ამიტომ განათლებას ყველაზე მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს.

***— მინდა გკითხოთ, ასეთი საუბარია, რომ ნაცმოძრაობამ ნოღაიდელს პარტია დაუნგრია თქვენი დახმარებით. ამ ეჭვების გაქარწყლებას როგორ აპირებთ?***

— მე თუ დავანგრიე, რატომ არ ვარ ნაცმოძრაობასთან ერთად? ამაზე კომენტარს არც უნდა ვაკეთებდე. ჩემთან არანაირი ფინანსები არ მოედინებოდა ნაცმოძრაობიდან.

***— რატომ წავიდა ნოღაიდელი პარტიიდან?***

— ეს იყო შიდაპარტიული გადაწყვეტილება და პარტიამ გადაირჩია თავმჯდომარე. როგორ ფიქრობთ, ნოღაიდელის ადგილი არის ქართულ პოლიტიკაში? 2000 წლამდე ნოღაიდელს პარლამენტი უხდიდა ბინის ქირას და უცებ 2003 წლის შემდეგ 80–მილიონიან დეკლარაციას ადგენს, საიდან? დღეს კალაძე რომ ვერ აიაფებს ელექტროენერგიის გადასახადს, რა ხელშეკრულება დადო ენერგოპროსთან ზურაბ ნოღაიდელმა, რა ვალდებულება იყო ამის უკან აღებული?!

***— თქვენი პარტია ხომ ამ დროს შეიქმნა?***

— როგორ შეიქმნა იმ დროს. ის პარტიას კი არ ჩაუდგა სათავეში, პარტია ცოცხალი ორგანიზმია.

***— მან შექმნა ეს პარტია, ასე არ არის?***

— რას ნიშნავს, მან შექმნა? პარტია ფურცელზე დეკლარირებულია თუ ხალხს შეადგენს? ეს ის ხალხია, რომელიც დღეს ჩემთან არის. პარტიის შექმნას სჭირდება ორასი ლარი და ორასკაციანი ყრილობა. პარტია ნოღაიდელს არ შეუნახავს.

***— მაშინ, მისი როლი პარტიაში როგორი იყო?***

— ჰქონდა რაღაც სტრატეგია, გათვლები.

***— როცა მას ეს სტრატეგიები ჰქონდა და ჩადიოდა მოსკოვში, თქვენ ხომ იყავით ამის მომსწრე?***

— დღესაც ვამბობ, რომ ეს ნაბიჯი გამართლებული იყო და მოსკოვში უნდა ჩასულიყო. ჩვენ ხელშეკრულებას „ედინაია როსიასთან“ მხარი დავუჭირეთ, მე ვიყავი პარტიის გამგეობის წევრი.

***— რა ხელშეკრულება იყო, საზოგადოებამ დღემდე ვერ გაიგო.***

— ეს იყო ხელშეკრულება ჩვენს პარტიასა და „ედინაია როსიას“ შორის ინფორმაციის გაცვლაზე, პარტიული სტრუქტურების შესახებ. მაგრამ ეს ფარსი იყო და ვერ განხორციელდებოდა.

***— თუ თავიდანვე იცოდით, რომ ვერ მოხდებოდა, რატომ აწერდა ამას ხელს ნოღაიდელი?***

— ჩემი სუბიექტური აზრია, რომ ამას ნოღაიდელი მხოლოდ ერთი მიზნით აკეთებდა, რომ გარკვეული ფინანსური ნაკადები გაეთეთრებინა. ვისი დამსახურება იყო, რომ ეროვნულმა საბჭომ გადალახა ბარიერი ადგილობრივ არჩევნებში, ნოღაიდელის? ნოღაიდელმა პარტიის წევრები გადააგდო და დღემდე სასამართლოებში დავდივართ. რატომ არ გადაიხადა ეს ვალები, თუკი ამდენი ფული ჰქონდა? რატომ არ არის დღეს ის პოლიტიკაში? ჩვენი ყრილობის შემდეგ მან განაცხადა, რომ ახალ პარტიას ქმნიდა, რატომ არ გააკეთა? ვერ შექმნის, ეს არ არის ფურცელზე რეგისტრაცია, პარტიას ხალხი ქმნის. მის გვერდით არავინ არის დღეს. როგორ გაყიდა საწარმოები ნოღაიდელმა, იკითხეთ. 2004 წელს ჟვანიას გარდაცვალების შესახებ იცოდა თუ არა დეტალები, ისიც უნდა ვიკითხოთ. ამ ყველაფრის შემდეგ კიდევ უნდა ვილაპარაკოთ, რომ ნოღაიდელი უნდა იყოს პოლიტიკაში? ბურჯანაძე ხალხს ქუჩაში ხვდებოდა და ბოდიშს უხდიდა. ნოღაიდელის ბოდიში თუ გსმენიათ სადმე? ვერც მოისმენთ, რადგან ის დარწმუნებულია, რომ მართალია.

## აგვისტოში განხორციელებული დამატებითი პრევენციული ღონისძიებების შესახებ შსს განცხადებას ავრცელებს

შინაგან საქმეთა სამინისტრო, აგვისტოს თვეში განხორციელებული დამატებითი პრევენციული ღონისძიებების შესახებ განმარტებას ავრცელებს და აცხადებს, რომ ოპერატიული და პრევენციული ღონისძიებების შედეგად, ათეულობით მძიმე დანაშაულის გამოვლენა და აღკვეთა მოხერხდა.

„სამინისტრო საჭიროდ მიიჩნევს, საზოგადოების მაღალი ინტერესის გათვალისწინებით, დამატებით გააკეთოს განმარტება აგვისტოს თვეში განხორციელებული პრევენციული ღონისძიებების შესახებ.

საზოგადოებრივი უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, სამინისტროს მიერ აგვისტოს თვეში განხორციელდა დამატებითი ოპერატიული და პრევენციული ღონისძიებები, რომელთა შედეგადაც მოხერხდა ათეულობით მძიმე დანაშაულის გამოვლენა და აღკვეთა, მათ შორის, იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა, მნიშვნელოვანი რაოდენობის ცივი და ცეცხსასროლი იარაღის ამოღება, ნარკოდანაშაულის ფაქტები და განხორციელდა სხვადასხვა მძიმე დანაშაულში სავარაუდო დამნაშავე პირთა დაკავებები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დანაშაულის თავიდან აცილებისა და საზოგადოების უსაფრთხოების მიზნით, საჭირო გახდა დამატებითი პრევენციული ღონისძიებების გატარება, იმ კონკრეტულ სიტუაციაში არსებული ოპერატიული ინფორმაციებიდან გამომდინარე, რაც დროის შეზღუდულობიდან და ოპერატიული საჭიროებების გამო არ იძლეოდა საშუალებას, მომხდარიყო საზოგადოების წინასწარი ინფორმირება.

რაც შეეხება აღნიშნული ღონისძიებების დროს საზოგადოების ცალკული წარმომადგენლების მხრიდან განცდილ დისკომფორტს, შსს-მ მადლობა გადაუხადა მოქალაქეებს ამ ღონისძიებების დროს პოლიციის მოქმედებათა სწორად გაგებისა და თანამშრომლობისათვის.

ამავდროულად, სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული დანაყოფების მიერ, მუდმივად მიმდინარეობს შსს თანამშრომლების გადაცდომათა მონიტორინგი და პოლიციის წარმომადგენელთა ტრენინგი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

შსს აცხადებს, რომ იგი ქართული საზოგადოების მიერ ყველაზე დიდი ნდობით აღჭურვილ, გამჭვირვალე და საზოგადოების სამსახურში მყოფ უწყებად რჩება" – ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში.

**მედიანიუსი**

## ამომრჩეველთა სიებში პრობლემებია

პოლიტიკური პარტია „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველო," ამომრჩეველთა სიებში არსებულ პრობლემებზე საუბრობს. აღნიშნულის შესახებ განცხადება, გუშინ საგანგებო ბრიფინგზე, პარტიის წევრმა ირაკლი ჭყოიძემ გააკეთა.

„ჩვენს მიერ გადამოწმებული და დაზუსტებული ინფორმაციით, ამომრჩეველთა ერთიან სიაში არ ფიქსირდება ათი ათასობით საქრთველოს მოქალაქე. შესაბამისად მათ წართმეული აქვთ კონსტიტუციით მინიჭებული არჩევანის უფლება.

ჩვენ არაერთგზის მივუთითებდით ახალ მთავრობას, რომ მოეგვარებინა საარჩევნო სიების პრობლემა და „ნაციონალური მოძრაობისგან" მძიმე მემკვიდრეობად დარჩენილი საარჩევნო კოდექსის ძირეული გადასინჯვისკენ მოვუწოდებდით.

ხელისუფლებამ არა თუ არსებული პრობლემები ვერ მოაგვარა, არამედ უამრავი ახალი პრობლემა შექმნა, რომელთაც, აშკარაა, რომ თავს ვერართმევს!

11 თვის განმავლობაში ხელისუფლება შეგნებულად არიდებს თავს ამ საკითხის მოგვარებას და კვლავაც სააკაშვილის სიებით ატარებს არჩევნებს. იმ სიებით, რომელსაც კოალიციის სუბიექტები მუდმივად აკრიტიკებდნენ ოპოზიციაში ყოფნის პერიოდში. დღევანდელი ხელისუფლებისათვის 11 თვე არ აღმოჩნდა საკმარისი იმისათვის, რომ შეესრულებინა მისი ერთ-ერთი ვალდებულება და ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, პირველივე არჩევნებისათვის ქვეყანას ამომრჩეველთა ზუსტი სია და დემოკრატიული, სამართლიანი არჩევნების ჩასატარებლად ნორმალური საარჩევნო გარემო ჰქონოდა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერთის მხრივ, ათი ათასობით ამომრჩეველი არ არის შეყვანილი ამომრჩეველთა ერთიან სიაში. ასევე, განსაკუთრებით პრობლემურია რეგისტრაციის ადგილიდან მოხსნილი პირები და ისინი ვინც 2012 წლის არჩევნების შემდგომ, რეგისტრაციის მისამართი შეიცვალა. კვლავ ძალაშია წინა ხელისუფლების დროს დამკვიდრებული ჩაწერებისა და სიების უსაფუძვლო და უსამართლო გაზრდის მანკიერი მეთოდიც.

ჩვენ, „დემოკრატიული მოძრაობა" მოვუწოდებთ საქართველოს მოსახლეობას – გადაამოწმეთ თქვენი თავი ცესკოს საიტზე ამომრჩეველთა სიაში, მოდით არჩევნებზე და თქვენი არჩევანი გაიმარჯვებს! ჩვენ გპირდებით, რომ ყველას არჩევანს დავიცავთ და თქვენი არცერთი ხმა დაკარგული არ იქნება!"– განაცხადა ჭყოიძემ.

**ნიუსპრესი**

# რას „ასწავლის" ბავშვს ოჯახში ძალადობა?

**მერი ნამორაძე**

არაღირსეული მოპყრობა დიდ დაღს ასვამს ბავშვების ზრდა-განვითარებას, რაც ყურადღებიანი მშობლისთვის შეუმჩნეველი არ უნდა დარჩეს. მაგრამ როცა თავად მშობელია შვილზე მოძალადე, არაღირსეული მოპყრობისგან არასრულწლოვანის დაცვა გაცილებით რთულია. როგორც ძალადობისგან დაცვის ეროვნულ ქსელში ამბობენ,

ბავშვისადმი არაღირსეულ მოპყრობად განიხილება ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობა და უგულებელყოფა. ფსიქოლოგმა მანანა სოლოღაშვილმა „ახალ თაობასთან" საუბრისას აღნიშნა, რომ ფიზიკურ ძალადობად მოიაზრება ნებისმიერი ფიზიკური ზემოქმედება, რომელიც ტკივილს აყენებს ბავშვს და იწვევს სხეულის სხვადასხვა სიმძიმის დაზიანებას – იქნება ეს ცემა, თმის მოქაჩვა, წამება, ბავშვის ჩაკეტვა ბნელ ადგილას (სარდაფში, საკუჭნაოში, ყუთში), ისეთი სამუშაოს შესრულების მოთხოვნა, რომელსაც ბავშვი ვერ გაუმკლავდება.

მანანა სოლოღაშვილი:

– ფსიქოლოგიურ ძალადობად მოიაზრება შეურაცხყოფა, დამცირება, მუქარა, იგნორირება ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც სისტემატურ ხასიათს ატარებს და მნიშვნელოვან ზიანს აყენებს ბავშვის ემოციურ კეთილდღეობასა და განვითარებას. რაც შეეხება სექსუალურ ძალადობას, ამაში იგულისხმება ეროტიკული ელფერის ალერსი, თვალთვალი, ბავშვისთვის პორნოგრაფიული სურათების გადაღება, სექსუალური შინაარსის ფილმების ყურების ან პორნოგრაფიული ჟურნალების დათვალიერების ხელშეწყობა. ასევე სასქესო ორგანოების დემონსტრირება, ღია საუბრები სექსზე, სხეულით ვაჭრობის იძულება და სხვა.

არაღირსეული მოპყრობა გახლავთ ბავშვის უგულებელყოფა – ბავშვის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და განვითარებისათვის აუცილებელი საჭიროებების (საკვები, ტანსაცმელი, საცხოვრებელი, სამედიცინო დახმარება და სხვა) რეგულარული დაუკმაყოფილებლობა მშობლის თუ მეურვის მხრიდან, ობიექტური მიზეზების გამო ან ამგვარი მიზეზების გარეშე.

– ქალბატონო მანანა, როგორ შეიძლება ამოვიცნოთ ძალადობის მსხვერპლი ბავშვი, რა სიმპტომების მატარებელნი ხდებიან „მსხვერპლი" არასრულწლოვანები?

– ფსიქოლოგიური ძალადობის ნიშნებია ძილის დარღვევა, მარტოობისაკენ მიდრეკილება, აგრესიულობა ან პასიურობა, ადამიანებთან ურთიერთობის დამყარების სიძნელეები, დაბალი აკადემიური მოსწრება, დაბალი თვითშეფასება, ნერვული ტიკები, ენურეზი (უნებლიე შარდვა), მეტყველების დარღვევა, სომატური დაავადებები. ფიზიკური ძალადობის მახასიათებლებია სისხლჩაქცევები და იარები, დამწვრობის ნიშნები, გახსნილი იარები და ჭრილობები, აგრესიული თამაშები, დასჯისადმი ინდიფერენტული დამოკიდებულება, დასჯის პროვოცირება, ძლიერი ადამიანებისადმი დაქვემდებარება, პირფერობა, შიშიანობა, პირადი ჰიგიენის დაბალი დონე.

რაც შეეხება სექსუალური ძალადობის ნიშნებს, დამახასიათებელია მოუხერხებელი, გაძნელებული სიარული და ჯდომის გაძნელება, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები, სექსუალური ქმედებები თამაშის დროს, ასაკისათვის შეუფერებელი სექსუალური ქცევა, სექსუალური საკითხებისადმი არაჯანსაღი ინტერესი, ასაკისადმი შეუფერებელი სექსუალური ცოდნის გამოვლინება.

ბავშვის რეგულარულად უგულებელყოფამ კი შეიძლება გამოიწვიოს ქრონიკული დაავადებები, ფიზიკურ და გონებრივ განვითარებაში ჩამორჩენა, საკვების ქურდობა, სხვებისათვის საკვების თხოვნა, გონებაგაფანტულობა, გაკვეთილებზე სისტემატური დაგვიანება, ხშირი გაცდენა, გაკვეთილებზე ძილი, უკიდურესი პასიურობა ან აგრესია და თვითდაზიანება.

კვლევების მიხედვით, თუ ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალია, იზრდება საფრთხე იმისა, რომ ბავშვებიც გახდნენ მამის მხრიდან ფიზიკური ძალადობის მსხვერპლნი. ძალადობა ამახინჯებს ბავშვის ცხოვრებასა და მის პიროვნებას. უარესდება ბავშვის ფიზიკურ ჯანმრთელობა – აღენიშნებათ სომატური დაავადებები – სიმსუქნე, წონაში სწრაფი დაკლება, კუჭის წყლული, კანის დაავადებები, ალერგიული დაავადებები, მათ შორის ბრონქული ასთმა და სხვა. უარესდება მენტალურ-ემოციური ჯანმრთელობა – ბავშვს აქვს პრობლემები სკოლაში, სწავლაში; შესაბამისად, არ შეუძლია მიაღწიოს წარმატებას განათლებაში, პირად განვითარებაში. აქვს დაბალი თვითშეფასება, არ აქვს საკუთარი თავის, მომავლის რწმენა, უინიციატივო და პასიურია. უჭირს გადაწყვეტილების მიღება, ვერ ეგუება მნიშვნელოვან ცხოვრებისეულ ცვლილებებს. აქვს ნარკოტიკებისა და ალკოჰოლისკენ მიდრეკილება.

ოჯახებში, სადაც ძალადობა ჩვეულებრივი მოვლენაა, ბავშვი პირდაპირ ან არაპირდაპირ ყოველთვის ხდება ძალადობის მსხვეპლი. ის ღრმა ფსიქიკურ ტრავმას იღებს მაშინაც, როცა მშობლის მიმართ ჩადენილი ფიზიკურ შეურაცხყოფას შეესწრება, ასევე მშობლებს შორის არსებულ კონფლიქტურ გარემოში ცხოვრების დროსაც. ბავშვი გრძნობს დაძაბულ სიტუაციას მაშინაც კი, როცა უშუალოდ არ არის ძალადობის თვითმხილველი.

კვლევების მიხედვით, თუ ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალია, იზრდება საფრთხე იმისა, რომ ბავშვებიც გახდნენ მამის მხრიდან ფიზიკური ძალადობის მსხვერპლნი. ძალადობა ამახინჯებს ბავშვის ცხოვრებასა და მის პიროვნებას.

– რა გრძნობებს იწვევს ძალადობა ბავშვებში, ამ კუთხით თუ ჩაგიტარებიათ კვლევა?

– ძალადობა ბავშვებში იწვევს დაბნეულობას, მშობლის მხრიდან მიტოვების შიშს, მოსალოდნელი ძალადობრივი ქცევის თუ მარტოდ დარჩენის შიშს. ბავშვს ეუფლება უსუსურობის განცდა, დაურწმუნებლობა, ბრაზი და რისხვა, დაუცველობის გრძნობა, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე შეიძლება დარჩეს, ასევე გაორებული გრძნობები მოძალადე მშობლის მიმართ. ჩნდება პრობლემები ქცევაში, რაც გამოიხატება ჩაკეტილობაში, მოუსვენრობაში, მეტყველების შეფერხებაში. თავს იჩენს ადამიანებთან ურთიერთობის დამყარების სიძნელეები ტრავმატული სიზმრები და ძილის დარღვევები, ასაკისთვის შეუფერებელი ტყუილები.

ძალადობრივ ოჯახში ბავშვი თავს უსუსურად და დაურწმუნებლად გრძნობს – საკუთარი განცდებით დაკავებულ მშობლებს არ რჩებათ დრო და ძალა იმისა, რომ მას სათანადო ყურადღება მიაქციონ. ასეთი მოზარდებისთვის სამყარო საფრთხის შემცველია. ის მშობლებისგან და გარშემომყოფებისგან მხარდაჭერასა და საკუთარი თავის რეალიზაციაში დახმარებას არ ელის.

– მაინც რას „ასწავლის" ბავშვს ძალადობა?

– ძალადობა ბავშვებს ასწავლის იმას, რომ ადამიანებმა, რომელთაც ერთმანეთი უყვართ, შეიძლება ხშირად იჩხუბონ, რომ ოჯახის წევრის ცემა დასაშვები, ძალადობა დასაშვებია, თუ არ არის პრობლემის გადაწყვეტის სხვა საშუალება. ძალადობა უკვე

ქცევის ნორმალურ ფორმად აღიქმება. ბავშვი რწმუნდება, რომ ყველა მამაკაცს აქვს ძალადობისკენ მიდრეკილება და ყველა ქალს აყენებენ ფიზიკურ შეურაცხყოფას; რომ დიდებს არ შეიძლება ენდო, რომ მამაკაცებს აქვთ ქალების შეურაცხყოფის უფლება. აღსანიშნავია ისიც, რომ ვაჟები, რომლებიც ძალადობრივ ოჯახში იზრდებიან, ზრდასრულობაში თავადაც ძალადობრივ ქცევას მიმართავენ, გოგოები კი მომავალში მოძალადეებს ირჩევენ პარტნიორად და ძალადობის მსხვერპლნი ხდებიან. სხვადასხვა კვლევების მიხედვით, ზრდასრული კრიმინალების 80% ბავშვობაში ძალადობას განიცდიდნენ. ასეთი ბავშვები ცდილობენ თავი დააღწიონ ოჯახურ კონფლიქტს და ქუჩაში გასვლით გადაჭრან პრობლემა.

თუ ბავშვი ჩხუბისა და ყვირილის გარემოში იზრდება, იგი სხვების განკითხვას სწავლობს. მტრულ გარემოში გაზრდილი ბრძოლას სწავლობს; თუ ბავშვს დასცინიან, იგი გაუბედავი ხდება და გადაწყვეტილების მიღება უჭირს. ხოლო თუ არცხვენენ, მას დანაშაულის გრძნობა უჩნდება.

როცა ბავშვს ამხნევებენ, იგი სხვების ნდობას სწავლობს. თუ ბავშვი მშვიდ გარემოში იზრდება, იგი მოთმინებას სწავლობს. თუ აქებენ და ლებულობენ ისეთს, როგორიც არის, მაშინ იგი სხვებისა და საკუთარი თავის დაფასებას სწავლობს.

თუ ბავშვი ჰარმონიული ურთიერთობების გარემოში იზრდება, იგი სამართლიანობას სწავლობს. უსაფრთხო გარემოში გაზრდილ ბავშვს სამყაროს მიმართ ნდობა უჩნდება. თუ ბავშვი უყვართ, იგი სიყვარულს სწავლობს. როცა ბავშვი კეთილგანწყობილ და მეგობრულ გარემოში იზრდება, იგი სწავლობს, როგორ იპოვოს სამყაროში სიყვარული. როცა არასრულწლოვანი ოჯახში ძალადობის მსხვერპლია, საჭიროა მისი დაცვა. ეს თითოეული ჩვენგანის ვალია.

ბავშვზე ძალადობის შემთხვევის გამოვლენა ევალება ყველა დაწესებულებას, რომელიც ურთიერთობს ბავშვთან, მათ შორის სკოლას, სამედიცინო დაწესებულებას, სოფლის ექიმს, ბავშვთა სპეციალიზებული დაწესებულებას, სააგენტოს, საუბნო სამსახურსა თუ საპატრულო პოლიციას. ასევე სკოლების, სამედიცინო და ბავშვთა სპეციალიზებული დაწესებულებების ადმინისტრაცია და სოფლის ექიმები ვალდებული არიან ბავშვზე ძალადობის ეჭვის გაჩენის შემთხვევაში ადგილზე მოახდინონ ბავშვის ძალადობასთან დაკავშირებული გადაუდებელი მდგომარეობისა და ბავშვზე განხორციელებული ძალადობის საფუძვლიანი ეჭვის იდენტიფიკაცია და აწარმოონ შემთხვევის მართვა ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებით განსაზღვრული კომპეტენციების ფარგლებში.

## შალვა ნათელაშვილი იაშვილის კლინიკის მეპატრონის გაძევებას ითხოვს



იაშვილის კლინიკაში განვითარებულ მოვლენებს გუშინ შალვა ნათელაშვილის საპრეზიდენტო შტაბი გამოეხმაურა და კლინიკის თურქი მეპატრონის გაძევება მოითხოვა. ნათელაშვილის შტაბის განცხადებით, მიხეილ სააკაშვილის მიერ დაწყებულ ქართული ჯანდაცვის დამანგრეველ პოლიტიკას წარმატებით აგრძელებს ივანიშვილის მთავრობა და ეს პოლიტიკა მიმართულია არა ექიმების და პაციენტების, არამედ მავანთა ინტერესების დაცვისკენ.

„ძველებურად მიმდინარეობს ადამიანების ჯანმრთელობით და სიცოცხლით ვაჭრობა. ამის ნათელი დადასტურებაა მ. იაშვილის სახელობის კლინიკაში განვითარებული მოვლენები. ბავშვთა ხუთი კლინიკა და ცენტრი ისე გაყიდა ძველმა საეჭვო მეპატრონემ, ასევე საეჭვო თურქულ კომპანიაზე, რომ ქვეყნის პრემიერი და ჯანდაცვის მინისტრი აზრზე არ იყვნენ, ან თავი ისე უჭირავთ, თითქოს არ იცოდნენ. ერთიც და მეორეც დანაშაულია. კატეგორიულად მოვითხოვთ, გააძევოს მთავრობამ კლინიკის თურქი მეპატრონე, რომელიც უღირსად და ანტისახელმწიფოებრივად იქცევა, დაიბრუნოს კლინიკა სახელმწიფო მმართველობაში, გახდეს ის უფასო და მთლიანად შენარჩუნდეს მედპერსონალი", – ნათქვამია შტაბის განცხადებაში.

შეგახსენებთ, რომ კლინიკის მედპერსონალი თურქ მეპატრონეს სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენებაში, ხატების ჩამოხსნის მოთხოვნაში და თურქული ენის სწავლების დაძალებაში ადანაშაულებს.

რა შეეხება ჯანდაცვის მინისტრის პოზიციას, სოლიდარობას უცხადებს კოლეგებს და მიიჩნევს, რომ ატიკმა კლინიკაში მუშაობა აღარ უნდა გააგრძელოს. ამასთან, იაშვილის კლინიკა ქვეყნისათვის სტრატეგიული დანიშნულების ობიექტია და მთავრობა არც ერთი კერძო კომპანიის, თუ კერძო პირის ინტერესის სანაცვლოდ არ დათმობს. მინისტრმა არც იძულებითი მმართველის შეყვანა გამორიცხა კლინიკაში.

სერგეენკო არც იმას გამორიცხავს, რომ ეს პროცესი მართული იყო და წარმოშობით ძალიან ჰგავდა ჭელის მინარეთის ამბავს. ფაქტი ერთია, ამ შემთხვევამ ძლიერ სტრესში ჩააგდო კლინიკის მედპერსონალი, რამაც თავისთავად იმოქმედა მათ შრომისუნარიანობაზე და საფრთხე შეუქმნა პაციენტთა ჯანმრთელობას.

## იპოთეკარები დახმარებას ითხოვენ

იპოთეკარები ბოლო დღეებში ერთობ გააქტიურდნენ. მთავრობის კანცელარიასთან საპროტესტო აქციების შემდეგ მათ გუშინ ქუთაისში, პარლამენტის შენობის წინ გადაინაცვლეს. აქციის მონაწილეებმა სლოგანიც შეარჩიეს –

„შეჩერდეს აღსრულება" და „არა უსახლკარობას". აქციის მონაწილეებმა პარლამენტის წინ გამოსახლების პროცესის ერთგვარ იმიტაცია მოაწყვეს. ამისათვის მათ აქციაზე ბავშვები ჰყავდათ მიყვანილი.

აქციის მონაწილეთა მოთხოვნას ხელისუფლების მხრიდან გამოსახლების შეჩერება და გრძელვადიანი, დაბალპროცენტიანი სესხების გაცემა წარმოადგენს. იპოთეკური სესხებით დაზარალებულები ასევე ითხოვენ, რომ სამუშაო ჯგუფი შეიქმნას, სადაც დაზარალებულებიც იქნებიან გაერთიანებული.

აქციის მონაწილეებს უფლებადამცველი ლაშა ჩხარტიშვილი შეუერთდა, რომელმაც ხელისუფლებას სწრაფი რეაგირებისკენ მოუწოდა. ჩხარტიშვილის თქმით, თუ ხელისუფლება არ იმოქმედებს, ეს ადამიანები ქუჩებში გამოვლენ და მათი შეჩერება შეუძლებელი გახდება.

აქციის მონაწილეები, მათი პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში ქვეყნის მასშტაბით, მრავალათასიანი აქციებით იმუქრებიან. იპოთეკური სესხებით დაზარალებულთა აქციაზე პარლამენტის ტერიტორიაზე სამართალდამცავები იყვნენ მობილიზებულნი. კანონპროექტი, რომელიც 2014 წლის პირველ იანვრამდე გამოსახლებების დროებით შეჩერებას ითვალისწინებდა, პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო და მისი განხილვა მთავრობის უარყოფითი პოზიციის გამო შეჩერდა. გუშინ, უმრავლესობის წევრმა გედევან ფოფხაძემ განაცხადა, რომ იმ ადამიანების მდგომარეობა უნდა გაეთვალისწინებინა ხელისუფლებას, ვისი ქონებაც სესხების გამო შეიძლება უკვე გასხვისდა და გამოსახლება დაიწყო და მთავრობას ეს პროცესი უნდა შეეჩერებინა.

– წინა სესიებზე სახელმწიფოსთვის შემოთავაზება იყო, რომ ჩვენ მორატორიუმი გამოგვეცხადებინა გამოსახლებებზე, იმ ადამიანების მიმართებაში, ვისი ქონებაც სესხების გამო შეიძლება უკვე გასხვისდა და დარჩნენ საცხოვრებელი სახლის გარეშე. მიმაჩნია, რომ ჩვენი პოზიცია იყო სწორი. მიმაჩნია, რომ გარდა იმისა, რომ ჩვენ უნდა შეგვეჩერებინა ამ ადამიანების გამოსახლება, უნდა დაწყებულიყო პროცესი, რაზეც პოლიტიკური პოზიციების თანხვედრაა საჭირო, რაც დაამთავრებდა ქვეყანაში ბანკებისა და მევახშეების ყაჩაღურ პოლიტიკას", – განაცხადა ფოფხაძემ.

**მერი ნამორაძე**

# საქართველო უკრაინა არ არის და მას ამის დასაბუთების საშუალება უნდა მიეცეს

**ლინკოლ მიტჩელი - ექსპერტი**

დასავლური გამოცემა „პარლიამენტ"-ი საქართველოსთან დაკავშირებით ანალიტიკოს ლინკოლ მიტჩელის ვრცელ სტატიას აქვეყნებს.

ლინკოლნ მიტჩელის (კოლუმბიის უნივერსიტეტი) აზრით, საქართველოსა და უკრაინის ყოფილი პრემიერ-მინისტრების, ვანო მერაბიშვილისა და იულია ტიმოშენკოს დაკავებებს შორის მსგავსებების ზედაპირული გამოყენება, საქართველოში კანონის უზენაესობის განმტკიცების მცდელობათა საფრთხის ქვეშ დასაყენებლად, — მიუღებელია.

რამდენიმე თვის წინ საქართველოს ახალი იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი კოლუმბიის უნივერსიტეტში,სადაც მე ვასწავლი, სიტყვით გამოვიდა. ეს გახლდათ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლის პირველი გამოსვლა 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, რომელშიც მიხეილ სააკაშვილის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა," ბიძინა ივანიშვილის „ქართულ ოცნებასთან" ორთაბრძოლაში დამარცხდა.

გამოსვლამდე, წულუკიანს ჩემს ოფისში გავესაუბრე. ოდნავ ვღელავდი. უკანასკნელ წლებში კოლუმბიის უნივერსიტეტში საქართველოსთან დაკავშირებული ღონისძიებები ვნებათაღელვით გამოირჩეოდა, გამომსვლელები ერთმანეთს არ ეთანხმებოდნენ, ხოლო ყველას, ვინც კი საქართველოს ხელისუფლების გაკრიტიკებას ბედავდა, რუსეთის ჯაშუშად აცხადებდნენ. ქართველი სტუდენტების დაშინება კი მათივე ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ, ჩვეულ მოვლენად იქცა.

არ ვიცოდი, რა შედეგს მოიტანდა ეს კონკრეტული ღონისძიება, რადგანაც წულუკიანი, როგორც მინისტრი, ყველაზე ხშირად, წინა რეჟიმის მაღალჩინოსანთა დაკავებებთანაა გაიგივებული. ამ დაკავებებს ხმამაღალი კრიტიკა მოჰყვა მავანთაგან აშშ -სა და ევროპაში, რაც პრობლემას წარმოადგენდა ახალი ხელისუფლებისთვის, რომელიც საერთაშორისო იმიჯის გაუმჯობესებას ცდილობდა.

მიუხედავად ამისა, თეა წულუკიანი, ცნობილი ადვოკატი ადამიანის უფლებათა სფეროში, რომელსაც ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში სააკაშვილის რეჟიმის კანონდარღვევათა გამოძიების ათწლიანი გამოცდილება აქვს, ძალიან განსხვავდება საქართველოს წინა იუსტიციის მინისტრისაგან, წინა ხელისუფლების არადემოკრატიული მმართველობის პოლიტიკის გამტარებლისაგან, რომელიც არჩევნებში მისი პარტიის დამარცხებისთანავე ქვეყნიდან გაიქცა.

ხელმძღვანელობდა რა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში მიღებული გამოცდილებით, წულუკიანმა განმარტა, რომ ეს დაკავებები წარმოადგენს არა პოლიტიკურ ანგარიშსწორებას, როგორც ამას ახალი ხელისუფლების კრიტიკოსები ამტკიცებენ, არამედ ახალი ხელისუფლების სწრაფვას ქვეყანაში კანონის უზენაესობის დამკვიდრებისაკენ. ქვეყანაში, რომლის წი-




ნა ხელისუფლებაც სულ უფრო იძირებოდა კორუფციის მორევში და საკუთარი მოქალაქეების წინააღმდეგ მზარდ ძალადობას იყენებდა.

ჩემი ეჭვები გაძლიერდა მას შემდეგ, რაც მე და წულუკიანი, მინისტრის სიტყვით გამოსვლამდე ცოტა ხნით ადრე შევედით დარბაზში, სადაც რამდენიმე პედაგოგი და სტუდენტი შევნიშნე. აუდიტორიის დანარჩენ ნაწილს წარმოადგენდნენ ნიუ-იორკის მიდამოებში მცხოვრები ქართველები. სიტყვით გამოსვლის შემდეგ, კითხვების დასმის დრო დადგა. დარბაზში მყოფი ქართველები გაღიზიანებულნი იყვნენ და წულუკიანისგან დაკავებების შესახებ საუბარს ითხოვდნენ. თუმცა, მათი გაღიზიანების მთავარი მიზეზი გახლდათ ის, რომ, მათი აზრით, ახალი ხელისუფლების მიერ განხორციელებულ დაკავებათა რაოდენობა ძალიან მცირეა, რისი მიზეზიც მდგომარეობს ხელისუფლების ზედმეტად ფრთხილ და მორიდებულ დამოკიდებულებაში იურიდიული დეტალებისადმი.

დღეს საქართველოში, კანონის უზენაესობასთან დაკავშირებული კონფლიქტია სახეზე. ლიდერები აშშ-სა და ევროპაში, რომლებიც თავს უხერხულად გრძნობენ საქართველოს წინა რეჟიმისთვის გაწეული მხარდაჭერის გამო და რომლებმაც საქართველოს მოქალაქეებზე, ადამიანის უფლებათა დამცველ საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციებზე ბევრად უფრო გვიან გააცნობიერეს წინა ხელისუფლების ნაწილის კრიმინალური და ძალადობრივი ხასიათის დონე, გამოთქვამენ შეშფოთებას მეგობრების დაკავებებთან დაკავშირებით.

საქართველოს ახალ ხელისუფლებას, თავის მხრივ, ჰყავს ამომრჩეველთა დიდი რაოდენობა, რომლებიც ანტაგონისტურად არიან განწყობილნი არჩევნებში დამარცხებული ხელისუფლების მიმართ, მისი ლიდერები ხომ სავარაუდოდ ჩართულნი იყვნენ ელიტარულ კორუფციაში, პოლიტიკური მიზნებისთვის სახელმწიფო რესურსების ბოროტად გამოყენებაში, დემონსტრაციების დარბევასა და პატიმართა წამებაში.

საქართველოს მსგავსი ქვეყნებისთვის, რომელნიც არ წარმოადგენენ პრიორიტეტს აშშ-სა თუ ევროპის საგარეო პოლიტიკის საკითხებში, ნარატივი და ევრისტიკა განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას იძენს ვაშინგტონსა (კოლუმბიის ოლქი) და სხვა დასავლურ დედაქალაქებში. პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღებთა, საზოგადოებრივ აზრზე გავლენის მქონე პირთა და მიმომხილველთა შეხედულებები ასეთი ქვეყნების შესახებ მოკლე, მაგრამ არაორაზროვანი ისტორიებისა და ანალოგიების მეშვეობით ყალიბდება, ნაცვლად დეტალური წვდომის მცდელობებისა.

წარმოდგენა საქართველოს შესახებ დღეს ასეთია: პოპულარული პროდასავლური ლიდერი დაამარცხეს პრორუსულმა ძალებმა, რათა ჩამოაშორონ ქვეყანა დემოკრატიისკენ მიმავალ გზას. ეს წარმოდგენა ზუსტად მიესადაგება კიდევ ერთ ყოფილ საბჭოთა ქვეყანას, უკრაინას. ასე რომ, მისი გაიგივება საქართველოსთან საკმაოდ ბუნებრივი ცდუნებაა. მიუხედავად ამისა, საქართველოს დანახვა ამ კუთხით არა მხოლოდ გამარტივებულია, არამედ უკიდურესად მცდარიც, და მოითხოვს ემპირიკული სინამდვილის უგულებელყოფას წარუმატებელი და დამარცხებული რეჟიმის პროპაგანდის სასარგებლოდ.

დღეს უკრაინის შესახებ წარმოდგენის მორგება საქართველოზე, ყველაზე ნათლადაა გამოხატული საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ვანო მერაბიშვილის დაკავების, როგორც უკრაინის ყოფილი პრემიერ-მინისტრის იულია ტიმოშენკოს დაპატიმრების ექვივალენტის, განხილვაში. ზედაპირული მსგავსებები ნათელია: ორივე ყოფილი პრემიერ-მინისტრია, რომლებიც ხელისუფლების შეცვლიდან მალევე, გისოსებს მიღმა აღმოჩნდნენ. თუმცა, ამ მსგავსებებმა განსხვავებები არ უნდა დაჩრდილოს. ის, რომ ტიმოშენკო დიდწილად შეთითხნილი ბრალდებების საფუძველზეა დაპატიმრებული, არ ნიშნავს, რომ ყველა ამჟამად დაკავებული ყოფილი პრემიერ-მინისტრი, მსგავს მდგომარეობაში იმყოფება.

დასავლეთში მერაბიშვილს კარგად არ იცნობენ, რაც ალბათ, მის დაკავებასთან დაკავშირებული შეშფოთების ერთ-ერთი მთავარი მიზეზიცაა. შინაგან საქმეთა მინისტრის რანგში (2004 წელი-2012 წლის პირველი ნახევარი), მერაბიშვილი ყველაზე მეტად იყო გაიგივებული საქართველოს წინა ხელისუფლების მხრიდან ძალაუფლების ავტორიტარულ გამოყენებასთან. დემონსტრაციების დარბევა, ოპოზიციონერთა სატელეფონო საუბრების მიყურადება, პოლიციის გამოყენება პოლიტიკური მიზნებისათვის და გაუხსნელ მკვლელობაში ჩართულობაც კი (გაერთიანებული ქართული ბანკის საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილების ხელმძღვანელის, სანდრო გვირგვლიანის მკვლელობა 2006 წელს) — ყველა ეს მოვლენა უშუალო კავშირშია შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, რომელსაც მერაბიშვილი ხელმძღვანელობდა.

როგორც პრემიერ-მინისტრი, მერაბიშვილი დაკავშირებულია სახელმწიფო რესურსების გამოყენებასთან მისი პოლიტიკური პარტიის მხარდასაჭერად, რომელიც ეს-ესაა დამარცხდა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში.

არც ერთი ამ ბრალდებათაგან, არ ნიშნავს, რომ მერაბიშვილი დამნაშავეა და არსებობს სამართლიანი და გამჭვირვალე სასამართლო პროცესის საჭიროება. მიუხედავად ამისა, ეს ბრალდებები ცხადყოფს, რომ მისი დაკავების მიზეზი გახლავთ არა ის, რომ მერაბიშვილი პოლიტიკური ოპონენტია, არამედ ის, რომ ის აქტიურად იყო ჩართული უსამართლობასა და არაკანონიერ ქმედებებში.

უკრაინის პრეზიდენტს ვიქტორ იანუკოვიჩს, დემოკრატიისგან შორს და რუსეთთან დაახლოებისკენ მიჰყავს საკუთარი ქვეყანა. მისი პრეზიდენტობის დროს შეინიშნება მედიისა და თავშეყრის თავისუფლების შეზღუდვა, კორუფცია და ძალაუფლების ბოროტად გამოყენება. იანუკოვიჩმა 2010 წლის არჩევნებში, წინა რეჟიმის სისუსტისა და 2008 წლის ეკონომიკური კრიზისის მიზეზით გაიმარჯვა.

მიუხედავად იმისა, რომ იანუკოვიჩმა და ივანიშვილმა დაამარცხეს ადამიანები, რომლებიც ოდესღაც ძალიან დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ დასავლეთში, — ისინი ერთმანეთისაგან ძლიერ განსხვავდებიან. ივანიშვილმა დაამარცხა რეჟიმი, რომელიც უკვე ჩაფლული იყო კორუფციის, არაკომპეტენტურობის, წამებისა და ძალადობის მორევში. ასეთი რეჟიმის დამარცხების შემდეგ, ახალ ხელისუფლებას კანონის უზენაესობის აღდგენა მოეთხოვება, თუმცა ამავდროულად, მოეთხოვება ამა თუ იმ გზით, წარსულთან შერიგებაც. ამ კონტექსტში, წინა ხელისუფლების ლიდერთა დაკავება ძალიან განსხვავებულია.

კანონის უზენაესობის აღდგენაზე გამიზნული ძალისხმევა ვერ გაამართლებს, თუ კანონდამრღვევები არ დაისჯებიან. მიუხედავად ამისა, ახალმა ხელისუფლებამ უნდა გამონახოს გზა მათ დასასჯელად, ვინც უკანონო ქმედებების ბრძანება გასცა და ძალადობრივი და კორუფციული სისტემა შექმნა. ამასთან, ახალმა ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს სახელმწიფოს ნორმალური ფუნქციონირების შესაძლებლობა. ამ მხრივ, აღსანიშნავია, რომ აქამდე ივანიშვილის ხელისუფლება, ახერხებს დაკავებათა შემოფარგვლას მხოლოდ ყველაზე მაღალი თანამდებობის სავარაუდოდ დამნაშავე პირებით.

აშშ -სა და ევროპის მოწოდებები მერაბიშვილისადა სხვათათვის სამართლიანი სასამართლოს მოთხოვნით, მნიშვნელოვანია, მაგრამ აღშფოთება დაკავებების გამო უადგილოა. მერაბიშვილსა და ტიმოშენკოს შორის არსებული ზედაპირული მსგავსებების გამო შეცდომის დაშვება, ამჟამინდელი პოლიტიკური სიტუაციის არასწორად გააზრების ტოლფასია, რაც საქართველოში კანონის უზენაესობის დამკვიდრების მხარდაჭერას საფრთხის ქვეშ დააყენებს.

საქართველო არ არის უკრაინა და მას ამის დასაბუთების საშუალება უნდა მიეცეს ისევე, როგორც ბრალდებულებს — ყოფილ მაღალჩინსონებს მიეცემათ უდანაშაულობის დასაბუთების შესაძლებლობა.


## განცხადებები

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას,პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. შპს „იადიგარ დაუდის" დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● ოსტეოქონდროზის, დაქვეითებული სმენის—ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, რადიკულიტის, ჭრილობების და სხვა დაავადებების გარანტირებული განკურნება წამლების, აპარატურისა და ქირურგიული ოპერაციის გარეშე, ასაკის მიუხედავად. მისამართის შესახებ დაგვიკავშირდით ტელეფონზე: 599-97-85-46 ბ-ნი ლევანი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311— ქ-ნი მარიამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა — ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.



**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

**იცხოვრეთ მომავალისთვის.**

**უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.**




**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის" ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

# საქართველომ ევროპა გამარჯვებით დაიწყო

**საქართველო – პოლონეთი 84:67**

(20:14; 19:8; 16:15; 29:30)

**საქართველო:** მეტრეველი (2ქ), ფხაკაძე, სანაძე, ბურჯანაძე (2ქ), ცინცაძე (11ქ,7პ), შერმადინი (13ქ,9მ), ჰიკმანი (9ქ), მარკოიშვილი (18ქ), ფაცაცია, სანიკიძე (23ქ), ლეჟავა (3ქ), ცქიტიშვილი (3ქ)

**პოლონეთი:** კარნოვსკი (9ქ), კელატი (2ქ), ლამპე (10ქ), სჟუბარგა (2ქ), ჩილინსკი, ზამოვკი (10ქ), პონიტკა (7ქ), იგნერსი (8ქ), ვასჩინსკი (3ქ), გორტატი (12ქ,8მ), ჰრიჩანიუკი, კოჟარეკი (4ქ,7პ)

საქართველოს ნაკრებს მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე ყველა აუტსაიდერად მიიჩნევდა, მაგრამ პოლონელებთან ჩატარებული მატჩის შემდეგ ეს პროგნოზი ყველას გაუქარწყლდა. იგორ კოკოშკოვის გუნდს ორი ლიდერის, ზაზა ფაჩულიასა და თორნიკე შენგელიას არყოფნა საერთოდ არ დასტყობია. ეს განსაკუთრებით დაცვაში თამაშზე ითქმის – ჩვენებმა პოლონელებს პირველ ტაიმში მხოლოდ 22 ქულა ჩააგდებინეს. განსაკუთრებით აღსანიშნავი ის არის, რომ საქართველოს ნაკრებმა ჯგუფიდან გასვლის ერთ-ერთი უმთავრესი კონკურენტი დაამარცხა.




მატჩი მშვიდად დაიწყო, ორივე გუნდი ყურადღებით თამაშობდა დაცვაში. ანგარიში შერმადინმა მაშინ გახსნა, როდესაც სტარტიდან წუთი და 20 წამი იყო გასული. შემდეგ ხელი პოლონელებმა გამოიღეს და ზედიზედ 6 ქულა მიითვალეს. თუმცა ეს იყო მათი ბოლო წინ გასვლა – სანიკიძემ ზედიზედ 5 ქულა მიითვალა, რასაც მარკოიშვილმა კიდევ 2 დაამატა და 3 ქულით უკვე ქართველები გალიდერდნენ.

პირველი ტაიმის ბოლომდე ყველაფერი ასე გრძელდებოდა, მაგრამ ბოლო ქულები ჩვენებმა მიითვალეს და ბურჯანაძის ზუსტი ტყორცნის შემდეგ მეოთხედი 20:14 მოიგეს.

ასევე თანაბრად დაიწყო მეორე ათწუთეული, თუმცა შუაწელიდან ჩვენებმა მეტოქეს 14:2 მოუწყვეს გაქცევა და ტაიმი 17-ქულიანი ჰანდიკაპით დაასრულეს.

განსაკუთრებით აქტიურობდა სანიკიძე, რომელმაც 11 ქულა მიითვალა, 8 ქულა მარკოიშვილის ანგარიშზე იყო, 6 – შერმადინის. თანაგუნდელებს კარგად ამარაგებდა პასებით ცინცაძე, რომელსაც პირველ ტაიმში 6 შედეგიანი გადაცემა მოუგროვდა.

მეორე ტაიმი ორივე გუნდმა დაცვაში ყურადღებით დაიწყო. კოჟარეკის 20-ქულიანის შემდეგ 4 წუთის მანძილზე ბურთი კალათში არ ჩავარდნილა. თუმცა, შერმადინისა და მარკოიშვილის აქტიური თამაშის წყალობით, ჩვენები კიდევ უფრო დაწინაურდნენ და მეოთხედი ქულით მოიგეს.

დასკვნით 10-წუთეულს აზრი დაეკარგა, განსაკუთრებით იმის შემდეგ, რაც სანიკიძემ მიჯრით 7 ქულა მიითვალა, მას მხარი შერმადინმა და ცინცაძემ აუბა, რის შედეგად ქართველთა უპირატესობამ 24 ქულას უწია.

კოკოშკოვმა თავის გამოჩენის შანსი სათადარიგოებსაც მისცა, რამაც თამაში გახსნა და ბოლო მეოთხედში ორივე გუნდმა, ჯამში, 59 ქულა ჩააგდო.

საბოლოოდ, 84:67 ქართველთა სასარგებლოდ.

ჩვენების უპირატესობა 3-ქულიანმა სროლებმა და უშეცდომო თამაშმა გადაწყვიტა. ქართველებმა 25-დან 8 3-ქულიანი ჩააგდეს, ხოლო პოლონელებმა 16-დან – 3. შეცდომები პოლონელებმა 12-ჯერ დაუშვეს, ჩვენებმა მხოლოდ – 5-ჯერ.

მოხსნებსა და პასებში თითქმის იდენტური მაჩვენებელი იყო, პოლონელთა ოდნავი უპირატესობით.

ორმაგი დუბლის შესრულება ვერავინ შეძლო, თუმცა საქართველოს ნაკრებიდან გამოსარჩევია ხუთეულის 4 კალათბურთელი. ძველი გვარდია – სანიკიძე, ცინცაძე, მარკოიშვილი, შერმადინი დიდებულად გამოიყურებოდნენ.

მორიგი მატჩი საქართველოს ნაკრებს დღეს ხორვატიის ნაკრებთან უწევს.

# ექსპერტების დანახული საქართველო

რა შანსი აქვს საქართველოს ნაკრებს სლოვენიაში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე? თუ ევროპელ სპეციალისტებს დავეყრდნობით, ძალიან მცირე და ამის მიზეზი ნბა-ში მოთამაშე ორი კალათბურთელის არყოფნაა. ევროპელი სპეციალისტები თავიდან ბოლო ადგილს გვიწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ საკონტროლო მატჩების შემდეგ ჩვენმა აქციებმა „მოიმატეს“, მაგრამ უმნიშვნელოდ – ახლა მხოლოდ უკრაინას ვუსწრებთ.

გთავაზობთ ექსპერტების მოსაზრებას იგორ კოკოშკოვის გაწვრთნილ გუნდზე.

**ისტორია და თანამედროვეობა**

სლოვენიაში მიმდინარე ჩემპიონატი მეორე დიდი ტურნირი იქნება, რომელშიც კავკასიელი ბიჭები იასპარეზებენ. სადებიუტო 2011 წლის ევრობასკეტზე იგორ კოკოშკოვის რაზმმა რვიდან 2 მატჩის მოგებით საპატიო მე-11 ადგილი დაიკავა.

საქართველოს ნაკრებს საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობის სათანადო გამოცდილება რომ ჰქონოდა, სიამაყისთვის მეტი საბაბი ექნებოდათ. მაშინდელი ნაკრებიდან ორიოდე კალათბურთელმა თუ იცოდა, რომ მნიშვნელოვან შეჯიბრებებში გამარჯვებულის ვინაობა მატჩის მიწურულს ვლინდება ინდივიდუალური ოსტატობის ან უმაღლესი სათამაშო დისციპლინის ხარჯზე.

ამასაც ჰქონდა თავისებური გამართლება: ბებერი კონტინენტის პირველობა ბ დივიზიონში, სადაც საქართველოს ნაკრები კარგა ხანს იმყოფებოდა, ზებუნებრივი ძალების გამოვლენას არ მოითხოვდა.

თავიდან ქვეყანას ნახტომისთვის საკადრო პოტენციალი არ აძლევდა საშუალებას, შემდეგ ნაკრების ჩამოყალიბებას დრო დასჭირდა. როცა ყველაფერმა ამან ჩაიარა, იმ პირველობაში საქართველოს ტოლი არ ჰყავდა.

საკმარისია 2010 წლის პლეი ოფების ფინალური სერია გავიხსენოთ. კოკოშკოვის შეგირდებმა მკაცრი გამოცდა მოუწყვეს ბელარუსის ნაკრებს. ქართველებმა სტუმრად 14 ქულით სძლიეს (89:75) სლავებს, საქმე სასურველ დასასრულამდე შინ უფრო მშვიდობიანად (86:84) მიიყვანეს. ფინალური სასტვენის შემდეგ ისტორიული წარმატებისთვის ნაკრების წევრებმა მთავრობისგან მნიშვნელოვანი საპრემიო თანხა მიიღეს, მოარულ ხმებს თუ დავუჯერებთ, ქვეყნის პრეზიდენტისგან პრემიამაც 100.000 გადააჭარბა. სულ ნაკრები კი ამოცანის წარმატებით შესრულებისთვის ნახევარი მილიონით გამდიდრდა.

შარშან ზაფხულს ქართველებმა შესარჩევში წინა ჩემპიონატის წარმატება გაიმეორეს, არადა, ჯგუფში ჰყავდათ ბოსნია, ლატვია, რუმინეთი და ჰოლანდია. საბოლოოდ ქართველებმა და ბოსნიელებმა თანაბარი ქულები მოაგროვეს, ბალტიისპირელები ქულით, ჰოლანდიელები და რუმინელები, შესაბამისად, 4 და 5 პუნქტით ჩამორჩნენ. ასე რომ, ქართველმა კალათბურთელებმა 2013 წლის ევრობასკეტის საგზური დამსახურებულად მოიპოვეს.

**მწვრთნელი**

ერთი პატარა, მოკრძალებული სოფლის მკვიდრი იგორ კოკოშკოვი სერბული კალათბურთის ისტორიაში გახდა ყველაზე ახალგაზრდა მწვრთნელი, რომელმაც საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. ამასთანავე, ის პირველი ადამიანია, რომელმაც ამერიკული პასპორტის გარეშე მოიპოვა მწვრთნელობის უფლება, თანაც მთლიანი შტატით. ნბა-ში – 2000 წელს ლოს ანჯელესის „კლიპერსის“ შტაბში მოხვდა. 2003-დან 2008 წლის ჩათვლით კოკოშკოვი „დეტროიტის“ მესაჭეს ეხმარებოდა, შემდეგ იყო „ფინიქსში“. მიმდინარე წლიდან კი, იგორი „კლივლენდში“ მაიკ ბრაუნის სრულუფლებიანი ასისტენტია, ამასთანავე საქართველოს ნაკრებსაც უდგას სათავეში. 2008 წლიდან მის ყველა ხელშეკრულებაშია ჩაწერილი საკლუბო გუნდსა და ეროვნულ ნაკრებთან მუშაობის შეთავსება.



კოკოშკოვი ხუთი წლის წინათ ჩაუდგა სათავეში საქართველოს ნაკრებს. სერბის საქმიანობას დიდად აფასებს ქვეყნის პრეზიდენტი. გუნდის ხელმძღვანელს დიდ პატივს სცემენ კალათბურთელებიც, რადგან თავად მწვრთნელი ზრუნავს თითოეულ შეგირდზე.

**ზაზა ფაჩულია**

საქართველოს სპორტული სიმბოლო „მილუოკის“ ცენტრი ზაზა ფაჩულია სლოვენიის ევრობასკეტს ტრავმის გამო გამოტოვებს. ჯერ კიდევ გაზაფხულზე, როცა იგი „ატლანტას“ ღირსებას იცავდა, ქართველი კალათბურთელის ქუსლის მყესებმა დატვირთვას ვერ გაუძლეს.

აუცილებელი გახდა ქირურგიული ჩარევა, რეაბილიტაციას კი ნახევარი წელი დასჭირდებოდა, ამიტომ ევროპის ჩემპიონატში მისი მონაწილეობა თეორიულადაც გამოირიცხა, რადგან ფორსირებულად გამოჯანმრთელება სასურველ შედეგს ვერ მოიტანდა.

**თორნიკე შენგელია**

ქართველებს გული დასწყვიტა თორნიკე შენგელიას ტრავმამაც. „ბრუკლინის“ ფორვარდმა ივლისში ვარჯიშისას მენისკი დაიზიანა.

გულმოდგინე სამედიცინო შემოწმებამ შოკში ჩააგდო არა მარტო საქართველოს ნაკრების, არამედ „ბრუკლინის“ ხელმძღვანელობაც, რადგან ქირურგიული ჩარევის შემდეგ შენგელია, ევრობასკეტის გარდა, ნბა-ს სეზონის ნაწილსაც გააცდენს...

საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში არ არის ვლადიმერ ბოისა, რომელმაც საერთაშორისო კარიერა დაასრულა. ეს დანაკარგიც მნიშვნელოვანია, რადგან ვლადიმერის გამოცდილება ყოველთვის ეხმარებოდა პარტნიორებს, რათა რთულ სათამაშო სიტუაციაში არ დაბნეულიყვნენ.

**ვარსკვლავი**

ნატურალიზებული კალათბურთელების ნაკრებში მიწვევის პრაქტიკა ქართველებმა დიდი ხანია, დანერგეს: შემონდ უილიამსი, ტაირონ ელისი, ტორინ გრინი, ქუინტონ ჰოსლი, ჯეიკობ პულენი – ყველა ეს კალათბურთელი საქართველოს ნაკრების ელიტაში დაწინაურებას ხელს უწყობდა.

მიღწეულის განმტკიცებას ამჟამად რიკი ჰიკმანი და ლუკ ზელერი შეეცდებიან. პირველს „ბებერი კონტინენტის“ კალათბურთის მოყვარულები თვალს ადევნებდნენ ევროლიგაში, ყველას ხიბლავდა თელ-ავივის „მაქაბის“ შემადგენლობაში ამერიკელის სნაიპერული ოსტატობა.

ამ კალათბურთელმა მთელი კარიერა ევროპაში გაატარა, საშუალო დონის ჩემპიონატებში მონაწილეობით დაიწყო. ბოლო დროს თავი წარმოაჩინა, როგორც დირიჟორული ნიჭით დაჯილდოებულმა სპორტსმენმა პლეიმეიკერის პოზიციაზე.

ლუკ ზელერს პირიქით – ევროპაში არასდროს უთამაშია. 2009 წლის დრაფტზე ჩავარდნის შემდეგ ამერიკის დ ლიგაში გამოდიოდა, რომ ნბას მწვრთნელთა თვალსაწიერიდან არ დაკარგულიყო.

ჩანაფიქრმა ნაწილობრივ გაამართლა: შარშან დეკემბერში იგი „ფინიქსმა“ აიყვანა (სადაც კოკოშკოვი მუშაობდა ასისტენტად), 16 მატჩის განმავლობაში მას თამაშის საშუალება მისცეს, მაგრამ არიზონის ცენტრმა თავი ვერაფრით გამოიჩინა. იგი აშკარად ჩამორჩება მის ძმას, ტაილერს, რომელიც „კლივლენდის“ ღირსებას იცავს, ასევე მეორე ძმას, კოდის, რომელიც მეოთხე ნომრად აიყვანეს დრაფტზე. თუმცა უნივერსალიზმმა, გამძლეობამ და დისციპლინირებულობამ იგი საქართველოს ნაკრების ერთ-ერთ კანდიდატად აქცია. მაგრამ მხოლოდ კანდიდატად, რადგან ფიბას წესებით, მხოლოდ ერთი ნატურალიზირებული კალათბურთელის გაყვანა შეიძლება მოედანზე, ასე რომ მას საკმაოდ კარგი კონკურენტი ჰყავს ჰიკმენის სახით.

**რით გააკვირვებენ?**

ცხადია, ზაზა ფაჩულიას გარეშე თამაშით. უწინ იგი იყო არა მარტო ქართული კალათბურთის ლიდერი, არამედ საქართველოს ნაკრების სათამაშო სისტემის საყრდენი ძალა: საკუთარ ნახევარზე იგი დაცვას ამაგრებდა – სამწუთიან ზონაში მეტოქის გოლიათებს თავისუფლად მოქმედების საშუალებას არ აძლევდა, მეტოქის ფარს კი აგრესიულად უტევდა, მეურვეებს პოზიციურ შეცდომებს აშვებინებდა და ისინიც ჯარიმებს ჯარიმებზე იღებდნენ.

თანაგუნდელთაგან ყველაზე ხშირად მას ჰქონდა ბურთი და მიზანმიმართულად ანაწილებდა პასებს, რაც გულშემატკივართა აღფრთოვანებას იწვევდა.

ახლა ნაკრებში სხვა სიტუაციაა. ახალი მოთამაშეები ჰყავთ, განსაკუთრებით უცხოელები. იგორ კოკოშკოვმა მათი შესაძლებლობები იცის, თვით შინაურებსაც მინიმალური შეთამაშებაც აკლდათ.

საინტერესო იქნება იმის ნახვა, თუ რას მიაღწიეს თვე-ნახევრიანი „ვარჯიშით“ „ძველმა“ და „ახალმა“ ქართველებმა.

**რეზიუმე**

ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე ქართველებს გაუმართლათ, რადგან ჯგუფში, ფაქტობრივად, თავიანთი სიძლიერის გუნდებთან მოხვდნენ. ცხადია, განცალკევებით დგას ესპანეთის ნაკრები. კოკოშკოვის შეგირდებს სხვებთან, მათ შორის – მასპინძლებთან, თანაბარი ბრძოლა და 2011 წლის ევრობასკეტის შედეგის გამეორება შეუძლიათ, მომდევნო ეტაპზე კი ქართველებს წარმატების შანსი არ ექნებათ.

# ვინ დააკლდა ევროპის ჩემპიონატს

გუშინ, სლოვენიაში სტარტი აიღო ევროპის ჩემპიონატმა კალათბურთში. თუმცა, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ლიტვაში 2 წლის წინ ჩატარებული ტურნირი გაცილებით წარმომადგენლობითი იყო ნბა-ს კალათბურთელებით, რაც კიდევ უფრო მეტ ეშხს მატებდა ბებერი კონტინენტის პირველობას.

ოკეანისგაღმიდან კალათბურთელები მიმდინარე ჩემპიონატზეც არიან, მაგრამ ბევრი ისეთი მოთამაშე აკლია, რომელიც აუცილებლად შესძენდა დამატებით ელფერს.

ეს პრობლემა განსაკუთრებით ჩვენთვის არის მტკივნეული, რადგან საქართველოს ნაკრებს ნბა-ში ორი კალათბურთელი ჰყავს და ორივეს ტრავმა აწუხებს – ზაზა ფაჩულია და თორნიკე შენგელია.

ვნახოთ რა მდგომარეობაა სხვა გუნდებში:

საფრანგეთს ამერიკაში 11 წარმომადგენელი ჰყავს – ნიკოლა ბატუმი (პორტლენდი), როდრიგ ბობუა (დალასი), ნანდო დე კოლო (სან ანტონიო), ბორის დიაო (სან ანტონიო), ევან ფურნიე (დენვერი), იან მაინმი (ინდიანა), ჟოაკიმ ნოა (ჩიკაგო), ტონი პარკერი (სან ანტონიო), იოჰან პეტრო (ატლანტა), კევინ სერაფინი (ვაშინგტონი), რონი ტურიაფი (მინესოტა).

აქედან სლოვენიაში მხოლოდ 4 მათგანი ითამაშებს – ტონი პარკერი, ნანდო დე კოლო, ბორის დიაო და ნიკოლა ბატუმი. განსაკუთრებით დიდი დანაკლისია ჟოაკიმ ნოა.

ესპანეთს 6 ნბა-ელი ჰყავს – ხოსე კალდერონი (დალასი), ვიქტორ კლავერი (პორტლენდი), მარკ გასოლი (მემფისი), პაუ გასოლი (ლეიკერსი), სერჟ იბაკა (ოკლაჰომა), რიკი რუბიო (მინესოტა), მათგან ევროპირველობას პაუ გასოლი და სერჟ იბაკა დააკლდებიან.

სერბეთი ამერიკაში 4 კალათბურთელით ამაყობს – დარკო მილიჩიჩი (ბოსტონი), საშა პავლოვიჩი (პორტლენდი), ვლადიმირ რადმანოვიჩი (ჩიკაგო), ნემანია ნედოვიჩი (გოლდენ სტეიტი), თუმცა მათგან მხოლოდ ნედოვიჩმა გადაწყვიტა ნაკრებს დახმარებოდა.

4 კალათბურთელი ჰყავთ თურქებსაც – ომერ აშიქი (ჰიუსტონი), ერსან ილიასოვა (მილუოკი), ენეს კარტერი (იუტა), ჰედო თურქოგლუ (ორლანდო). ამათგან ნაკრებში მხოლოდ კარტერი არ ჩამოვიდა.

იტალიასაც 4 წარმომადგენელი ჰყავს – ლუიჯი დატომე (დეტროიტი), ანდრეა ბარნიანი (ნიუ იორკი), მარკო ბელინელი (სან ანტონიო), დანილო გალინარი (დენვერი). აპენინელები განახევრებული ხვდებიან ევრობასკეტს – გუნდს მხოლოდ ბელინელი და დატომე დაეხმარება.

რუსეთის ნაკრებიც იტალიის დღეშია. 4 კალაბურთელიდან – ანდრეი კირილენკო (ბრუკლინი), ტიმოფეი მოზგოვი (დენვერი), ალექსეი შვედი (მინესოტა), სერგეი კარასიოვი (კლივლენდი), თამაშის სურვილი შვედმა და კარასიოვმა გამოთქვეს.

ცუდ დღეშია გერმანია 3 „ამერიკელიდან“ – დირკ ნოვიცკი (დალასი), კრის კამანი (ლეიკერსი), ტიმ ოლბრეხტი (ფილადელფია), ევრობასკეტზე არც ერთი არ დაეხმარება.

ბრიტანეთის ნაკრებს 3 კალათბურთელიდან – ლუოლ დენგი (ჩიკაგო), ბენ გორდონი (შარლოტი), ჯოელ ფრილენდი (პორტლენდი), მხოლოდ გორდონი დაეხმარება.

ორივე ლეგიონერებით არიან ლიტველები – დონატას მოტეიუნასი (ჰიუსტონი), იონას ვალანჩუნასი (ტორონტო), სლოვენიელები – გორან დრაგიჩი (ფინიქსი), ბენო უდრიხი (ნიუ იორკი) და შვედები – იონას იერებკო (დეტროიტი), ჯეფრი ტეილორი (შარლოტი).

განახევრებული ჩერნოგორია – ნიკოლა ვუჩევიჩი (ორლანდო) ითამაშებს, ნიკოლა პეკოვიჩი (მინესოტა) – არა.

ნბა-ში თითო წარმომადგენელი ჰყავთ დანარჩენ გუნდებს, გამონაკლისები არიან ფინეთი და ბელგია, რომელსაც ოკეანისგაღმა კალათბურთელები არ ჰყავთ. ამათგან თავიანთ ნაკრებებს დაეხმარებიან: ბოსნიელი მირზა ტელეტოვიჩი (ბრუკლინი), ჩეხი იან ვესელი (ვაშინგტონი), ისრაელის ნაკრებს ომრი კასპი (ჰიუსტონი), მაკედონიელი პერო ანტიჩი (ატლანტა), პოლონელი მარცინ გორტატი, უკრაინელი ვიაჩესლავ კრავცოვი (ორივე ფინიქსი) და ხორვატი ბოიან ბოგდანოვიჩი (ბრუკლინი). ხოლო ლატვიელმა ანდრის ბიენდრიშმა (გოლდენ სტეიტი) და ბერძენმა კოსტას კუფოსმა (მემფისი) ევრობასკეტზე თამაში იუარეს.

*მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა*

# შედეგები

**ფეხბურთი**

**ბრაზილია. სერია ა**

| | |
|---|---|
| გოიასი-გრემიო | 2:0 |
| ნაუტიკუ-სან პაულუ | 0:1 |

**ჩოგბურთი**

**ამერიკის ღია ჩემპიონატი**

**კაცები**

| | |
|---|---|
| ჯოკოვიჩი-გრანოლერსი | 6:3;6:0;6:0 |
| ბერდიხი-ვავრინკა | 6:3;1:6;6:7;2:6 |
| მიურეი-ისტომინი | 6:7;6:1;6:4;6:4 |

**ქალები**

| | |
|---|---|
| უილიამსი!ს.-სუარეს ნავარო | 6:0;6:0 |

# თბილისის მერიამ სამხატვრო ხელმძღვანელების კონკურსი გამოაცხადა

ეკა ირემაშვილი

**მას შემდეგ, რაც ახმეტელის თეატრის მსახიობთა ნაწილმა თბილისის მერიის წინ საპროტესტო აქცია გამართა და ახმეტელის თეატრში სასწრაფო წესით სამხატვრო ხელმძღვანელის დანიშვნა მოითხოვა, დედაქალაქის მერიამ კონკურსი გამოაცხადა.**

„თბილისის მერია აცხადებს კონკურსს ქალაქის მმართველობის სფეროში შემავალი თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელების კანდიდატთა შესარჩევად.

კონკურსი ცხადდება შემდეგ პროფესიულ თეატრებში: ა(ა)იპ სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი; ა(ა)იპ პანტომიმის თეატრი.

„პროფესიული თეატრების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად: „სამხატვრო ხელმძღვანელი უნდა იყოს უმაღლესი სახელოვნებო განათლების მქონე პირი, პროფესიით რეჟისორი ან მსახიობი, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევაში -სახელოვნებო გამოცდილების, აღიარების, თვალსაჩინო დამსახურების მქონე პირი.

სამხატვრო ხელმძღვანელი არის თეატრის საერთო ხელმძღვანელი; პასუხისმგებელია თეატრის საერთო საქმიანობაზე; განსაზღვრავს საშტატო ერთეულების რაოდენობას, სახელფასო განაკვეთს და თეატრალური საქმიანობის წახალისების ფორმებს საქართველოს შრომის კანონმდებლობით დადგენილი წესით; თეატრის შემოქმედებითი კოლექტივის წევრებთან დებს შრომით ხელშეკრულებებს არაუმეტეს 4 წლის ვადით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს მისი უფლებამოსილების ვადის გასვლიდან 6 თვეს. 4 წელზე მეტი ვადის შემთხვევაში სამხატვრო ხელმძღვანელი შრომით ხელშეკრულებებს დებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით; საჭიროების შემთხვევაში მოწვეულ სპეციალისტებთან დებს შრომით ხელშეკრულებებს შესაბამისი ვადით; უზრუნველყოფს რეჟისორის (რეჟისორების) მოზიდვასა და დასაქმებას თეატრის შემოქმედებითი ზრდის, რეპერტუარის მრავალფეროვნებისა და კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნის მიზნით; უზრუნველყოფს მსახიობთა შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენას და მათ პროფესიულ ზრდას; ხელმძღვანელობს სამხატვრო საბჭოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში); თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მთავარ რეჟისორსა და მთავარ მხატვარს; თეატრის დირექტორთან ერთად წყვეტს ადმინისტრაციულ-ტექნიკურ და ფინანსურ საკითხებს; შეუძლია მოახდინოს ცალკეული უფლებამოსილებების დელეგირება თეატრის დირექტორზე (უფლებამოსილების დელეგირება სამხატვრო ხელმძღვანელს არ ათავისუფლებს თეატრის საერთო საქმიანობაზე პასუხისმგებლობისაგან). სარეკომენდაციო საბჭოს მიერ წარდგენილ კანდიდატს, დამფუძნებელი 4 წლის ვადით ნიშნავს სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობაზე.

კონკურსში მონაწილეობისათვის ქალაქ თბილისის მერიაში წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგი დოკუმენტაცია: განცხადება/წარდგინება თბილისის მერის სახელზე; კანდიდატის მიერ შედგენილი კონკრეტული თეატრის განვითარების ოთხწლიანი პროგრამა; კანდიდატის ვრცელი შემოქმედებითი სივი. კანდიდატის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის, ან პასპორტის ასლი; კანდიდატის უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (დიპლომის) ასლი; კანდიდატის ფოტოსურათი.

საკონკურსო დოკუმენტაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ორ ეგზემპლარად.

ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის პროფესიული მუნიციპალური თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელობის კანდიდატთა შესარჩევი სარეკომენდაციო საბჭო, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, შეარჩევს შესაბამის კანდიდატებს და დასანიშნად წარუდგენს თბილისის მთავრობას.

საკონკურსო დოკუმენტაცია მიიღება 2013 წლის 13 სექტემბრის ჩათვლით თბილისის მერიაში“, – ნათქვამია თბილისის მერიის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

როგორც ახმეტელის თეატრში განმარტეს, მათ უკვე 7 წელია არ ჰყავთ სამხატვრო ხელმძღვანელი. სახელმწიფო თეატრი, რომელიც მერიის დაქვემდებარებაშია, მმართველის მიერ იმართება. ამ თანამდებობას ამჟამად თამაზ გოლაძე იკავებს. მერიის წარმომადგენელი მამუკა ქაცარავა არ მალავს, რომ თამაზ გოლაძის თეატრის მმართველად მოსვლის შემდეგ თეატრში მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა უკეთესობისკენ.

ახმეტელის თეატრის მსახიობთა ნაწილის განცხადებით კი თამაზ გოლაძე არ არის პროფესიით რეჟისორი, ამიტომ მათ თეატრის სათავეში რეჟისორის ნახვა სურთ. ისინი არ მალავენ, რომ ამ თანამდებობაზე თავიანთი კანდიდატურა ჰყავთ და ეს რეჟისორი ანდრო ენუქიძეა.

რაც შეეხება პანტომიმის თეატრს, იქ ყველაფერი – თავიც და ბოლოც ამირან შალიკაშვილია. სწორედ ამ ადამიანის სახელთან არის დაკავშირებული საქართველოში პანტომიმის ჟანრის დამკვიდრება და შემდეგ უკვე სახელმწიფო თეატრის დაარსება. ამჟამად ამირან შალიკაშვილი ერთადერთი და შეუცვლელი კანდიდატია პანტომიმის თეატრში სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობაზე. აღსანიშნავია, რომ მისი ვაჟებიც მთლიანად ამ სფეროში არიან ჩართული. უმცროსი ამირან შალიკაშვილი მსახიობია და სპექტაკლებსაც დგამს, დათო შალიკაშვილი კი რეჟისორია და პანტომიმის თეატრში არაერთი სპექტაკლი აქვს დადგმული. პანტომიმაშია ამირან შალიკაშვილიც მეუღლეც – მსახიობი კირა მებუკე, რომელიც ერთადერთ პანტომიმისტ მსახიობ ქალად არის აღიარებული. ამჟამად ამირან შალიკაშვილს შენობის პრობლემა აქვს. რუსთაველის გამზირზე მდებარე შენობა, რომელშიც წლებია თეატრი ფუნქციონირებს, სახელმწიფომ 1 ლარად გაყიდა, რის გამოც პანტომიმის თეატრი შენობის გარეშეა დარჩენილი.

ვინ ისურვებს ახმეტელისა და პანტომიმის თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელობას, ამის შესახებ საზოგადოებისთვის განაცხადების მიღების დასრულების შემდეგ გახდება ცნობილი.

როგორც მამუკა ქაცარავამ განმარტა, ახმეტელისა და პანტომიმის თეატრების გარდა, მერიის ბალანსზეა კიდევ ერთი თეატრი – გლობუსის თეატრი, რომელიც ალექსანდრეს ბაღში მდებარეობს, მაგრამ ამჟამად არ ფუნქციონირებს და ამიტომაც გაუგებარია, რაში სჭირდება მას სამხატვრო ხელმძღვანელი.

# ქობულეთში პოეზიისა და მუსიკის ფესტივალი ჩატარდა

ეკა ირემაშვილი

**ქობულეთმა პოეზიისა და მუსიკის ფესტივალს „პოემუსი“ უმასპინძლა. როგორც ღონისძიების ორგანიზატორებმა განაცხადეს, ეს არ არის პირველი საღამო, რომელიც ფესტივალის ეგიდით ტარდება და მან სტარტი კახეთიდან აიღო.**

ხელოვანებმა მიიღეს გადაწყვეტილება, ლეიკემიით დაავადებული ბავშვების დასახმარებლად შეკრებილიყვნენ. როგორც ორგანიზატორებმა განმარტეს, ქობულეთის საღამო იყო ერთგვარი მოსამზადებელი ეტაპი 15 სექტემბერს ბათუმის მუსიკალურ ცენტრში დაგეგმილი საქველმოქმედო ტელემარათონისა, რომელზეც თანხა 3 წლის ეკა კაპანაძის ოპერაციისთვის უნდა შეგროვდეს.

ტელემარათონს ფესტივალის ორგანიზატორები დიტო ცინცაძის საქველმოქმედო ფონდთან ერთად გამართავენ, რომელიც ლეიკემიით დაავადებულ ბავშვებს ეხმარება.

პოეზიისა და მუსიკის ფესტივალი სიღნაღში გაიხსნა და საღამოები საქართველოს სხვადასხვა ქალაქში, სხვადასხვა საქველმოქმედო მიმართულებით ჩატარდა. მთლიანობაში ფესტივალში 80-მდე ხელოვანია გაერთიანებული და სიცოცხლისთვის მებრძოლი ბავშვების დასახმარებლად ღონისძიებებში მონაწილეობს.

ფესტივალ „პოემუსის“ ორგანიზატორის ბექა ელბაქიძის თქმით, ღონისძიებები სიღნაღიდან დაიწყო და სადებიუტო საღამო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციას მიეძღვნა.

ფესტივალი მთლიანად საქველმოქმედოა და ის პროექტ „პოემუსის“ – პოეზიისა და მუსიკის სინთეზური ღონისძიებები – ფარგლებში ტარდება. ჟურნალისტი და მსახიობი ბექა ელბაქიძე ამბობს, რომ ფესტივალს მისი მეგობრების ჯგუფი ატარებს და მათ გვერდით 80-მდე ხელოვანი დგას. საფესტივალო პროგრამა შვიდ ქალაქს მოიცავს და სხვადასხვა საქველმოქმედო დატვირთვას ატარებს.

ფესტივალმა ღონისძიებები ძირითადად აგვისტოში დაგეგმა: 8 აგვისტოს ფესტივალი გორში ჩავიდა და ქალაქის ცენტრში ომში დაღუპული ჯარისკაცების ხსოვნასა და დაზარალებულ ოჯახებს თავისი მხარდაჭერა გამოუცხადა. 16 აგვისტოს ფესტივალმა ზუგდიდში გადაინაცვლა, 18 აგვისტოს – ბათუმში, სადაც დიტო ცინცაძის საქველმოქმედო ფონდთან ერთად ორი ღონისძიება მიეძღვნა ლეიკემიასთან ბრძოლას. 20-21 აგვისტოს ფესტივალი ქუთაისში ჩავიდა, სადაც შეგროვილი თანხა მოხუცთა თავშესაფარს და უპატრონო ბავშვთა სახლებს გადასცა. 25-26 აგვისტოს „პოემუსი“ ბორჯომს ესტუმრა და თეატრალური პერფორმანსი წარმოადგინა ძალადობის წინააღმდეგ. 13 სექტემბერს კი თბილისში ჯანსუღ კახიძის სახელობის ბაღში შემაჯამებელი ღონისძიებაა დაგეგმილი.

სიღნაღში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებთან შესახვედრად ჩავიდნენ

გაგრძელება მე-11 გვერდზე

# ჩუმად, ჰამლეტ გონაშვილი მღერის!

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ლებს, მათ შორის მთქმელის პარტიას, ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებებს.

როგორც მისი კოლეგა ანზორ ერქომაიშვილი იხსენებს, სიმღერას რომ ამუშავებდა, საათობით უსმენდა ძველ ჩანაწერებს, ყველა გამოცდილებას გააიაზრებდა და მერე ქმნიდა ახალ, საკუთარ, გამორჩეულ ვარიანტს. მაგრამ ერთსა და იმავე სიმღერას თვითონაც ორჯერ ზუსტად ერთნაირად არ ასრულებდა. კონცერტის დროს, მელოდიის ისეთ ქარგვას იწყებდა, რომ თუ პარტნიორიც გამოცდილი არ იყო, ვერ მიჰყვებოდა, ამიტომ ჰამლეტ გონაშვილთან დუეტში ყველა ვერ მღეროდა.

– ჰამლეტს მთავარი მომხიბვლელობა იყო განსაკუთრებული და განუმეორებელი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი, იშვიათი სილამაზის, რბილი ტემბრის ხმა, ვირტუოზული საშემსრულებლო ტექნიკა, დახვეწილი გემოვნება, ბგერის სიმსუბუქე და მკაფიოება. არტისტული გარეგნობით, სიმღერის დახვეწილი მანერითა და თავდაჭერილობით აღტაცებაში მოჰყავდა არა მხოლოდ ქართველი, არამედ უცხოელი მსმენელიც. პარიზში „მრავალჟამიერი“ სამჯერ ამღერეს, ესპანელები ყელზე კოცნიდნენ. ანსამბლ „რუსთავთან“ ერთად თითქმის მთელი მსოფლიო მოიარა და თავისი სიმღერით გულგრილი არავინ დაუტოვებია, მათ შორის პროფესიონალი მუსიკოსებიც, – იხსენებს ლოტბარი.

ჰამლეტ გონაშვილის რეპერტუარიდან გამორჩეულია „ურმული“, „ოროველა“, „წინწყარო“, „წმინდაო ღმერთო“, „გაფრინდი შავო მერცხალო“, „დაიგვიანეს“. მისი შემოქმედება ქართული მუსიკალური ფოლკლორისა და კლასიკური მუსიკის უნიკალური სინთეზია.

– ჰამლეტი ადამიანური თვისებებითაც გამორჩეული იყო. უყვარდა კახური ღვინო, ოღონდ საგანგებოდ, ფაქიზად ეპყრობოდა, ცოტას სვამდა, დაგემოვნებით. უცხოეთში გასტროლებზე მუდამ თან მიჰქონდა, მაშინაც კი, როცა სასმელის საზღვარზე გადატანა მკაცრად იყო აკრძალული, კონცერტის შემდეგ საქართველო აუცილებლად უნდა ედღეგრძელებინა. განსაკუთრებით იწონებდა თავს, რომ სირიიდან ჩამოტანილი ლეღვის ნერგი ანაგაში გაახარა და ნაყოფიც მიიღო, – ამბობს მისი კოლეგა.

როგორც ცნობილია, მომღერალი ტრაგიკულად დაიღუპა, მშობლიურ სოფელში, დედის სანახავად ჩასული. დაკრძალეს საბურთალოს სასაფლაოზე, თუმცა მოგვიანებით გადაასვენეს დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

მის მიერ შესრულებული სიმღერები დღეს უფრო და უფრო პოპულარული ხდება საზღვარგარეთ. უცხოელები ჰამლეტ გონაშვილის „ურმულსა“ და „ოროველას“ კინოფილმებსა და მასობრივ სანახაობებში იყენებენ როგორც მისტიკური მოვლენის, ადამიანის ხმის შესაძლებლობის უნიკალურ გამოვლინებას.

ჰამლეტ გონაშვილის 85 წლის იუბილესთან დაკავშირებით საგანგებო ალბომი გამოსცა ფონდმა „ქართული გალობა“. ყველაზე ღვაწლმოსილი მომღერლის ჰამლეტ გონაშვილის ალბომი განახლებულად გამოიცა. ის ორი კომპაქტური დისკისგან შედგება.

– ჩვენმა ფონდმა „ქართული გალობა“ გამოსცა ჰამლეტ გონაშვილის შემოქმედების სრული კრებული. მასში შესულია როგორც მის მიერ შესრულებული ქართული ფოლკლორის ნიმუშები, ასევე ქართველ კომპოზიტორთა ის ნაწარმოებებიც, რომლებსაც ჰამლეტი მღეროდა, – განაცხადა ანზორ ერქომაიშვილმა.

მისივე თქმით, 28 სექტემბერს რუსთაველის თეატრში ჰამლეტ გონაშვილის 85 წლის იუბილე ფონდის მიერ დაგეგმილი კონცერტით აღინიშნება.

ეკა ირემაშვილი

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. სამთო-სათხილამურო სპორტის ცენტრი სლოვენიაში; 2. იტალიური ლიქიორი; 3. აზრთა გაცვლა-გამოცვლა; 4. მდინარე ტოკიოში; 5. ქიმიური ინდიკატორი; 8. ცეკვაში სრული ბრუნი ცალი ფეხის თითის წვერებზე; 9. სასტუმროების ქსელის მფლობელი მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ფირმა; 12. დიდი მახრჩობელა გველი; 13. ამერიკული ავიაკოსმოსური კონცერნი; 16. ისტორიული სატუსაღო პარიზში; 17. უნაღდო ანგარიშსწორების ერთ-ერთი ფორმა საგარეო ვაჭრობაში; 19. მილიონის ძველი ქართული სახელწოდება; 20. ხარებთან ორთაბრძოლა.

**თარაზულად:** 6. პანიკური ჭორების გამავრცელებელი ადამიანი; 7. პოლიციელის სახელწოდება ძველად გერმანიაში; 8. რკინიგზის ხაზის სიგრძის საზომი ერთეული; 10. საკერავი მანქანების მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 11. ფრანგი კინოვარსკვლავი ქალი; 14. მოწინააღმდეგე კამათში, დისკუსიაში; 15. განცალკევებული ოთახი ახლადდაქორწინებული ნეფე-დედოფლისათვის ძველად; 18. ბოშათა წინამძღოლი; 21. სანიმუშო ნაწარმოები, ხელოვნების, ოსტატობის უდიდესი მიღწევა; 22. შვედური ავტომობილი; 23. მგალობელი ჩიტი; 24. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. ბურდუხანი; 2. ვაქცინა; 3. „ბერეტა“; 4. ლვოვი; 5. პლევრა; 11. პორტიე; 12. „სოკარი“; 14. კები; 16. „კრახუნა“; 17. ეპატაჟი; 19. სტანიცა; 21. პლაცი; 22. „იტამი“.

**თარაზულად**: 6. აუტოდაფე; 7. შავთელი; 8. „ვოლვო“; 9. შულერი; 10. ტროპი; 13. შნეკი; 15. სკეპტიკოსი; 18. ნეკრესი; 20. პატი; 21. „პოპული“; 22. ტახიკარდია; 24. ჟუდეცი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. ფისკალი; 2. უნგრეთი; 3. სოლოლაკი; 4. სლაიდი; 5. სამსუნი; 8. ჩარხილი; 9. კაკანათი; 12. კასტილია; 13. ყუმბარა; 16. კოლორადო; 17. ფერმერი; 19. „სტამპა“; 20. „მერანი“.

**თარაზულად**: 6. პირანდელო; 7. კლიმატი; 8. ჩხოუში; 10. ბარნელა; 11. ხულა; 14. მიუზიკლი; 15. ესტანსია; 18. კოპიჭი; 21. ტორშერი; 22. შერპი; 23. ასკოტი; 24. „ნოკარტისი“.

# ოპერისა და ბალეტის თეატრი 162-ე სეზონს ხსნის

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ხიობი მარიამ საფაროვა-აბაშიძე კომპოზიტორის მოღვაწეობის 30 წლისთავთან დაკავშირებით წერდა, „აბესალომი“ უნდა განასახიერებდეს საქართველოს უკვდავ სულს, რომელშიც ტანჯვა და სიხარული ერთმანეთში გადახლართულა, ვით სიმბოლო აზრისა და მშვენიერებისა.“ თავად კომპოზიტორს ოპერაზე მუშაობისას არაერთხელ უთქვამს, „მე პრეტენზიები არა მაქვს, რათა ჩემზე სთქვან ოპერა დასწერაო. ჩემი მუშაობის აზრია – მე ვიძლევი მასალას, ვკრებ და ვაყალიბებ მას, გამოვიტან საზოგადოებაში, შემდეგ, ალბათ გამოჩნდება ვინმე უფრო ნიჭიერი და ოპერას დასწერს.“ ზაქარია ფალიაშვილი საკუთარ დამსახურებად ოპერაში უფრო ეროვნული და ევროპული მუსიკის თავისებურებების სინთეზს მიიჩნევდა. იგი წერდა, „მე ის (იგულისხმება „აბესალომ და ეთერი“) მიყვარს და ვეტრფი არა მარტო ისე, როგორც ჩემს პირმშოს, არა – ვიმეორებ, ისე როგორც საუკეთესო ნიმუშს ქართული ხალხური სიმღერებისას ევროპული თეორიის კანონებზედ დამყარებულს.“ ოპერის საერთო კონცეფციაში ძირითადი თემა – სიყვარული წარმოსახულია როგორც დიადი, უძლეველი ძალა, რომელიც გადალახავს არა მარტო სოციალურ უთანასწორობას, არამედ თვით სიკვდილსაც. სიყვარულისა და სიკვდილის ამაღლებული პოემა ფალიაშვილმა მუსიკალური ტრაგედიის მონუმენტურ ფორმებში გადაწყვიტა, – ამბობენ ოპერისა და ბალეტის თეატრში.

რიგით 162-ე თეატრალური სეზონი თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში კვლავ თბილისის ვანოგ სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიხსნება, სადაც ფალიაშვილის უკვდავი ოპერა „აბესალომ და ეთერი“ აჟღერდება. მომავალ თეატრალურ სეზონს კი ოპერისა და ბალეტის თეატრი უკვე განახლებულ შენობაში შეხვდება.

ეკა ირემაშვილი

# ავთანდილ ვარსიმაშვილი ოდესაში წავიდა

ეკა ირემაშვილი

რეჟისორი ავთანდილ ვარსიმაშვილი გრიბოედოვის თეატრის დასთან ერთად ოდესაში წავიდა. ამის მიზეზი ოდესაში გამართულ საერთაშორისო თეატრალური ფესტივალია, რომელზეც გრიბოედოვის თეატრი პირველად არ არის მიწვეული.



როგორც საქართველოდან გამგზავრებამდე გახდა ცნობილი, ოდესის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის გახსნის პატივი თბილისურ დასს ხვდა წილად. გრიბოედოვის თეატრის დასი ფესტივალზე შეკრებილი საზოგადოებისთვის ავთანდილ ვარსიმაშვილის სპექტაკლს „ქორწინება“ ითამაშებს, რომელიც მა გოგოლის ნაწარმოების მიხედვით დადგა.

გოგოლის ქორწინება გრიბოედოვის თეატრში ორი წლის წინ ავთანდილ ვარსიმაშვილმა განახორციელა. ეს არის ერთმოქმედებიანი მისტიკური კომედია. სპექტაკლის მხატვარი მირიან შველიძეა, პროექტის პროდიუსერი – „რუსული კლუბის“ ხელმძღვანელი ნიკოლაი სვენტიცკი. სპექტაკლიც საერთაშორისაო კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირის „რუსული კლუბის“ მხარადჭერით განხორციელდა. „ქორწწინებაში“ მონაწილეობენ მსახიობები მარიამ კიტია, ლიუდმილა არტემოვა-მღებრიშვილი, ირინა კვიჟინაძე, აპოლონ კუბლაშვილი, ოლეგ მჭედლიშვილი, მიხეილ არჯევანიძე, დიმიტრი მერაბიშვილი, ვალერი ხარტიუჩენკო, ნანა დარჩიაშვილი, მიხეილ ამბროსოვი და ივანე ქურასბედიანი.

როგორც გრიბოედოვის თეატრში ამბობენ, ავთანდილ ვარსიმაშვილმა გოგოლის „ქორწინებაში“ დაინახა მისტიკური პიესა. აქედან დაიბადა მოულოდნელი, არატრადიციული სცენიური გადაწყვეტა, რომელშიც ფილოსოფიური კომპონენტებიც არის ჩართული.

წელს ოდესის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე თავისი სპექტაკლი გრიბოედოვის თეატრმა 3 სექტემბერს ფესტივალის გახსნაზე ითამაშა. „შეხვედრები ოდესაში“ – ასე ეწოდება ფესტივალს, რომელზეც გრიბოედოვის თეატრს საკმაოდ კარგად იცნობენ. ამ თეატრის დასმა ოდესაში უკვე ითამაშა ავთანდილ ვარსიმაშვილის სპექტაკლი – მუსიკალური დრამა „გეტო“, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა და წარმატებაც მოიპოვა.

„შეხვედრები ოდესაში“ წელს მერვედ ტარდება და 2 სექტემბრიდან 13 სექტემბრამდე გაგრძელდება. ფესტივალს ყოველ წელს მხარდაჭერას უცხადებს რუსეთის თეატრის მოღვაწეთა კავშირი. ფესტივალის ორგანიზატორები თავს იყრიან ოდესის რუსულ აკადემიურ თეატრში და ფესტივალში იწვევენ როგორც ახლო, ასევე შორეული უცხოური თეატრების დასებს. ყოველწლიურად ფესტივალში მონაწილეობენ პროფესიული თეატრალური დასები უკრაინიდან, რუსეთიდან, გერმანიიდან, ავსტრიიდან, ისრაელიდან, საქართველოდან, სომხეთიდან, ლიტვიდან, ესტონეთიდან, ლატვიიდან და სხვა ქვეყნებიდან. წლევანდელ ოდესის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალში ცხრა ქვეყანა მონაწილეობს.

ოდესის საეთრთაშორისო თეატრალური ფესტივალის საერთაშორისო ავტორიტეტი 2009 წელს დამტკიცდა, როდესაც მას ოქროს მედალი და საგანგებო დიპლომი მიენიჭა „უცხოეთში მოქმედი რუსული თეატრების კონსოლიდაციისთვის“ საერთაშორისო ფესტივალის პროდიუსერების კონკურსზე.

წელს ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება ფესტივალის ეგიდით ჩაატაროს პირველი საერთაშორისო გამოფენა-კონკურსი, რომელიც მთლიანად თეატრალურ აფიშებს მიეძღვნება. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ აფიშების ავტორებს, რომლებმაც შექმნეს ნებისმიერი სპექტაკლის თეატრალური აფიშები 2008-2013 წლებში.

# რა დაჯდა ვაჩნაძიანის ყოვლადწმინდა ეკლესიის რეაბილიტაცია?

ეკა ირემაშვილი

**სახელმწიფო აუდიტის დასკვნაში, რომელიც კულტურის სამინისტროს 2011 წლის მუშაობას აჯამებს, საუბარია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ სახელმწიფო შესყიდვების ტენდერების გამოცხადებისას პრეტენდენტებისთვის წაყენებული პირობების არათანმიმდევრულობისა და შეფასების კრიტერიუმების დაუსაბუთებლობის ფაქტებზე.**

სააგენტოს მიერ ელექტრონული ტენდერებით სარესტავრაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას, პრეტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი მონაცემების განსაზღვრის დროს ადგილი ჰქონდა არასათანადო მიდგომას. რაც გამოიხატება იმაში, რომ მოთხოვნილი მონაცემები სხვადასხვა ანალოგიური სახის შესყიდვების დროს განსხვავდებოდა ერთმანეთისგან.

კერძოდ, ყველა განხორციელებული შესყიდვის სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილია, რომ პრეტენდენტს ანალოგიურ სფეროში უნდა ჰქონოდა განხორციელებული არანაკლებ სამი სამუშაო. ზოგიერთ შემთხვევაში მოთხოვნილია, რომ თითოეული შესრულებული სამუშაოს სახელშეკრულებო ღირებულება არ უნდა ყოფილიყო 20.0 ათას ლარზე ნაკლები, ხოლო ზოგიერთში ეს მოთხოვნა არ არის მითითებული. ასევე ზოგიერთ შემთხვევაში მოთხოვნილია, რომ წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი დოკუმენტები (მაგალითად, ფორმა №2-ები), ხოლო ზოგიერთში საკმარისად იყო ჩათვლილი მხოლოდ შესრულებულ სამუშაოთა ჩამონათვალი. გაუგებარია, თუ რატომ აწესებდნენ მინიმალურ ზღვარს თითოეული ხელშეკრულებისთვის ცალ-ცალკე ან რატომ იყო საბოლოო კრიტერიუმი ხელშეკრულებათა რაოდენობა და არა შესრულებულ სამუშაოთა ჯამური მოცულობა.

მაგალითად, გელათის გაბრიელ მთავარეპისკოპოსის სახლის რესტავრაციის მიზნით გამოცხადებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციით (პროექტის სავარაუდო ღირებულება 210 000 ლარი) არ იყო მოთხოვნილი მსგავსი შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი დოკუმენტები – ფორმა №2-ები (მაშინ, როდესაც ბევრად უფრო დაბალი ღირებულების, კერძოდ, ტომითეს კარიბჭის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვისას მოთხოვნილი იყო მსგავსი შესრულებული სამუშაოების ფორმა №2-ბი. პროექტის სავარაუდო ღირებულებაა 40.000 ლარი).

ამასთან, ზემოაღნიშნულ ტენდერში პრეტენდენტი შპს „ალზუ“, რომელსაც წარმოდგენილი ჰქონდა ყველაზე დაბალი ფასი (139.0 ათასი ლარი) დისკვალიფიცირებულ იქნა იმ მოტივით, რომ მესამე ანალოგიური სახის სამუშაო არ ჩაუთვალეს, რადგან ჯერ მიმდინარეობდა და დამთავრებული არ იყო (თუმცა სატენდერო კომისიის 2011 წლის 15 ივნისის №3 ოქმის მიხედვით სამუშაოები მთავრდებოდა 19 დღეში – 2011 წლის 4 ივლისს). გამარჯვებული პრეტენდენტის კომპანია „ივერთმშენის“ სატენდერო წინადადების ფასმა შეადგინა 170.8 ათასი ლარი. შედეგად სააგენტოს მიერ არაეკონომიურად გახარჯულია 31.8 ათასი ლარი.

ვაჩნაძიანის ყოვლადწმინდა ეკლესიის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვაზე გამოცხადებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციით თავდაპირველად არ იყო განსაზღვრული შესრულებული სამუშაოების სახელშეკრულებო ღირებულების მინიმალური ზღვარი (20.0 ათასი ლარი). აღნიშნული მოთხოვნა დაემატა სატენდერო კომისიის 2011 წლის 17 ივნისის №2 სხდომის ოქმის საფუძველზე ტენდერის გამოცხადებიდან 10 დღის შემდეგ. აღნიშნული მოთხვნის საფუძველზე პრეტენდენტი შპს „ნიკე“ (რომლის სატენდერო წინადადების საბოლოო ფასი შეადგენდა 76.0 ათას ლარს) დისკვალიფიცირებულ იქნა იმ მოტივით, რომ მის მიერ წარმოდგენილი მესამე შესრულებული სამუშაოს სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენდა 19 954 ლარს – შემსყიდველის მიერ დაწესებულ კრიტერიუმზე 46 ლარით ნაკლებს.

საბოლოოდ ტენდერში გაიმარჯვა ი/მ ვალერიან ლომოურმა, რომლის სატენდერო წინადადების საბოლოო ფასმა შეადგინა 78.0 ათასი ლარი. შედეგად სააგენტოს მიერ არაეკონომიურად გახარჯულია 2.0 ათასი ლარი.

სახელმწიფო აუდიტი ყურადღებას ამახვილებს კახეთის სარეაბილიტაციო პროექტებზე და მასში არაგონივრულად მცირე დროის მონაკვეთში დადებულ ხელშეკრულებებსა და სამუშაოს მიღების ფაქტებზე საუბრობს.

კახეთში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან დაკავშირებული ტურისტული ინფრასტრუქტურის სამშენებლო სამუშაოების განხორციელება მთავრობის 2011 წლის 27 დეკემბრის №2574 განკარგულების შესაბამისად დაევალა მუნიციპალური განვითარების ფონდს („მგფ“).

თავის მხრივ, ფონდმა აღნიშნული სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციით უზრუნველყოფის თაობაზე ხელშეკრულების გასაფორმებლად მიმართა თხოვნით საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს. მიმართვის წერილში მითითებულია, რომ მათ არ გააჩნიათ რეაბილიტაციის პროექტის შესაქმნელად და სათანადო კომპანიებთან ხელშეკრულების გასაფორმებლად საკმარისი ცოდნა და გამოცდილება.

შესაბამისად, სააგენტომ კულტურის მინისტრისგან შესყიდვის გამარტივებული წესით წარმოების უფლების მიღების შემდეგ გაუგზავნა წერილი მი კომპანიებს (7 კომპანიას), რომლებსაც სავარაუდოდ უნდა ჰქონოდათ მზა პროექტები.

საგულისხმოა, რომ ზემოაღნიშნული პროცედურები, კომპანიების პასუხი მათთვის გაგზავნილ წერილებზე, ხელშეკრულებების გაფორმება შვიდივე კომპანიასთან (ანუ შვიდივე პროცედურული საკითხის გადაწყვეტა) განხორციელდა ერთ დღეს – 2011 წლის 28 დეკემბერს, ხოლო მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდა მეორე დღესვე – 2011 წლის 29 დეკემბერს.

თამარ მეფის ქანდაკების სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებით სამინისტროსა და შპს „პალეოლითს“ შორის 2011 წლის 16 აგვისტოს გაფორმებული №450 ხელშეკრულებისა და წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვების საფუძველზე გადახდილ იქნა 1 202.6 ათასი ლარი. შემოწმებით გაირკვა, რომ შპს „პალეოლითის“ ხარჯთაღრიცხვაში ქვეკონტრაქტორებზე გადახდილი თანხები წარმოდგენილი ჰქონდა კანონმდებლობის დარღვევით (დღგ-ს ჩათვლით), სამინისტროსთვის წარმოდგენილ ხარჯთაღრიცხვაში აღნიშნულ თანხას ბოლოს განმეორებით ჯამურადაც ჰქონდა დარიცხული დღგ. კერძოდ: შპს „ბი-ეს-სი ელკაბელ ინკ“-სგან შეძენილი 112.0 ათასი ლარის ბრინჯაოს (მათ შორის, დღგ 17.1 ათასი ლარი) და შპს „ნოვასგან“ შეძენილი 1.3 ათასი ლარის თაბაშირის (მათ შორის, დღგ 0.2 ათასი ლარი) ხარჯი ხარჯთაღრიცხვაში ჩართული იყო დღგ-ს ჩთვლით: შედეგად, ხარჯები 17.3 ათასი ლარით (17.1 პლუს 0.2) გაზრდილად იქნა წარმოდგენილი და სამინისტროს მიერ დანარიცხების გათვალისწინებით ზედმეტად არის გადახდილი 21.0 ათასი ლარი.

# სამგლოვიარო განცხადებები

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო და მთავრობა, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო, ჰელსინკის კავშირი, წმინდა ილია მართალის საზოგადოება“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა „წმინდა ილია მართალის საზოგადოების“ წევრი 1988 წლიდან

**ვენერა ბორისის ასული ჯინჭარაძე-მაისურაძე**

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.
**დაკრძალვა:** 2013 წლის 5 სექტემბერს.
**მისამართი:** აგლაძის ქ.№ 38

*მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო*
*ლ. მ. ბარამიძე*



**თეონა მურადაშვილის გახსენება**

ორმოცი თვალცრემლიანი დღე გავიდა მას შემდეგ, რაც შენ გვაკლიხარ თვალში, ჩვენო თეა.

ორმოცი ზაფხული ვერ მიითვალე, რომ საშუალო ასაკს მაინც მიახლოებოდი. ულმობელმა ბედმა გიმუხთლა, მოგწყვიტა მიწიერ სამყაროს და უკიდეგანო ზეცაში მიგიჩინა სამუდამო ბინა.

უფალს სთხოვს ჭირისუფალი, მისი ნათელი მოჰფინოს შენს სულს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ქობულეთში პოეზიისა და მუსიკის ფესტივალი ჩატარდა

დასაწყისი მე-10 გვერდზე

ბექა ელბაქიძე, ნატო სულხანიშვილი, ია სუხიტაშვილი, მაკა შალიკაშვილი, აჩიკო ნიჟარაძე, ნუცა ქირია, ბენდი „ქამალეონი“, გიგი ვანდერი, პოეტები – რეზი ქინქლაძე, გიორგი რუხაძე, ბიჭი ივანიშვილი, პაატა ჩოხელი და გიორგი ძამუკაშვილი.

სიღნაღის თეატრში „პოემუსმა“ საგანგებო საღამოც გამართა. სტუმრებმა ბავშვებს ლექსები წაუკითხეს. იმღერეს და ლექსები წაიკითხეს ბავშვებმაც.

– მგრძნობიარე პუბლიკა და კარგი აუდიტორია ყველაზე მაგარია, როცა დარბაზიდან დიდი ემოცია მოდის. ამ ბავშვებისთვის ეს იქნება დაუვიწყარი დღე. ბევრი ლექსი იციან, ფანტასტიკურად მღერიან. ინტელექტუალური ადამიანები არიან. მონაწილეები ვსაუბრობდით, ცოტა რთულია გაიგო, სად გადის ზღვარი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებსა და არა შეზღუდული შესაძლებლობების მქონეებს შორის. ჩვენ გვგონია, რომ სოციალურად აქტიურები ვართ, ამ დროს ისინი ისეთ თემებზე საუბრობენ, ისე იციან ლექსები და სიმღერები, განსხვავება ვერ ვიპოვეთ. ემოციები იყო როგორც დადებითი ასევე დამთრგუნველი. ამ ადამიანებს თანაგრძნობა არ სჭირდებათ. მათ თანადგომა სჭირდებათ. ეს ხშირად გვერევა, არადა, საფრთხილო თემაა, – აღნიშნა ბექა ელბაქიძემ.

როგორც ფესტივალში მონაწილე მსახიობმა მაკა შალიკაშვილმა აღნიშნა, „პოემუსი“ ძალიან კარგი წამოწყებაა და ის მზად არის ყოველთვის ამ ფესტივალის გვერდით იყოს.

ფესტივალს პატარებისთვის საყვარელი პერსონაჟის ბაბილინას გარეშე არ ჩაუვლია. როგორც ბაბილინამ – ნატო სულხანიშვილმა აღნიშნა:

– მუსიკისა და ლექსის შერწყმა ძალიან სასიამოვნოა. ამ ბავშვებთან შეხვედრა არაჩვეულებრივი იყო. მათ ადამიანებთან ურთიერთობა ძალიან სჭირდებათ, ისევე, როგორც ჩვენც გვჭირდება ამ ადამიანებთან ურთიერთობა.

შეკრებილი საზოგადოებისთვის ლექსები პოეტმა ბიჭი ივანიშვილმაც წაიკითხა:

– ჩვენ „პოემუსის“ წევრები, სიღნაღში ჩავედით, რათა უნარშეზღუდულ ბავშვებს დავხმარებოდით. მგონია საღამომ გაამართლა და ბავშვები ბედნიერები იყვნენ. ასეთი საღამოები აუცილებლად ხშირად უნდა ჩატარდეს, რადგან მათ იგრძნონ და იცოდნენ, რომ ისინი საზოგადოების ისეთივე ნაწილნი არიან, როგორც ჩვენ.

# TV პროგრამა

**ხუთშაბათი 5 სექტემბერი**

**08.00** დ/ფ "ღვინო და მეცნიერება" **09.00** საბ. ან/ფ "რა მშვენიერია პანამა" **10.30** ან/სერ. "ჯადოსნური პლანეტა" **11.00** "გურმანია" **12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **12.35** მხ/ფ "**ველური ველური ვესტი**" **14.30** დ/ფ "რუკების სილამაზე" **15.00** ტ/სერ. "**ჭორიკანა**" **16.20 კალათბურთი**. ევროპის ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. **საქართველო–ხორვატია** (გ/ჰ) **18.20** დ/ფ "ანტიკური მსოფლიო" **19.05** ტ/სერ. "**მაგდა ემი**" **21.00** ტ/სერ. "**ზღვარს მიღმა**" **22.00** სპორტული თოქ-შოუ: "არენა" **23.00 ხუთშაბათი**. კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. **სლოვენია-ესპანეთი**. (გ/ჰ) **01.00** დ/ფ "ახალგაზრდული სული"

**08.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.00** "ბრიფინგის დრო" **10.00, 14.00, 19.00, 00.00** ტ/სერ. "**დეტექტივი**" **11.00, 16.00** დ/ფ "100 უდიდესი აღმოჩენა" **2-3** ნაწ. **20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) **21.30** "არგუმენტების დრო" (პ/ე)

**08.00** ფორტ ბოიარი **09.00** ან/ფ "სპანჯბობი" **10.00** სერ. "**სიყვარული კონტრაქტით**" **5** სერ. **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **11.20** სერ. "**ცივი გული**" **12.30** მუსიკალური ლიგა (გ/ჩ) **14.40** კაცების შოუ (გ/ჩ) **16.00** სერ. "**დამალული სიმართლე**" **17.50, 18.50, 19.05** სერ. "**მაგნატები**". **21.00** სერ."**დაბრუნება**" **22.00** ქ.სერ. "**შუა ქალაქში**" (გ/ჩ) **23.00** სერ. "**შევარდნის თვალი**" **3** სერ. **00.15** მხ/ფ. "**კეთილი იყოს თქვენი მობრძანება რაილისთან** "

**08.00, 03.00** კურიერი დაიჯესტი **08.30** მხ/ფ. "FINAL FANTASY: THE SPIRITS WITHIN" **10.00** სერ. "**სიყვარული მშვენიერია**" **11.00** სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** ქართ. მხ/ფ "**დაკარგული სამოთხე** " **14.00** სერ "**ერთგულების ძალა**" **15.30** გააცინე და მოიგე **17.00** სერ. "**ნამდვილი ბრძნობა**" **18.50** სერ. "**ტიტების დრო**" **22.00** სერ. "**დასასრული**" **00.00** სერ. "**სიცრუის თეორია**" **01.00** მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა **01.30** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი **03.30** მხ/ფ

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** ეთნოგრაფია **06.10** დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" **06.35** მხ/ფ "**ყვარყვარე**" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" (კოლაჟი) **09.05,18.05** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.10, 18.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** ლექსით ქებათა ქება **10.40** დოკ/ფ "ათონის ქართველთა სავანე" **11.05** მოკ/ფ "**უსახელო უფლისციხელი**" **11.30** ეპოქის სახელები **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ "**რობინზონიადა, ანუ ჩემი ინგლისელი ბაბუა**" **13.20** ქართული მულტფილმი **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **14.45** ფოტოგალერეა **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" **15.55** მოკ/ფ "**ფეოლა**" **16.30** კონცერტი - ორი ნანა და კვარტეტი **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.30** ქრისტიანული სწავლება **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**გამოაღეთ ფანჯრები**" **20.40** ძილი ნებისა **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.05** ლექსით ქებათა ქება **21.10** "ერთსულოვნების სალონი" **22.20** "მთავარსარდალი" დავით აღმაშენებელი IV ნაწ. **22.45** ჩვენი ფონდი **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** "ჟურნალისტის დღიური "-კარბელაშვილების კილო **00.30** განთიადის სტუმარი **00.50** მხ/ფ "**გაგიმარჯოს ყველას**" **01.15** ირაო

მაესტრო **7.00, 0.00, 2.00, 3.00, 4.00, 5.00, 6.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** მულტფილმები **9.30** მაღვიძარა (კოლაჟი) **9.45** გადაცემა "პულსი" (გამ.) **10.15, 16.00 სერ. "ღრუბლებს მიღმა" 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **12.40, 17.30, 1.15, 3.30, 6.30** ფარული კამერა **13.45** "ჩემი ქორწილი" (გამ.) **14.40, 22.00, 4.30** "ყოველდღიური აბები" (გამ.) **15.30** მონიტორის ჟურნალისტური გამოძიება(გამ.) **19.00 სერ. "1001 ღამე" 22.20** "კინო მაესტროზე" **0.30, 5.30** ღია კარის დღე **2.30** მაგთიფანი (გამ.)

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

**5 სექტემბერი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,661
ევრო — 2,1982
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,588
100 რუსული რუბლი — 4,9952

## ამინდის პროგნოზი 5 სექტემბრისთვის




მალე! მალე! მალე!
ლეგენდარული ქართული დეტექტივის, „მგლის ბილიკის“, გაგრძელება
„შავი ვარდი“
„ახალ თაობასთან“ ერთად

# ჩუმად, ჰამლეტ გონაშვილი მღერის!



ვდავების წყაროს მცველი რაინდი იყო. მისი ხმა, ლოცვასავით წმინდა, ადამიანთა გულებს სალბუნად ედებოდა...“ – წერდა ქართველი პოეტი ანა კალანდაძე ჰამლეტ გონაშვილთან დაკავშირებით.

ქართველი მომღერალი (ტენორი), სახალხო მოლექსე და ქართველთა მიერ „საქართველოს ხმად“ აღიარებული ჰამლეტ გონაშვილი მართალია ბიოლოგიის ფაკულტეტზე სწავლობდა, მაგრამ ეს სულაც არ უშლიდა ხელს იმაში, რომ სულისშემძვრელად ემღერა.

როდესაც სწავლა თეატრალურ უნივერსიტეტში გადაწყვიტა, ინსტიტუტის სცენაზეც სიმღერით გამოვიდა. რექტორი მიხეილ კვესელავა მიხვდა, რომ მას რაღაც განსაკუთრებული ხმა ჰქონდა და ურჩია, სიმღერისთვის მიეხედა. 25 წლისა უკვე საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტი იყო. ჰამლეტ გონაშვილს განსაკუთრებით მოუხდა ჩოხა – ახოვანი, მხრებგაშლილი, მკერდგამოწეული და წვრილწელიანი მომღერალი ნამდვილ ქართველ არისტოკრატს ჰგავდა, მსმენელს კი თავი არაჩვეულებრივი ხმით დაამახსოვრა.

ცნობილია, რომ იგი ანსამბლ „რუსთავში“ გადავიდა და 16 წელი ამ ანსამბლის სოლისტი იყო. შეიძლება ითქვას, მთელი რეპერტუარი მასზე იყო აწყობილი. ერთნაირი წარმატებით ასრულებდა როგორც ქართლ-კახურ, ისე მეგრულ და აფხაზურ სიმღერებს, იმერულ-გურულ საგალობ-

„ჩუმად ჰამლეტ გონაშვილი მღერის“ – ასე ეწოდება კრებულს, რომელიც თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრისა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით საქართველოს მწერალთა კავშირის გამომცემლობამ „მერანი“ გამოსცა. წიგნი გამოჩენილი ქართველი მომღერლის ჰამლეტ გონაშვილის 85 წლის საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი წიგნი-კატალოგია.

– ჰამლეტ გონაშვილი იყო უნიკალური, ფენომენური მოვლენა ქართულ ხალხურ სასიმღერო შემოქმედებაში. მას უწოდებდნენ „ქართული ჰანგის უფლისწულს“, „ერის ბულბულს“, „საუკუნის მომღერალს“. ამ წიგნში თავმოყრილია ამონარიდები მგოსნის ხსოვნის წიგნიდან და კოლეგებისა და ახლობლების მოგონებანი გამდიდრებული ფოტო არქივით, – ამბობენ თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრში.

„... ქართული სულის უკვდავების პირველწყარო ხალხური სიმღერაა, რომლის ბადალი იშვიათად თუ მოიძებნება. ჰამლეტ გონაშვილი კი იმ უკ-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# ოპერისა და ბალეტის თეატრი 162-ე სეზონს ხსნის

ეკა ირემაშვილი

16 სექტემბერს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი 162-ე თეატრალურ სეზონს გახსნის.

როგორც ოპერის თეატრის წარმომადგენელმა ზურაბ ოიკაშვილმა „ახალ თაობას“ განუცხადა, მრავალწლიანი ტრადიცია არც ამჯერად დაირღვევა და ოპერის კოლექტივი პირველად ზაქარია ფალიაშვილის ოპერის „აბესალომ და ეთერის“ მოსასმენად მიიწვევს აუდიტორიას.

– ამჯერად, მსმენელები ქართულ კლასიკურ ოპერას საკონცერტო შესრულებით მოისმენენ. „აბესალომ და ეთერს“ შეასრულებენ მომღერლები თეიმურაზ გუგუშვილი (აბესალომი), ხათუნა ჭოხონელიძე (ეთერი), სულხან გველესიანი (მურმანი), მარიკა მაჩიტიძე (მარიხი), ირინე ალექსიძე (ნათელა), გია ასათიანი (აბიო მეფე), თამაზ საგინაძე (თანდარუხი), ბაჩანა წირქვაძე (სტუმარი), ელენე ჯანჯალია (ნაანა), ვახტანგ ჯაშიაშვილი (მსახურთუხუცესი), თეატრის გუნდი (მთავარი ქორმაისტერი – ავთანდილ ჩხენკელი, ქორმაისტერი – შალვა შაორშაძე) და სიმფონიური ორკესტრი. ოპერა რევაზ ტაკიძის დირიჟორობით აჟღერდება, – განმარტავს ზურაბ ოიკაშვილი.

ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“ კომპოზიტორის ერთ-ერთი გამორჩეული ოპერაა ოთხ მოქმედებად ორი შესვენებით. ლიბრეტოს ავტორია პეტრე მირიანაშვილი. ოპერის პრემიერა შედგა თბილისში 1919 წლის 21 თებერვალს. ცნობილია, რომ კომპოზიტორმა თავისი შემოქმედების ცენტრალურ ოპერაზე „აბესალომ და ეთერი“ მუშაობა 1910 წელს დაიწყო. ხალხური თქმულების „ეთერიანის“ სიუჟეტზე ნაწარმოების შექმნის იდეა კომპოზიტორს ცნობილმა




პედაგოგმა და ლიტერატორმა პეტრე მირიანაშვილმა მიაწოდა, რომელსაც დიდი დამსახურება მიუძღვის „აბესალომ და ეთერის“ შექმნაში. მან არა მარტო შეადგინა ლიბრეტოს ტექსტი, არამედ მხარში ედგა კომპოზიტორს იმ წლების მანძილზე, როდესაც იგი ამ ოპერაზე მუშაობდა. ოპერის ლიბრეტო ხალხური თქმულების მთლიანი სახით წარმოდგენის საინტერესო ცდაა. პირველად იგი დაიბეჭდა ჟურნალ „ფასკუნჯში“. პეტრე მირიანაშვილმა ხალხური თქმულების ტექსტის გარდა ლიბრეტოში გამოიყენა ვაჟა-ფშაველას პოემის ცალკეული სტროფები, ხალხური „ვეფხისტყაოსნისა“ და ილია ჭავჭავაძის ლექსის ფრაგმენტები. ოპერის მეორე მოქმედების ტექსტის ნაწილი ალექსანდრე წუწუნავას ეკუთვნის, ხოლო ოპერის ერთ-ერთი გმირის მარიხის კანცონეტის ტექსტი თავად პეტრე მირიანაშვილის დაწერილია.

– „აბესალომ და ეთერის“ მესამე მოქმედება ჯერ კიდევ 1913 წლის 27 აპრილს ფილარმონიული საზოგადოების ინიციატივით დაიდგა ქართულ თეატრში, ხოლო საბოლოო სახით 1918 წელს დასრულდა. ოპერის პირველ წარმოდგენას თავად ზაქარია ფალიაშვილი დირიჟორობდა. დადგმა ალექსანდრე წუწუნავას ეკუთვნოდა, „ლეკურში“ სოლოს კი ელო ანდრონიკაშვილი ასრულებდა. დარბაზი ხალხით იყო გადაჭედილი. ოპერის მოსმენით მიღებული შთაბეჭდილება იმდენად დიდი იყო, რომ კომპოზიტორს უკვე მეორე მოქმედების შემდეგ დიდი ოვაციები გაუმართეს. საოპერო თეატრის, თბილისის კონსერვატორიის, ქართული დრამის და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენლებმა კომპოზიტორს გვირგვინები და ძვირფასი საჩუქრები მიართვეს.

უნდა ითქვას, რომ პრემიერის სრულყოფილ წარმატებას საგრძნობლად შეუშალა ხელი სასცენო ტექნიკის დაბალმა დონემ. მეტისმეტად გაჭიანურებულმა ანტრაქტებმა, ოპერის, დრამატურგიულად გაუმართლებელი მუსიკალური სცენებით გადატვირთვამ გამოიწვია სპექტაკლის უჩვეულო, ყურადღების მომქანცველი გაჭიანურება. „აბესალომ და ეთერის“ პირველი ვარიანტი 5 მოქმედებისა და 6 სურათისგან შედგებოდა. ოპერა საღამოს 8 საათზე დაიწყო და ღამის 2 საათამდე გასტანა! მაგრამ ყველა, ვინც კი ნამდვილად იყო დაინტერესებული ქართული პროფესიული მუსიკის გამარჯვებითა და წინსვლით, გულწრფელად ხარობდა იმის შეგნებით, რომ იმ საღამოს ეროვნული კლასიკური ოპერის დაბადების მოწმე გახდა. კომპოზიტორმა გარკვეული კრიტიკული შენიშვნაც დაიმსახურა. მან გაითვალისწინა შენიშვნები და ოპერა ერთი მოქმედებით შემოკლდა. საბოლოოდ ოპერამ „აბესალომ და ეთერი“ ქართული საზოგადოების უზარმაზარი მხარდაჭერა ჰპოვა. დიდი ქართველი რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი ამ ოპერის დადგმასთან დაკავშირებით წერდა, „დიდი დღესასწაულია! დღესასწაული ნამდვილი ხელოვნებისა! დღესასწაული კულტურული გამარჯვებისა! სარკმელია ევროპისკენ! გასაოცარი ლეგენდაა, სამშობლო ქვეყნის ჰანგებით მოსევდიანებული, ევროპული ოსტატობით შემუშავებული.“ ხოლო ცნობილი ქართველი მსა-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# მინდორაშვილმა შემადგენლობა დაასახელა



16-22 სექტემბერს ბუდაპეშტში გაიმართება მსოფლიოს ჩემპიონატი ჭიდაობაში. სამუნდიალო შემადგენლობა ჯერ მხოლოდ თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების მწვრთნელმა რევაზ მინდორაშვილმა დაასახელა.

აღსანიშნავია, რომ ნაკრებში გარკვეული ცვლილებებია. ტრავმის გამო ნაკრებს დააკლდება დავით ხუციშვილი, ხოლო დავით მოძმანაშვილი შემადგენლობიდან გენო პეტრიაშვილმა „ამოაგდო“. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ მწვრთნელმა არ დაარღვია ფედერაციის განკარგულება და მსოფლიოზე საქართველოს თასის გამარჯვებულები მიჰყავს.

ერთადერთი გამონაკლისი დავით მარსაგიშვილია, რომელმაც თასი ტრავმის გამო გამოტოვა, მაგრამ ისედაც ნათელი იყო, ნაკრებში ადგილი დაბევებული ექნებოდა. ამასთან, თასის გამარჯვებულ მინაშვილს შეკრებებზე თავისი ორთაბრძოლები მოუგო.

სანაკრებო შვიდეული ასე გამოიყურება:

გიორგი ედიშერაშვილი (55კგ), ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (60), ლევან ქელეხსაშვილი (66), იაკობ მაქარაშვილი (74), დავით მარსაგიშვილი (84), დავით ქერაშვილი (96) და გენო პეტრიაშვილი (120).

ბევრისთვის ეს შეჯიბრება სადებიუტო იქნება – ედიშერაშვილი, ქელეხსაშვილი, მაქარაშვილი და პეტრიაშვილი. მათგან ედიშერაშვილსა და პეტრიაშვილს საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობის გამოცდილება აქვთ, რასაც ვერ ვიტყვით ქელეხსაშვილსა და მაქარაშვილზე.

თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრები ამჟამად ბორჯომშია შეკრებაზე, რომელიც 13 სექტემბერს დასრულდება, 14-ში კი ბუდაპეშტში გაფრინდებიან.

მოამზადა გერა მამულაშვილმა



## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ცირკის მომთვინიერებელთა გრძელი შოლტი; 2. დაბალი რანგის დიპლომატიური წარმომადგენელი; 3. ჯინის გასაზავებელი უალკოჰოლო, გაზიანი სასმელი; 4. უკრაინული ხალხური სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 5. ოპტიკური მოვლენა ატმოსფეროში; 11. ფრანგული საიუველირო ფირმა; 12. ლითონზე შესრულებული გრავიურა; 14. ტროპიკული, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკური, ბოჭკოვანი მცენარე; 16. ხმელთაშუა ზღვისპირა საკურორტო ზონის სახელწოდება საფრანგეთსა და იტალიაში; 17. უძველესი ქართული სამეფო; 19. ლითონის დაშლა ქიმიური პროცესების შედეგად; 21. ფრანგი კომპოზიტორი ოპერა „დონ-კიხოტის“ მუსიკის ავტორი; 22. დაბალი, გრძელტანიანი მონადირე ძაღლის ჯიში.

**თარაზულად:** 6. ვენეციური წყლის ტრამვაი; 7. რაიმე რიცხვის მეათასედი ნაწილი; 8. მინერალური წყალი იმერეთში; 9. ტვირთის შესანახი სათავსო გემზე; 10. ცხენებშებმული ტრამვაი ძველ თბილისში; 13. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 15. ცნობილი ამერიკელი ზანგი ჯაზმენი; 18. შოტლანდიის ფეხბურთელთა გუნდი; 20. აეროპორტი პარიზში; 21. ქალის უთითო ხელთათმანი; 23. წალკის ძველი სახელწოდება; 24. სათამაშო კოჭის ერთ-ერთი მხარე.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

## ასტროპროგნოზი 5 სექტემბრისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**

### წარმატებული დღეა

**ვერძი** – დიდი სიხარული გელოდებათ, მოემზადეთ! **კურო** – ფული გაქვთ, პრობლემა გეხსნებათ. **ტყუპები** – არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **კირჩხიბი** – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ლომი** – თქვენი საქმე კარგად მიდის, ფული გექნებათ. **ქალწული** – არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **სასწორი** – ყურადღების ცენტრში ხართ, ეს გსიამოვნებთ. **ღრიანკალი** – სახლში დიდი სიხარულია მოსალოდნელი. **მშვილდოსანი** – შეიცვალეთ იმიჯი, საქმეს წაადგება. **თხის რქა** – ფული გაქვთ, მეტს იშოვით. **მერწყული** – მთლიანობაში ჰარმონიული დღეა. **თევზები** – ნუ ენდობით უცხო პირებს, თქვენი საქმე განაგრძეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**